ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 მაისი პარასკევი 2011

№ 104 (13401) ფასი 60 თეთრი




UEFA EUROPA LEAGUE

## პორტუგალიური ისტორიები

ფინალი: ბრაგა-პორტუ

ზესტაფონი-ტორპედოს მწარე გამოძახილი

## აღარ დამთავრდა ქართველურები?

ქართულ ფეხბურთს ერთი პირი იმ ქვისკენ უქნია, ადამიანმა ათასობით წლის წინ რომ გადააგდო



2

ვემსგავსოთ წინაპრებს, ოღონდ ამას არა!



## ჟოზეს უტევენ: ბარსელონაც, კოლეგებიც, თავისიანებიც




მოურინიო ზიდანმაც გააკრიტიკა 7



ფეხბურთის ფედერაცია გაფრთხილებთ:

## ხულიგნობა საზიანოა თქვენი ცხოვრებისთვის. დაისჯებით მკაცრად!

3




ჭადრაკი. ევროპის XII ჩემპიონატი ქალთა შორის

## საჭადრაკო ევროპამ თბილისში მოიყარა თავი

10

● ქართველური ამბები

# იმე, ჩემო იმერეთო, გადაგრია ფეხბურთმა?



საფეხბურთო მაქინაციები და ფეხბურთელთა "მაზავშიკებთან" კავშირი კიდევ დიდხანს იქნება ქართული ფეხბურთის მთავარი თემა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ გახმაურებული ამბავი მაინც ვერ ჩრდილავს იმ განუკითხაობას, რაც ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გრძელდება.

თუკი ბინძური გარიგებები ახლა გამოაშკარავდა, ქართველი ვაიგულშემატკივრების აგრესია ყოველთვის თვალნათლივ ჩანს და, სამწუხაროდ, გაცნობა ყველაზე უკეთ ინტერნეტფორუმებზეა შესაძლებელი და ამ თამაშის წინ გამოქვეყნებულ გზავნილებს თუ გადახედავთ, მრავლად წააწყდებით ქუთაისელთა და ზესტაფონელთა ურთიერთშეურაცხყოფას და, რაც ყველაზე საგანგაშოა, მუქარას, რომელიც გუშინწინ ნაწილობრივ ორივე მხარემ ალასრულა "დავით აბაშიძეზე". დიახ, ნაწილობრივ, თორემ მუქარები ისე საზარლად ჟღერდა, მის წამკითხავ ნორმალურ ქომაგს თმები ყალყზე დაუდგებოდა.

თვით "ტორპედოს" დედის დღე მიულოცა, რაშიც ქუთაისელებმა დედასთან დაკავშირებული სხვა ქვეტექსტი დაინახეს. მოკლედ, პატარ-პატარა ნაპერწკლებით დიდი კოცონი გაღვივდა, რამაც გუშინწინდელი განუკითხაობა გამოიწვია. ვიმეორებთ, ამ ფაქტების მოყვანით მტყუან-მართლის გარკვევას არ ვაპირებთ, მომხდარში ორივე მხარეა დამნაშავე. ალბათ, ამ წერილის რომელიმე ქუთაისელი ან ზესტაფონელი წამკითხველი ინციდენტის სხვა წინაისტორიებსაც გაიხსენებს, მაგრამ ამას ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან მოსახდენი, საუბედუროდ, უკვე მოხდა.

გუშინ ზესტაფონის დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე პოლიციამ საკმაო ხანს იმუშავა და ზარალიც აღნუსხა. "ზესტაფონი"-"ტორპედოს" მატჩს 258 სკამი შეეწირა, უმეტესობა სტუმართა მიერაა დალეწილი და გუშინვე ზესტაფონში ჩასულმა "ტორპედოს" წარმომადგენლებმა ზარალის ანაზღაურების პირობა დადეს.

აქეთურ-იქითურნი იმ ეპიზოდებზეც ჰყვებიან, რომელთაც ცეცხლი შეუნთეს ისედაც გაღიზიანებულ მაყურებლებს: რაკი "ზესტაფონს" გოლი სჭირდებოდა, ბურთის მიმწოდებელმა ბიჭუნამ საკუთარი მოვალეობა სწრაფად შეასრულა, რამაც "ტორპედოს" მეკარე **ომარ მიგინეიშვილი** განარისხა და ბავშვს ხელით შეეხოო. ამას გუნდების გულშემატკივართა მხრიდან ურთიერთლანძღვა მოჰყვა, თუმცა სიტუაცია დროებით ჩაცხრა. სამაგიეროდ, თამაშის დასრულების შემდეგ, როცა სტადიონს მასპინძელთა ქომაგების ბოლო ნაკადი ტოვებდა, ქუთაისელებმა მათ ინდივიდუალური სკამები დაუშინესო. უმცირესობაში მყოფმა დაზარალებულებმა სტადიონს გაცდენილ თანაქალაქელებს მიაწვდინეს ხმა და თავის დაცვა უკვე სტუმრებს დასჭირდათ – როგორც ჰყვებიან, ზესტაფონიდან ქუთაისისკენ მიმავალი ავტობუსებისა და ავტომობილების უმრავლესობას ქვა არ ასცდენია, ზოგიერთი ქომაგი კი შინ მთელი თავით არ დაბრუნებულა...




ზოგიერთ ქალაქში ქომაგობის კულტურის ამაღლების ნიშანწყალიც არ იგრძნობა, მეტიც, იქაური ხულიგნები ახალ-ახალ "სიმაღლეებს" იპყრობენ – არც მეტოქის ფეხბურთელებს ინდობენ, ზოგჯერ საკუთარ მოთამაშეებზეც ინევენ და არცთუ იშვიათად "ქართული ფეხბურთის დამაქცევარ" ჟურნალისტებსაც უსწორდებიან. საბედნიეროდ, ქართულ კლუბებს ფეხბურთის მცოდნე ღირსეული ქომაგებიც ჰყავს, მაგრამ, როგორც წესი, ტრიბუნებზე ამინდს ვანდალები უფრო ხშირად ქმნიან.

ამა თუ იმ მატჩზე წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ იქ "აფეთქებაა" მოსალოდნელი, ჰოდა, "ზესტაფონი"-"ტორპედოს" საპასუხო სათასო შეხვედრას უინციდენტოდ რომ ჩაევლო, ეს უფრო იქნებოდა გასაკვირი. ამის თქმის საფუძველს ის უარყოფითი მუხტი გვაძლევს, რომლითაც მატჩამდე ორივე გუნდის გულშემატკივრები იყვნენ აღვსილნი.

ქომაგთა განწყობისა და ნაზრევის ფაქტია, ორივე კლუბის მხარდამჭერებმა ბევრი დააშავეს და არ (და ვერ) შევუდგებით იმაზე მსჯელობას, ვის მეტი ბრალი მიუძღვის მომხდარში. ყველაზე საგულისხმო ამბავი კი ისაა, რომ "ტორპედოს" უმაღლეს ლიგაში დაბრუნებამ ქუთათურთა და ზესტაფონელთა ძველი სპორტული ქიშპობა გააღვივა, რაც ჩვენს უმაყურებლო ჩემპიონატს ძალიანაც მოუხდებოდა, ხულიგნები ზღვარს რომ არ გადასულიყვნენ და საფეხბურთო ზეიმი საქმეების გარჩევით, სტადიონის აოხრებითა და ერთმანეთის თავპირისმტვრევით რომ არ დაემახინჯებინათ.

უსიამოვნო ფაქტები "ტორპედოსა" და "ზესტაფონის" პირველ სათასო მატჩშიც მრავლად მოხდა. ტელერეპორტაჟისას გარკვევით ისმოდა, როგორ ხმაშეწყობილად აგინებდნენ "ზესტაფონის" ფეხბურთელებსა და, საერთოდ, ამ ქალაქის მკვიდრთ. თავის მხრივ, ქუთაისელ ვაიგულშემატკივრებს გინებისთვის "მიზეზი" ჰქონიათ - "ზესტაფონის" ერთ-ერთმა ფანლიდერმა ვიდეომიმართვით "ტორპედოს" დედის დღე მიულოცა...

საბედნიეროდ, მომხდარმა ვერ შეცვალა კლუბების ხელმძღვანელთა დამოკიდებულება და "ტორპედოსა" და "ზესტაფონის" მესვეურები ერთმანეთის მიმართ კვლავინდებურად პატივისცემით არიან განწყობილნი. კლუბები ერთხმად გმობენ მომხდარს და იმედოვნებენ, რომ დამნაშავეები საკადრისად დაისჯებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სკანდალის ექო


გია ფირცხალავა

გია ფირცხალავა პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტად ახალი არჩეული იყო, როდესაც უმაღლეს ლიგაში გარიგებულ მატჩებთან ბრძოლა წამოიწყო. ასე იყო ადრეც, როდესაც მერაბ ჟორდანიას დროინდელი ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელად მუშაობდა და ლევან ყიფიანთან ერთად რამდენიმე გარიგებული მატჩი ღიად დაასახელა.

ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ჯერაც არსებული პროფლიგის პრეზიდენტი ფირცხალავა ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში დატრიალებულ სკანდალურ მოვლენებზე არანაკლებ დამაინტრიგებელ განცხადებებს აკეთებს – არ არის გამორიცხული, გამოძიების დასრულების შემდეგ უმაღლესი ლიგიდან რამდენიმე გუნდი მოკვეთონ.

# გარიცხვა გამორიცხულია? ვნახოთ, ვნახოთ...

**- მატჩების ჩაწყობაზე ადრეც ლაპარაკობდით, მაგრამ ფაქტები არ გაგაჩნდათ. ახლა კუდ-მა ბევრი რამ გამოამზეურა და არსებობს მოსაზრება, რომ ამ საქმეში უმაღლესი ლიგის ბევრი კლუბია გარეული.**

- რაც ხდება ძალიან სამწუხაროა. ჩვენ სამართალდამცავი სტრუქტურა არ ვართ და ამიტომ, ფეხბურთელების თვალთვალი და მათი დაკავება არ შეგვიძლია. მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის მთავარი ამოცანაა, ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით ეროვნული ჩემპიონატი მოვაწესრიგოთ. ყველას იდეალური ჩემპიონატი გვსურს და, რა თქმა უნდა, ასეთი რამ წარმოუდგენელია, მაგრამ ყოველთვის შევეცდებით ჩვენი ბერკეტებით წესრიგის დამყარებას, ჩვენს ფეხბურთში გარიგებები ასე ფართოდ რომ არ გავრცელდეს. მაგრამ ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდულია, გადაწყვეტილებებს მოხსენებითი ბარათების საფუძველზე ვიღებთ.

**- ტოტალიზატორი ჩვენს ფეხბურთს მეტასტაზივით მოედო. თქვენი აზრით, ეს სენი რომელ სტადიაშია?**

- ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან ეს რომ ვიცოდე, თავად უნდა ვიყო გარიგების მონაწილე. მხოლოდ მიახლოებით ვიცოდით, რომ ჩვენს ჩემპიონატში რაღაც ხდებოდა, მაგრამ ამ მასშტაბის გარიგებებს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. სურათი ძალიან დამთრგუნველია, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა კომბინაციები თამაშდებოდა. სამწუხაროდ, ეს მსოფლიო ფეხბურთის სენია და მხოლოდ საქართველოს არ აწუხებს, მაგრამ სახიფათო ტენდენცია რამენაირად უნდა აღვკვეთოთ. სამართალდამცავმა ორგანოებმა უდიდესი სამსახური გაუწიეს ქართულ ფეხბურთს, კლუბებს და თავად ფეხბურთელებს, რადგან ბევრ რამეს ნათელი მოჰფინეს.

**- მთავარია, რა მოხდება, რა იქნება ამ სკანდალის შემდეგ.**

- გარიგებული მატჩების გამოვლენა ქართულ ფეხბურთს ყველანაირად წაადგება, ცდუნებისკენ მიდრეკილი ფეხბურთელები დაოკდებიან, გაიწმინდებიან გუნდები, რასაც ეროვნულ ჩემპიონატში ვითარების გაჯანსაღება და დონის ამაღლება უნდა მოჰყვეს. საბოლოოდ კი მჯერა, ჩვენი ჩემპიონატისკენ ბიზნესიც გამოიხედავს. იდეალური ვითარება არსად არასდროს იქნება, მაგრამ უკეთესობაში დარწმუნებული ვარ. თუმცა, ფაქტობრივად, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ.

**- ამ საქმეთა გახმაურების მერე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ გარიგების მონაწილეები დაისჯებოდნენ, თუმცა ჯერ ვერდიქტი არ გამოუტანიათ.**

- გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და ბოლომდე არ ვიცით, რა მასშტაბის დანაშაულთან გვაქვს საქმე. თუმცა კლუბებმა, საკუთარი გადაწყვეტილებით, ხუთივე ფეხბურთელი სავარჯიშო პროცესს ჩამოაშორეს.

**- პირადად თქვენ როგორ სასჯელს ემხრობით?**

- არ მინდა, ავჩქარდე, თუმცა ალექსანდრე ჩივაძემ ზუსტად აღნიშნა – მათ საკუთარ თავს განაჩენი თავად გამოუტანეს. მეც ასე ვფიქრობ.

**- ახლა პროფლიგაზეც ვთქვათ: მკვდარია თუ ჯერ კიდევ ცოცხლობს?**

- პროფლიგას ფეხბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულების ვადა მაისის ბოლოს უმთავრდება. ახლა გარკვეული დრო დაგვრჩა საიმისოდ, რათა გაირკვეს, ვინ ჩაატარებს ჩემპიონატს, როგორ და რა ფორმატით გაგრძელდება...

**- ფედერაციამ ლიგას სპონსორები მისაზიდად ვადა მაისის ბოლომდე მისცა.**

- რა თქმა უნდა, ძალიან რთული მდგომარეობაა, მაგრამ იმედი მაინც არ გადაგვიწურავს. მთავარია, პოტენციურ პარტნიორებს, ბიზნესს როგორი ფეხბურთის, რა დონის პირველობის დასპონსორებას შევთავაზებთ.

**- უმაღლესი ლიგის ზოგ აუტსაიდერს სჯერა, რომ ლიგის წევრთა რაოდენობა 14 გუნდამდე გაიზრდება. ეს ხმები სარწმუნოა?**

- ამ ეტაპზე გუნდების გაზრდაზე ლაპარაკი არ არის. ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, ჩვენ ისიც არ ვიცით, რა გადაწყვეტილებას მივიღებთ.

**- ანუ უმაღლესიდან გუნდების გარიცხვასაც არ გამორიცხავთ?**

- არ ვიცი, ვნახოთ, დაველოდოთ გამოძიების დასრულებას და სრული სურათი გვექნება გარიგებებში მარტო ფეხბურთელები მონაწილეობდნენ თუ გუნდებიც.

**მერაბ მამულაშვილი**

ლევან (ლეო) ჟორდანიას ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული ფეხბურთის ლეგენდის

**სერგო კოტრიკაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „სპარტაკი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი ქართველი ფეხბურთელისა და მწვრთნელის

**სერგო კოტრიკაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი „გაგრა" მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ფეხბურთელის

**სერგო კოტრიკაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს და საქართველოს საფეხბურთო თემს ლეგენდარული ფეხბურთელის

**სერგო კოტრიკაძის**

გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სფფ უფლებამოსილია განაცხადოს...



## ზვიად სიჭინავა:
# ხულიგნებო, დაგსჯით!

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გუშინ ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** საგანგებო განცხადება გაავრცელა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში გახშირებული ხულიგნობის ფაქტებთან დაკავშირებით.

*„მინდა, გამოვეხმაურო გუშინ, სათასო მატჩის შემდეგ, ზესტაფონის სტადიონზე მომხდარ ფაქტს. გულშემატკივართა გარკვეული ნაწილის მხრიდან ადგილი ჰქონდა ხულიგნურ გამოხდომას – დამტვრეულია სკამები, და ზიანებულია მანქანები... გვაქვს ინფორმაცია, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა მზადაა, "ზესტაფონს" ზარალი აუნაზღაუროს. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებულ ვიდეოჩანაწერებზე დაყრდნობით, ის ადამიანებიც დაისჯებიან, ვინც გულშემატკივარი პროვოკაციაზე წამოაგო, რის შემდეგაც ვითარება უკიდურესად გამწვავდა. სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ამ ფაქტებს განიხილავენ და დამნაშავეები სათანადოდ დაისჯებიან".*

სიჭინავამ კომენტარი პოლიციის მიერ რუსთავის „ოლიმპის" ფეხბურთელების, **ალექსანდრე კვახაძისა** და **ლუკა რაზმაძის** დაკავებაზეც გააკეთა. საქართველოს ჩემპიონატის 31-ე ტურში "ოლიმპი"-"ზესტაფონის" მატჩისას ეს ორი მოთამაშე მოედნიდან გააძევეს. თურმე, რუსთავის პოლიციაში საჩივარი სწორედ ამ ფაქტის საფუძველზე შევიდა და ოლიმპელები "საზოგადოებრივი წესრიგის" დარღვევისთვის დააკავეს. მართალია, მალევე გაათავისუფლეს, თუმცა 100-100 ლარით დასაჯეს.

*"როგორც ვიცი, ისინი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო დააკავეს. ჩვენი მხრივ, ნებისმიერი ხულიგნური გამოხტომისას უმკაცრესად დავსჯით ყველას, ფეხბურთელი იქნება, მწვრთნელი, მასაჟისტი თუ გუნდის ხელმძღვანელი. თუ ფედერაციის პრეროგატივა იქნება, ფედერაცია დასჯის. თუ ჩვენი უფლებამოსილების ფარგლებს გასცდება, ის ორგანო დასჯის, ვის კომპეტენციაშიც შედის. დროა, წესრიგი დამყარდეს და ყველამ თავისი საქმე აკეთოს. ფეხბურთელის საქმე გინება და ჩხუბი კი არა, მოედანზე გასვლა და თამაშია",* – განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი ლეგიონერად დარჩა

# საქართველომ ოვონიკოკოს, არაო

„გაგრას“ თავდამსხმელ **აბაიომი სეუნი ოვონიკოკოს** საქართველოს მოქალაქეობაზე უარი უთხრეს. ქართული პასპორტის აღება 18 წლის ნიგერიელს ევროპაში გზას გაუხსნიდა: დეკემბერში ევროკავშირის ვიზაზე საფრანგეთის საკონსულომ უთხრა უარი და „რენში“ გასინჯვა ჩაეშალა, იანვარში კი ჰოლანდიის საკონსულოდან (რომელიც საქართველოში ბელგიურ ინტერესებსაც წარმოადგენს) მიიღო უარყოფითი პასუხი და ბელგიურ „გენკს“ ვერ შეუერთდა.

"გაგრაში" იმედოვნებდნენ, რომ ოვონიკოკო საქართველოს პასპორტს უპრობლემოდ მიიღებდა, რადგან ბოლო დროს ეს გამარტივებული წესით ხდება. მაგალითისთვის ზუგდიდის "ბაიასა" და ზამბიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელ **ჩისამბა ლუნგუს** ამბავიც გამოდგება. შარშან პასპორტი აიღო და **ოთარ გაბელიამ** საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თურქულ შეკრებაზე წაიყვანა, მაგრამ ზაფხულში რუსეთის პირველი ლიგის "ურალში" ჩაირიცხა და საქართველო დაივიწყა.

"გაგრას" ხელმძღვანელები ფიქრობდნენ, რომ 18 წლის ნიგერიელით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელები დაინტერესდებოდნენ და, ასეც იყო, მაგრამ საბოლოოდ ოვონიკოკომ უარი მიიღო.

"გაგრაში" გვითხრეს, რომ უარის საფუძველი ჯერ არ იციან, ამას ოფიციალური წერილით გვაცნობებენო.

**მერაბ მამულაშვილი**



აბაიომი ოვონიკოკო — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

● მსოფლიოს საკლუბო რეიტინგი

# ორი წინ, ორი უკან

IFFHS

თბილისის "დინამო" ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHS) მიერ გამოქვეყნებულ მორიგ საკლუბო რეიტინგში კიდევ ოთხი საფეხურით დაწინაურდა და 115-ე ადგილზეა. დედაქალაქელების მსგავსად, პროგრესი აქვს საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ "ზესტაფონსაც", რომელიც 192-ედან 170-ე ადგილზე ავიდა. რეიტინგში კიდევ ორი ჩვენი კლუბია, რომლებმაც პოზიციები დათმეს. რუსთავის "ოლიმპი" 366-ედან 382-ე ადგილამდე დაეშვა, იმავე საფეხურზეა "ვიტ ჯორჯიაც", რომელიც ერთი თვის წინ 355-ე იყო.

რაც შეეხება რეიტინგის სათავეს, იქ "ბარსელონა" მოკალათდა, წინა თვის ლიდერი "ინტერი" კი მეხუთე საფეხურამდე დაეშვა.

რეიტინგის საუკეთესო ათეული ასეთია: **1. ბარსელონა (ესპანეთი), 2. რეალი (ესპანეთი), 3. პორტუ (პორტუგალია), 4. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), 5. ინტერი (იტალია), 6. ინტერნასიონალი (ბრაზილია), 7. ვილიარეალი (ესპანეთი), 8. მანჩესტერ სიტი (ინგლისი), 9. ზენიტი (რუსეთი), 10. პსჟ (საფრანგეთი).**

**ლევან ჯანეზაშვილი**

● U15, U14



ნოდარ აკობია — გოჩა ტყებუჩავა

# შედეგიანი შვედეთი და იმედიანი მომავალი

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს 15 და 14-წლამდელთა ნაკრებების თავკაცების, **ნოდარ აკობიასა** და **გოჩა ტყებუჩავას** პრესკონფერენცია გაიმართა.

ახლახან ორივე გუნდმა შვედეთში, უეფას ექსპრეზიდენტ **ლენარტ იუჰანსონის** სახელობის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა, სადაც უფროსები თავის ასაკში ჩემპიონები გახდნენ, უმცროსებმა კი მესამე ადგილი დაიკავეს.

ორივე მწვრთნელმა დასაწყისში მწუხარება გამოთქვა შვედეთში ლეგენდარული ქართველი მეკარის, **სერგო კოტრიკაძის** გარდაცვალების გამო, რის შემდეგაც ტურნირის პერიპეტიები გაიხსენეს. ჩვენი გუნდების შვედურ ასპარეზობას ყოველდღიურად ვაშუქებდით და დეტალების გახსენებით თავს აღარ შეგაწყენთ.

აკობიამ საკუთარი გუნდიდან ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი **გიორგი ჯობავა, ნიკა ლაშხია, ნიკა ქორიძე** და მეკარე **ბექა ქურდაძე** გამოარჩია. ამ უკანასკნელის მომზადებაში სერგო კოტრიკაძეს დიდი წვლილი შეუტანია. 15-წლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა ბიჭების მტკიცე ხასიათს გაუსვა ხაზი – ტურნირი ჩვენებმა მარცხით დაიწყეს, მაგრამ მაინც პირველ ადგილზე გავიდნენო.

რამდენიმე ქართველი ყმაწვილის გვარი ცნობილი ევროპული კლუბების სკაუტებს ჩაუნიშნავთ, რომელთა შორის "მილანისა" და "იუვენტუსის" წარმომადგენლებიც არიან.

28 მაისიდან 6 ივლისის ჩათვლით კი საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები ჰოლანდიაში, უტრეხტის საერთაშირისო ტურნირში იასპარეზებს. უტრეხტამდე აკობიას გუნდი არნემში ჩავა, სადაც ვიტესელ თანატოლებთან ორ მატჩს ჩაატარებს.

ტყებუჩავამ კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ მის ფეხბურთელებს პროფესიული თვისებები უყალიბდებათ. ქართველ 14-წლამდელებს ნახევარფინალში განცდილი მარცხი ძალიან განუცდიათ, რაც მწვრთნელებს სასიკეთო ნიშნად მიაჩნიათ. ტყებუჩავამ ისიც აღნიშნა, რომ ამ ასაკში ახალი კადრების ძიებას აგრძელებს და ნაკრების შემადგენლობაში ცვლილებებს არ გამორიცხავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სტუმარი

# შახტარის კაცი თბილისში

**დონეცკის "შახტარისა" და უკრაინის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი სერგეი ატელკინი პოსტსაბჭოური პერიოდის უკრაინელ ფეხბურთელთაგან პირველი იყო, რომელიც იტალიის სერია A-ში გადავიდა და "ლეჩეში" ითამაშა, შემდეგ იყო "ბოავიშტაში", დაბრუნდა დონეცკში და 31 წლისამ კარიერა დაასრულა. ახლა "შახტარის" მწვრთნელ-სელექციონერია.**

**ატელკინი "შახტარმა" თბილისში მოავლინა, რათა თასზე "გაგრასა" და "ვიტ ჯორჯიას" განმეორებით ნახევარფინალურ შეხვედრას დასწრებოდა და დონეცკური კლუბისთვის საინტერესო ფეხბურთელებს დაკვირვებოდა.**

**ბოლო რამდენიმე წელია, "შახტარი" ევროპული ფეხბურთის გრანდებშიც გაერია და, ცხადია, ასეთი დონის კლუბის სელექციონერის სტუმრობამ დაგვაინტერესა. სერგეი ატელკინს ინტერვიუ ჩამოვართვით:**

- თავიდანვე გეტყვით, რომ "ლეჩეს" და "ბოავიშტას" ფეხბურთელად თავი არასოდეს ჩამითვლია, ვიყავი და ვიქნები დონეცკის შახტარელი, ამ დიდი კლუბის ოჯახის წევრი და ეს ჩემთვის მხოლოდ სამუშაო არ არის.

**- საქართველოს თასის ნახევარფინალურ შეხვედრაზე თქვენი დასწრება რამ განაპირობა?**

- აქ ჩამოვედი ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად, მაგრამ ჯერ კონკრეტულად არავინ შეგვირჩევია. "შახტარში" 2 ათასზე მეტი ადამიანი მუშაობს, ეს დიდი ბიზნესსტრუქტურაა და თუ ადამიანი ჩვენთან თანამშრომლობს, კლუბის მეპატრონეები მას ოჯახის წევრად მიიჩნევენ. "შახტარმა" "გაგრას" პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძესთან პარტნიორობა თორნიკე ოქრიაშვილის მიწვევის შემდეგ დაიწყო და მას მერე ჩვენთვის ეს კლუბიც საინტერესო გახდა და "გაგრას" ფეხბურთელებიც. მიგვაჩნია, რომ "გაგრაც" ჩვენი ოჯახის წევრია. სათასო მატჩმა დამარწმუნა, რომ "გაგრა" ძალიან საინტერესო კლუბია. ძნელი წარმოსადგენი იყო, პირველი ლიგის კლუბი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს ორივე მატჩში თუ დაამარცხებდა.

**- რომელი ფეხბურთელი დაგამახსოვრდათ?**

- ჩვენ გვაინტერესებს ახალგაზრდა ფეხბურთელები. სხვათა შორის, ბევრი კლუბისგან განსხვავებით, "გაგრასთან" საქმის დაჭერა ადვილი და სასიამოვნოა, რადგან საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა და აქ ნიჭიერი ბავშვები არიან. საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო მოსკოვის "სპარტაკის", კიევის "დინამოს", ქართული საფეხბურთო სკოლები. ახლა "შახტარმა" უკრაინაში კიევის "დინამოსგან" განსხვავებული სტილი დაამკვიდრა და ჩვენი უპირველესი მიზანი ამ სტილით უკრაინელი ბავშვების გაზრდაა. სხვათა შორის, "შახტარის" წლიური ბიუჯეტი 120 მილიონი ევროა, საიდანაც 6 მილიონი საფეხბურთო სკოლაზე იხარჯება.

თუმცა უარს არც გამორჩეულ უცხოელებზე ვამბობთ. თქვენთან კი ყოველთვის იზრდებოდნენ საინტერესო ფეხბურთელები, რასაც საქართველოს ნაკრების გასული წლის თამაშებიც ადასტურებს: ქეცბაიას ხელმძღვანელობით გუნდს დიდი წაუგებელია სერია ჰქონდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ პოტენციალი არის, მაგრამ ადრე ვერ იყენებდნენ. ცხადია, ასეთი ქვეყნიდან ფეხბურთელების მიწვევაზე უარს ვერ ვიტყვით.

**- როგორც ვიცით, თქვენ ოვონიკოკოს აკვირდებით.**

- საინტერესო ფეხბურთელია, მაგრამ მისი წაყვანა ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

**- მაგრამ "შახტარი" ნიგერიელით დაინტერესებულია?**

- ჩვენ სხვა ფეხბურთელებიც გვაინტერესებს.

**- რას იტყვით თორნიკე ოქრიაშვილზე, რომელიც "შახტარს" ეკუთვნის?**

- ის "შახტარს" არ ეკუთვნის, "გაგრამ" იჯარით დაგვითმო, მაგრამ ვფიქრობთ, სეზონის შემდეგ საბოლოოდ გამოვისყიდით და მაღალი კლასის ფეხბურთელად ჩამოვაყალიბებთ. ოქრიაშვილს ყოველდღიურად აკვირდებიან ჩვენი მწვრთნელები. ნიჭიერია და ამას ყველა ხედავს, თორნიკე ახლა ბავშვობიდან დიდობაში გადადის და მარიუპოლის "ილიჩივეცის" მთავარი მწვრთნელის, ვალერი იარემჩენკოს ამოცანა მისი გახსნაა. ოქრიაშვილის შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული, ღვთისგან ბოძებულ ნიჭს როგორ გამოიყენებს.

**- "შახტართან" თქვენი ყოფილი თანაგუნდელი მიხეილ ფოცხვერიაც ხომ არ თანამშრომლობს?**

- არა, მიშა ლუგანსკის "ზარიას" ბავშვთა სკოლაში საქმიანობდა, მაგრამ დიდი ხანია, აღარ მინახავს. ძალიან ნიჭიერი თავდამსხმელი იყო, მაგრამ რატომღაც კარიერა ნაადრევად დაასრულა.



სერგეი ატელკინი

**მერაბ მამულაშვილი**

# აპრილში ღირსეულნიც იყვნენ...

**არ დავმალავთ:** მართლაც ბევრი ვიფიქრეთ, რამდენად აქტუალური იქნებოდა ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის ამ ტრადიციული რუბრიკის შეთავაზება. ბოლოს და ბოლოს, უკანასკნელი ტურის მიმოხილვაზეც უარი ვთქვით და ასევე ტრადიციულ „ტურის სიმბოლურ ნაკრებზეც“; სხვაგვარად რომ მოვქცეულიყავით, ალბათ, თავის მოტყუება გამოგვივიდოდა, მაგრამ, მოდი ამ საკითხს „მეორე მხრიდანაც“ შევხედოთ: რამდენიმე მართლაც უმსგავსო ფეხბურთელის მხოლოდ არასპორტული კი არა, საერთოდ, არავაჟკაცური საქციელის გამო სხვა დანარჩენების დამსახურება რატომ არ უნდა აღნიშნულიყო? ჰო, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელთაგან ყველა ხომ არ იგონებდა ტრავმებს, ყველა ხომ არ აგდებდა შეგნებულად ბურთს აუტზე, ყველა ხომ არ „იკიდებდა“ შეგნებულად პენალტს და საერთოდაც, — იმ მართლაც სიბინძურეში ყველა ხომ არ იყო გარეული? რა თქმა უნდა, არავის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის მტკიცებას ჩვენ ვერ დავიწყებთ, მაგრამ ფეხბურთში სულ ოდნავ ჩახედული ადამიანიც მიხვდება, რომ იმ გარიგებულ თამაშებსა თუ კონკრეტული ეპიზოდების მანიპულირებაში აშკარად ხუთზე მეტი ქართველი მოთამაშე მონაწილეობდა. ალბათ, ასამდეც (!), მაგრამ, საბედნიეროდ, ამათზე ბევრად უფრო მეტი ფეხბურთელი საკუთარ ამბიციასა თუ შესაძლებლობას პატიოსნად და ჭეშმარიტად სპორტული პრინციპების დაცვით ავლენდა. ჰოდა, გარჯა რატომ უნდა დავუკარგოთ? ან, იმ მწვრთნელების მუშაობა რატომ არ უნდა დაფასდეს, რომელთა გაწვრთნილი გუნდის ფეხბურთელებს გასულ თვეში არანაირ მანიპულაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ...

## გამორჩეული ფაქტები

**აპრილის ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 8 | 5 | 2 | 1 | 14-7 | 17 |
| 2. ზესტაფონი | 6 | 4 | 3 | 0 | 9-2 | 15 |
| 3. ტორპედო | 6 | 3 | 3 | 0 | 7-3 | 12 |
| 4. სიონი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 10 |
| 5. კოლხეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 5-5 | 9 |
| 6. ვიტ ჯორჯია | 7 | 2 | 2 | 3 | 6-5 | 8 |
| 7. ოლიმპი | 6 | 2 | 0 | 4 | 5-7 | 6 |
| 8. სამტრედია | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| 9. ბაია | 7 | 1 | 0 | 6 | 3-13 | 3 |
| 10. სპარტაკი | 6 | 0 | 3 | 3 | 2-8 | 3 |

„თვის მწვრთნელ(ებ)ის“ გამორჩევისა არ იყოს, ამ შემთხვევაშიც ბევრი ვიფიქრეთ, — იმდენი მართლაც „ნამაიმუნარი“ მატჩის პირობებში, რამდენად ადეკვატური იქნებოდა აპრილის გამორჩეული ფაქტების გახსენებაც. თუმცა, აქაც არ გვინდა იმ კონკრეტულ ფეხბურთელებს გარჯა დავუკარგოთ, გასულ თვეში საუკეთესო კუთხით რომ წარმოჩინდნენ. უპირველესად, რაღა თქმა უნდა, ის ფეხბურთელები უნდა ვახსენოთ, თვის სიმბოლურ ნაკრებში რომ მოხვდნენ; აბა, როგორ შეიძლება გვერდი ავუაროთ „ტორპედოს“ 26 წლის მეკარის **ომარ მიგინეიშვილის** საიმედო თამაშს? ისე როგორც მისი თანაგუნდელებისა და თანატოლების, **გიორგი სეთურიძისა** და **თეიმურაზ ფარულავას** სტაბილურ ასპარეზობას. ისე, რახან აპრილის სიმბოლური ნაკრები ვახსენეთ, შეამჩნევდით, რომ ყველაზე მეტი (5) ფეხბურთელი „ზესტაფონიდან“ არის და ეს არც არავის უნდა გაუკვირდეს; მით უმეტეს, რომ 27 წლის **გიორგი ონიანმა**, 24 წლის **შოთა გრიგალაშვილმა**, 23 წლის **ირაკლი ძარიამ**, 21 წლის **ბუბა დაუშვილმა** და 25 წლის **ნიკოლოზ გელაშვილმა** აპრილში მართლაც ჩინებულად იასპარეზეს. იმავეს თქმა შეიძლება თბილისის „დინამოს“ ორ გამოცდილ ფეხბურთელზეც: 26 წლის **ლევან ხმალაძესა** და 29 წლის **ალექსანდრე კოშკაძეზე** (სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა აპრილში 4 გოლი გაიტანა, რაც უმაღლეს ლიგაში საუკეთესო შედეგია).

„თვის დებიუტის“ ნომინაცია რომ გვქონდეს, უკონკურენტო იქნებოდა „დინამოს“ ახალწვეული, 21 წლის **ვახტანგ ფანცხავა**: ჯანიანმა და ათლეტურმა ფორვარდმა სულ მოკლე დროში ძირითადში დამკვიდრებაც შეძლო და ორი ეფექტური გოლითაც დაგვამახსოვრა თავი. სხვა ფეხბურთელებიდან, უპირველეს ყოვლისა, ფოთის „კოლხეთის“ ახალწვეულის, 28 წლის **ლევან მდივნიშვილის** შედეგიანი თამაში (3 გოლი) გვინდა აღვნიშნოთ. ამას გარდა, რამდენიმე კონკრეტული მოთამაშეც უნდა დავასახელოთ, უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლები რომ გაიტანეს: 19 წლის **გიორგი ჭანკოტაძე** („ზესტაფონი“), 21 წლის **გიორგი გავაშელიშვილი** („კოლხეთი“), 20 წლის **რევაზ ლანიაშვილი** („ვიტ ჯორჯია“), 18 წლის **ზვიად სიხარულია** („ბაია“), 22 წლის **გიორგი მურველაშვილი** („ოლიმპი“), 20 წლის **გიორგი გურეშიძე** („ვიტ ჯორჯია“).

დაბოლოს, სამი ფეხბურთელიც გამოვარჩიოთ, გარკვეული პაუზის მერე რომ დაბრუნდნენ საქართველოს ჩემპიონატში და აქ დაბრუნება გოლებით სწორედ წინა თვეში რომ აღნიშნეს: 27 წლის **დიმიტრი ტატანაშვილი** („დინამო“), 30 წლის **ლაშა ჯაკობია** („სპარტაკი“) და 26 წლის **კობა შალამბერიძე** („სიონი“).

## საქართველოს ჩემპიონატი. II ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა**

| | |
|---|---|
| დუშეთი-35-ე სკოლა | 3:0 |
| აბული-გოლიადორი | 3:0 |
| ზოოვეტი-სამცხე | 8:1 |
| სტუ-თიანეთი-ერთობა | 3:0 |
| იმედი-გაგრა-2 | 1:4 |
| სასკო-ავაზა | 3:1 |
| ივერია-მერანი | 4:1 |

*ალგეთი-ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასკო | 23 | 14 | 6 | 3 | 73-33 | 48 |
| 2. გაგრა-2 | 22 | 14 | 3 | 5 | 48-14 | 45 |
| 3. სტუ/თიანეთი | 22 | 14 | 2 | 6 | 58-29 | 44 |
| 4. ივერია | 23 | 14 | 2 | 7 | 45-22 | 44 |
| 5. ზოოვეტი | 21 | 12 | 6 | 3 | 50-21 | 42 |
| 6. ავაზა | 22 | 12 | 2 | 8 | 57-44 | 33 |
| 8. აბული | 20 | 10 | 1 | 9 | 26-27 | 31 |
| 9. გოლიადორი | 23 | 9 | 4 | 10 | 37-35 | 31 |
| 10. ალგეთი | 21 | 9 | 3 | 9 | 35-30 | 30 |
| 11. დუშეთი | 22 | 7 | 9 | 6 | 40-31 | 30 |
| 12. მერანი | 22 | 8 | 2 | 12 | 32-38 | 26 |
| 13. 35-ე სკოლა | 23 | 2 | 6 | 14 | 23-49 | 15 |
| 14. სამცხე | 23 | 3 | 0 | 20 | 14-123 | 9 |
| 16. ერთობა | 22 | 2 | 0 | 20 | 10-73 | 6 |

**დასავლეთი**

**A ზონა**

| | |
|---|---|
| მარგვეთი-ბეთლემი | 4:1 |
| მერანი-2-გურია-2 | 1:0 |
| ჩიხურა-2-საირმე | 5:1 |
| დინამო-2-ბახმარო | 0:0 |
| სულორი-მერცხალი-2 | 4:0 |
| ქუთაისი-რაჭა | 0:3 |

*მართვე-ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა 2 | 19 | 16 | 3 | 0 | 68-13 | 51 |
| 2. სულორი | 20 | 14 | 1 | 5 | 39-21 | 43 |
| 3. დინამო 2 | 20 | 10 | 7 | 3 | 35-18 | 37 |
| 4. მარგვეთი | 19 | 11 | 2 | 6 | 41-28 | 35 |
| 5. ბახმარო | 19 | 9 | 5 | 5 | 29-30 | 32 |
| 6. ბეთლემი | 20 | 9 | 3 | 8 | 36-30 | 30 |
| 7. მერანი 2 | 19 | 7 | 5 | 7 | 21-19 | 26 |
| 8. გურია 2 | 20 | 7 | 3 | 10 | 29-39 | 24 |
| 9. რაჭა | 19 | 6 | 2 | 11 | 29-39 | 20 |
| 10. საირმე | 19 | 5 | 4 | 10 | 16-29 | 19 |
| 11. ქუთაისი | 20 | 5 | 3 | 12 | 26-48 | 18 |
| 12. მერცხალი 2 | 19 | 1 | 7 | 11 | 23-51 | 10 |
| 13. მართვე | 19 | 2 | 3 | 14 | 15-42 | 9 |

**დასავლეთი**

**B ზონა**

| | |
|---|---|
| კოლხეთი-2(ხ.)-აისბერგი(აბაშა) | 2:0 |
| ბერმუხა (მარტ.)-სქური 2 (წალენჯ.) | 1:2 |
| ზუგდიდი-ეგრისი (სენაკი) | 1:0 |
| მგლები-2-სამეგრელო (ჩხორ.) | 4:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეგრისი | 18 | 12 | 2 | 3 | 48-22 | 38 |
| 2. კოლხეთი-2 | 18 | 10 | 3 | 5 | 39-23 | 33 |
| 3. მგლები-2 | 17 | 10 | 2 | 5 | 43-41 | 32 |
| 4. სქური-2 | 18 | 9 | 5 | 4 | 36-20 | 32 |
| 5. ზუგდიდი | 17 | 8 | 3 | 6 | 39-27 | 27 |
| 6. სამეგრელო | 18 | 6 | 5 | 6 | 27-35 | 23 |
| 7. აისბერგი | 17 | 3 | 2 | 12 | 24-58 | 11 |
| 8. ბერმუხა | 17 | 1 | 0 | 15 | 10-53 | 3 |

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

## მწვრთნელ(ებ)ი: გია გეგუჩაძე (ზესტაფონი), გია გიგატაძე (ტორპედო)



გია გეგუჩაძე



გია გიგატაძე

ისე როგორც თებერვალსა და მარტში, უმაღლესი ლიგის გუნდებს აპრილშიც სხვადასხვა რაოდენობის მატჩების ჩატარებამ მოუწიათ. მართალია, გასულ თვეში ყველაზე მეტი ქულა თბილისის „დინამომ“ მოაგროვა, პროცენტული მაჩვენებლით საუკეთესო შედეგი ორ გუნდს, „ზესტაფონსა“ და „ტორპედოს“ ჰქონდა. ჰოდა, აქედან გამომდინარე, „თვის მწვრთნელ(ებ)ის“ ნომინანტებად სწორედ ამ ორი იმერული კლუბის თავკაცები, **გია გეგუჩაძე** („ზესტაფონი“) და **გია გიგატაძე** („ტორპედო“) დავასახელეთ. ალბათ, მართლაც სასწაული უნდა მოხდეს, „ზესტაფონი“ საქართველოს ჩემპიონი რომ ვერ გახდეს — გია გეგუჩაძის ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდი ამ ტიტულს, უდავოდ, იმსახურებს და ეს მოსალოდნელი ფაქტი, რაღა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტს შეეფერებოდა, სწორედ ისე იასპარეზა „ზესტაფონმა“ წინა თვეში; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გასული წლის 6 ნოემბრის მერე გუნდს ჩემპიონატში თამაში არ წაუგია! თუმცა, ისევ გასულ თვეს დავუბრუნდეთ, როცა „ზესტაფონს“ ერთი-მეორეზე ურთულესი მატჩები ჰქონდა, მაგრამ საკუთარი სიძლიერე თითქმის ყველა პრინციპულ შეხვედრაში დაამტკიცა. რაც მთავარია, „ზესტაფონმა“ ორი უმთავრესი მატჩი მოიგო უშუალო კონკურენტებთან: 10 აპრილს „დინამო“ დაამარცხა, 23 აპრილს კი სტუმრად „ოლიმპთან“ გაიმარჯვა! სხვათა შორის, მთელი სეზონის განმავლობაში არაერთხელ აგვიღნიშნავს, რომ უმაღლეს ლიგაში ყველაზე დაბალანსებული შემადგენლობა სწორედ „ზესტაფონს“ ჰყავდა; თუმცა, რამდენი შემთხვევა ყოფილა, როცა ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე მართლაც არცთუ ურიგო ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს ხეირიანი შედეგისათვის ვერ მიუღწევია. მოკლედ, მწვრთნელის ფაქტორს ვგულისხმობთ და გეგუჩაძის როლი ამ შემთხვევაშიც უმნიშვნელოვანესია: შემადგენლობის გონივრული როტაციისა თუ კონკრეტულ მეტოქესთან კონკრეტული (ანუ, წარმატების მომტანი) ტაქტიკის არჩევის წყალობით „ზესტაფონი“ ძალიან ახლოს არის საჩემპიონო ტრიუმფთან.

გასული თვე ასევე წარმატებული იყო ქუთაისის „ტორპედოსთვისაც“: გია გიგატაძის გუნდმა აპრილის თვეში ჩატარებულ ჩემპიონატის ექვს მატჩში წაუგებლად იასპარეზა; თანაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „ტორპედოს“ ეს ექვსივე მატჩი ისეთ მეტოქეებთან ჰქონდა, რომელთათვისაც თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თავად განსაჯეთ: ქუთათურებმა ზედიზედ სამი შეხვედრა ჩაატარეს ჩემპიონობის პრეტენდენტებთან („დინამოსთან“, „ზესტაფონთან“, „ოლიმპთან“), შემდეგ კი არანაკლებ რთული სამი შეხვედრა ჰქონდათ ასევე არანაკლებ მოტივირებულ „ბაიასთან“, „კოლხეთთან“ და „სამტრედიასთან“. მოგეხსენებათ, რომ სამივე ეს გუნდი ცხრილის ქვედა ნაწილში იმყოფება, „ტორპედოს“ მთავარი მიზანი კი იმავე აპრილის თვეში საქართველოს თასზე წარმატებული ასპარეზობა უნდა ყოფილიყო. მოკლედ, ბევრს ეგონა, რომ გია გიგატაძის შეგირდები ჩემპიონატის შეხვედრებს ნაკლებად მოტივირებულნი შეხვდებოდნენ და შესაძლო წარუმატებლობის შემთხვევაში ვერც ვერავინ გაამტყუნებდათ, — ბოლოს და ბოლოს, ევროტურნირების საგზურს ხომ მხოლოდ და მხოლოდ თასზე წარმატებული თამაშით თუ მოიპოვებდნენ. თუმცა, „ტორპედომ“ გასულ თვეში „სამართლიანი თამაშის პრინციპებს“ ბოლომდე უერთგულა და როგორც ლიდერებთან, ასევე აუტსაიდერებთან ჩატარებულ ყველა შეხვედრაში უაღრესად მოტივირებულ მეტოქეებს, როგორც იტყვიან, ბოლომდე ებრძოლა! თანაც, საქმე მხოლოდ „ფეირ პლეის“ პრინციპების დაცვაშიც არ იყო — ბოლოს და ბოლოს, საკუთარი პრესტიჟიც ხომ არსებობს და „ტორპედოს“ ასეთი ასპარეზობა, ალბათ დანარჩენი ჩვენი გუნდებისათვისაც მისაბაძი (გნებავთ, „გადამდები“) უნდა იყოს...

## აპრილის სიმბოლური ნაკრები






ეროვნული ბიბლიოთეკა

შოტლანდიის პრემიერლიგა

# სელტიკმა ტიტული გააჩუქა



განრისხებული ლენონი

„სელტიკის“ თავკაცი **ნილ ლენონი** განრისხებულია. მისმა ფეხბურთელებმა „ინვერნესთან“ 3:2 წააგეს და ჩემპიონატში ლიდერობა „რეინჯერსს“ დაუთმეს. დამარცხების სიმწარე წამყვანი ნახევარმცველის, 23 წლის ებრაელი **ბირამ კაიალის** ტრავმამ კიდევ უფრო გაამძაფრა. ექიმებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ მას მაჯა მოტყდა და ტვინი შეერყა. ერთი სიტყვით, კაიალის ჩემპიონატის დარჩენილ სამ შეხვედრაში მოედანზე აღარ ელიან.

თუმცა, ლენონისთვის ყველაზე დიდი დარტყმა, მაინც გუნდის უნიათო თამაში იყო. „სელტიკს“ შეეძლო მოეგო და ცხრილის უმაღლეს საფეხურზე დაბრუნებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. დღეს პირველ პოზიციაზე **უოლტერ სმიტის** შეგირდები არიან, ისინი „სელტიკს“ ერთი ქულით უსწრებენ და დარჩენილ ტურებში ყველაფერი მათ ხელშია. „რეინჯერსს“ სამი თამაში დარჩა: შინ „ჰარტსთან“ და „დანდისთან“, ბოლო ტურში კი სტუმრად „კილმარნოკთან“. გლაზგოელები თითოეულ მათგანს მთელი თავით აღემატებიან და რაიმე საშინელება თუ არ დაემართათ, სამივეს მოუგებენ.

მატჩის შემდეგ ლენონი ემოციას ვერ მალავდა: *„დღეს ჩვენ საკუთარ თავს ვუღალატეთ. მარტო ფეხბურთელებზე არ ვამბობ. საკუთარ თავს ვუღალატეთ მე, ჩემმა თანაშემწე იოჰან მოლბიმ და მწვრთნელმა ალან ტომპსონმაც. დღეიდან ყველაფერი „რეინჯერსის“ ხელშია, რადგან მათ ერთი ქულით მეტი აქვთ. ჩვენზე ერთადერთი რამ არის დამოკიდებული, ყველა დარჩენილი შეხვედრა მოვიგოთ და კონკურენტს კიდევ უფრო არ გავუიოლოთ საქმე. ბრძოლას ბოლო დღემდე გავაგრძელებთ და მერე გამოჩნდება.*

*დიდი იმედი მაქვს, რომ დარჩენილ ტურებში ერთი მოულოდნელობა კიდევ მოხდება. თუკი დარჩენილი გუნდები „რეინჯერსს“ ისეთივე ჟინით შეებრძოლებიან, როგორითაც „ინვერნესმა“ ჩვენ წინააღმდეგ იბრძოლა, ვფიქრობ, სენსაცია მართლაც შეიძლება მოხდეს.*

*ახლა ალბათ თავს დიდი კრიტიკა დაგვატყდება. ჩვენ ეს დავიმსახურეთ. ვხვდები, რომ შემადგენლობა სწორად ვერ შევარჩიე, მაგრამ კვირას, „დანდისთან“ (4:1) გამარჯვებული გუნდის შეცვლა არ მინდოდა. „ინვერნესის“ წინააღმდეგ იმავე შემადგენლობამ ითამაშა. ერთადერთი გამონაკლისი შონ მელოუნი იყო, მაგრამ ის საუკეთესო ფეხბურთელია და ვიფიქრე, გუნდს კიდევ უფრო გავაძლიერებდი.*

*რაც მოხდა, მოხდა. ახლა უნდა დავამტკიცოთ, რომ მართლა ძლიერები ვართ, „ინვერნესთან“ წაგება უნდა გადავიტანოთ და მოედანს ძველებურად შემართულები დავუბრუნდეთ“.*

მატჩის შემდეგ ლენონმა თავისი ფეხბურთელები გასახდელში ჩაკეტა და ახალდამთავრებული თამაშის გარჩევა მოაწყო. ამისათვის მან სავალდებულო სატელევიზიო ინტერვიუებიც კი გააცდინა.

*„განაპირა მცველები, ემილიო ისაგირე და მარკ უილსონი საშინლად თამაშობდნენ. არაფრად ვარგოდნენ ცენტრალური მცველები ჩარლი მალგრიუ და დანიელ მაისტოროვიჩი. საყველპუროდ ითამაშეს თავდამსხმელებმა გერი ჰუპერმა და ენტონი სტოკსმა.*

*რატომღაც, ჩვენი ფეხბურთელების დიდმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ დღეს სეზონის უარესი თამაში უნდა ჩაეტარებინათ. ასე თუ ითამაშებ, ვერ გაიმარჯვებ. უბრალოდ, გამარჯვების ღირსი არ იქნები. იმედი მაქვს, რომ დიდი იმედგაცრუების მიუხედავად, ფანები თავიანთ საყვარელ გუნდს ზურგს არ შეაქცევენ და დარჩენილ შეხვედრებში გაგვამხნევებენ“.*

არსენალი

# ბილეთებს ცეცხლი წაეკიდა

„არსენალი“ ზაფხულში, დონეცკის „შახტარის“ თავდამსხმელის, 22 წლის ბრაზილიელი **უილიანის** ყიდვას აპირებს. თურმე, უილიანი „ემირეიტ სთედიუმზე“ **სამირ ნასრის** შემცვლელად ესახებათ. „მეთოფეთა“ სკაუტებმა „დონეცკელი ბრაზილიელი“ ამ სეზონში რამდენჯერმე ნახეს და ძალიან მოეწონათ. აქვე უნდა ითქვას, რომ უილიანის შეძენაზე უარს არც „ჩელსი“ და „ლივერპული“ იტყოდნენ.

ბუნებრივია გაგიჩნდებოდათ კითხვა: კი მაგრამ, ნასრი სად მიდის? საქმე ის არის, რომ ნასრის ამჟამინდელ კონტრაქტს ძალა მომავალი სეზონის დამთავრების შემდეგ ეკარგება და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ფრანგი ვარსკვლავი „არსენალიდან“ წავა. მართალია, მწვრთნელ **არსენ ვენგერს** ჯერ კიდევ არ გადაუწურავს იმედი, რომ ნასრი კლუბთან ახალ, გრძელვადიან ხელშეკრულებას გააფორმებს, მაგრამ „მეთოფეთა“ მაღალ ეშელონებში გრძნობენ, რომ საკმარისია, ევროპის რომელიმე დიდი კლუბიდან სარფიანი წინადადება მიიღოს, რომ 23 წლის შემტევი ნახევარმცველი გაქცევას შეეცდება. ცხადია, ცნობილია ის გუნდები, რომლებმაც, შესაძლოა, ფრანგის ყიდვის სურვილით „არსენალს“ ჯერ არ მიმართეს, მაგრამ მის შესახებ გაიკითხ-გამოიკითხეს. ესენია: „ინტერი“, „ჩელსი“, „მანჩესტერ სიტი“ და „ბარსელონა“.

დღეს ასეთი მდგომარეობაა: თუ ნასრიმ „არსენალთან“ ახალ კონტრაქტს ხელი ახლავე არ მოაწერა, „მეთოფეები“ შეეცდებიან, ის ამ ზაფხულშივე გაყიდონ, თორემ გაისად ქუდს დაიხურავს და თავისუფალი აგენტის სტატუსით წავა. სხვა სიტყვებით, მომავალი სეზონის შემდეგ ლონდონელები ნასრის სანაცვლოდ კაპიკს ველარ იშოვიან.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ უილიანს, მას „შახტარი“ 22 მილიონ ფუნტს აფასებს. „არსენალი“ ასეთი თანხის გადახდას, სავარაუდოდ, არ აპირებს. ამბობენ, რომ ინგლისელები ვაჭრობას 13 მილიონიდან დაიწყებენ და სადამდე მივლენ, გამოჩნდება.

ამ ბოლო დროს „არსენალის“ კიდევ ერთი წარმომადგენელი, ოღონდ ამჯერად არა ფეხბურთელი, არამედ აღმასრულებელი შეფი, **აივან გაზიდისი**



გაზიდისმა ბილეთები 6 პროცენტით გააძვირა

მოექცა ყურადღების ცენტრში. მან თქვა, რომ პრემიერლიგის კლუბები წლიურ აბონემენტებს ისეთ ფასს ადებენ, რომ სტადიონებზე მაყურებლის რაოდენობა დაიკლებს. მიზეზი: სულ იზრდება და იზრდება სატრანსფერო ბაზარზე ფეხბურთელების ფასი, კლუბებს კი მათ შესაძენად თანხა სჭირდებათ. აღსანიშნავია, რომ გაზიდისის ამ განცხადებას წინ „არსენალის“ მიერ ბილეთების ფასის 6,4 პროცენტით გაზრდა უსწრებდა.

ცნობისათვის: „ემირეიტ სთედიუმზე“ დასწრება მსოფლიოში ყველაზე ძვირი სიამოვნებაა. ახლა ეს სიამოვნება კიდევ უფრო გაძვირდა. ამიერიდან, ყველაზე იაფი აბონემენტი 893-იდან 951 ფუნდამდე გაიზრდება.

გაზიდისმა „არსენალის“ გულშემატკივარს ასე მიმართა: *„სრულიად ვიზიარებ თქვენს გულისწყრომას სეზონური ბილეთების გაძვირების გამო. თქვენ იძულებულნი ხართ ან საოცრად დიდი თანხა გადაიხადოთ, ან ფეხბურთზე აღარ იაროთ. ეს პრინციპული საკითხია, რომელსაც დიდი ყურადღების მიქცევა სჭირდება. ამიტომაც ვუჭერ მხარს უეფას ინიციატივას, რომლის მიხედვითაც ფეხბურთში ფულის ხარჯვას კონტროლი სჭირდება.*

*ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ კლუბები ბილეთების ფასზე ასე ძალიან არ უნდა იყვნენ დამოკიდებული. უმაღლესი დონის კლუბებს ძირითადი შემოსავალი სხვა უნდა ჰქონდეთ. სამწუხაროდ, დღეს „არსენალი“ ბილეთებზე უფრო მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე უშუალოდ კონკურენტებზე“.*

ნიუკასლი

# პერდიუს სატრანსფერო ჩანაფიქრი

დღე ისე არ გავა, პრესაში „ნიუკასლის“ მწვრთნელ **ალან პერდიუს** სატრანსფერო გეგმებზე რომ არ დაიწეროს. ბოლო ინფორმაციის თანახმად, „კაჭკაჭთა“ ხელმძღვანელს „იფსვიჩიდან“ 18 წლის **კონორ უიკჰემის** გადაბირება უნდა, ოღონდ, ამბობენ, რომ პერდიუს ამისათვის „ტოტენჰემსა“ და „ლივერპულთან“ მოუწევს ჭიდილი.

პერდიუს ჯერ კიდევ არ დაუხარჯავს ის 35 მილიონი ფუნტი, რომელიც „ლივერპულისგან“ **ენდი ქეროლის** სანაცვლოდ მიიღო. აქვე გეტყვით, რომ „ნიუკასლის“ თავკაცი ახალგაზრდა ვარსკვლავს კარგად იცნობს. სწორედ მან მიიყვანა ის „რედინგში“, სანამ ფეხბურთელი „იფსვიჩში“ გადავიდოდა.

ამბობენ, რომ პერდიუს ქეროლის სრულფასოვანი შეცვლისთვის ზაფხულში ორი თავდამსხმელის ყიდვა აქვს გადაწყვეტილი. ასახელებენ „რედინგის“ ირლანდიელ ფორვარდ **შეინ ლონგსა** და კარდიფელ **ჯეი ბოთროიდს**. 28 წლის ბოთროიდი, თუ გახსოვთ, კარიერის დასაწყისში, ორი წლის განმავლობაში იტალიურ „პერუჯაში“ აგორებდა ბურთს და ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა.

თუმცა დავუბრუნდეთ უიკჰემს, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში 7 გოლი გაიტანა. არავისთვის არის დამალული, რომ ის სეზონის დამთავრების შემდეგ „იფსვიჩს“ დატოვებს, ოღონდ კლუბი მის სანაცვლოდ 10 მილიონი ფუნტის მიღებას აპირებს. ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ კონორ უიკჰემი არ იყიდება და არც თავად აპირებს სადმე გადასვლას, „იფსვიჩის“ მწვრთნელი **პოლ ჯუელია**.

ამბები



ჯეიმს მაკარტი

## ლივერპული აკვირდება

„ლივერპულის“ თავკაცი **კენი დალგლიში** „უიგანის“ 20 წლის ნახევარმცველ **ჯეიმს მაკარტის** აკვირდება. საინტერესოა, რომ ირლანდიელმა ფეხბურთელმა, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, 2009 წელს ერთი შეხედვით უცნაური გადაწყვეტილება მიიღო — შოტლანდიური „ჰემილტონიდან“ „ლივერპულში“ კი არ გადავიდა, „უიგანი“ ამჯობინა.

ამბობენ, რომ დალგლიში მაკარტის კარგ ფეხბურთელად მიიჩნევს. მოგეხსენებათ, „კოპის მეფე კენი“ მერსისაიდელთა წითელი გუნდის გაახალგაზრდავებას და ბრიტანული სტილის ფეხბურთელებით დაკომპლექტებას აპირებს, „უიგანის“ ნახევარმცველი კი ორივე მოთხოვნას აკმაყოფილებს.

გასულ უქმეებზე დალგლიშმა „უიგანისა“ და „ევერტონის“ შეხვედრაზე (1:1) თავისი ასისტენტი **სემი ლი** გაუშვა.

## ვერმაელენს მალე ვნახავთ

„არსენალის“ ბელგიელი მცველი, 25 წლის **თომას ვერმაელენი** ცხრათვიანი მკურნალობის შემდეგ გამოჯანმრთელდა და კვირას მოედანს დაუბრუნდება. ამ დღეს „მეთოფეები“ სტოკში თამაშობენ.

ვერმაელენი ნაკრებში დაშავდა. მას ბელგიის ეროვნულ გუნდში 31 თამაში აქვს ჩატარებული.

გამოჯანმრთელების შემდეგ, ვერმაელენმა „არსენალის“ სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში მოსინჯა ძალა. ეს გახლდათ მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ, სადაც გაირკვა, რომ ბელგიელს 90 წუთის განმავლობაში თამაშის ძალა შესწევს.

## ვენგერი პირსს მიმართავს

გუშინ მოგახსენებდით, რომ ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების თავკაც **სტიუარტ პირსსა** და „არსენალის“ მწვრთნელ **არსენ ვენგერს** შორის დავაა — ვენგერს არ უნდა, რომ პირსმა მისი 19 წლის ნახევარმცველი **ჯეკ უილშირი** ახალგაზრდათა ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანოს. ნაკრების შეფმა ჯერჯერობით 40-კაციანი სია ჩამოწერა, რომელთაგან ბევრს გაცხრილავს, თუმცა ახლავე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უილშირს არ შეელევა. საინტერესოა, რომ თავად უილშირსაც უნდა ჩემპიონატზე გამგზავრება.

ამ კვირაში მან ინგლისურ ჟურნალ Four Fourtwo-ს უთხრა: *„რასაკვირველია, გამიშვებენ თუ არა დანიაში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, არსენ ვენგერის, ფაბიო კაპელოს და სტიუარტ პირსის გადასაწყვეტია, თუმცა მე მზად ვარ. ჩემს ქვეყანას ნაკრებში თამაშზე არასდროს ვეტყვი უარს“.*

გუშინ მოგახსენეთ, რომ პირსმა რამდენჯერმე სცადა ვენგერთან დაკავშირება, რათა დაპირისპირება მსჯელობაში გადაეზარდათ და მაგიდასთან გაერკვიათ უილშირის ამბავი, მაგრამ ვენგერმა ტელეფონი არ აიღო. ახლა, „არსენალის“ ფრანგი მწვრთნელი აცხადებს, რომ აუცილებლად მიმართავს პირსს ჭაბუკ ნახევარმცველთან დაკავშირებით.

## დოილი ვერ ითამაშებს



კევინ დოილი

„ვულვერჰემპტონის“ მწვრთნელი **მიკ მაკარტი** ამბობს, რომ 27 წლის ირლანდიელ თავდამსხმელ **კევინ დოილს** ვერც ამ კვირას ათამაშებს „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ წინააღმდეგ. როგორც ჩანს, „ვულვზში“ დოილის დაბრუნების იმედი ჰქონდათ, მაგრამ გაუცრუვდათ. დოილი სანაკრებო შეხვედრაში დაშავდა და მას მერე არ უბურთავია.

„ვულვერჰემპტონისა“ და „ვესტ ბრომვიჩის“ დაპირისპირება კი რეგიონული დერბია. ტერიტორიას, რომელიც ბირმინგემიდან ჩრდილო-დასავლეთით და ვულვერჰემპტონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, ინგლისში „შავ ქვეყანას“ ეძახიან. ხსენებული დერბიც მისია.

„ვულვზის“ 25 წლის მარცხენაფლანგელი (ამ ფრთაზე, დაცვიდან თავდამსხმელის ჩათვლით, ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში) **სტივენ უორდი** „შავი ქვეყნის“ დერბიში გამარჯვებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. მას დიდი პრაქტიკული სარგებელი ექნება — მაკარტის გუნდი მე-19 ადგილზეა და ცდილობს პრემიერლიგიდან გავარდნა რამენაირად აიცილოს თავიდან. ცნობისთვის: „ვულვზმა“ ბოლო ხუთ შეხვედრაში მხოლოდ 2 ქულა მოიპოვა.

„ვესტ ბრომვიჩის“ საქმე კი გაცილებით უკეთ არის. რაც „ლივერპულიდან“ გაგდებული **როი ჰოჯსონი** მივიდა, გუნდი კარგად ათამაშდა და დღეისათვის მე-11 ადგილზეა.

*„დღეს, როდესაც სეზონის დამთავრებამდე სამად-სამი ტურია დარჩენილი, ყველა თამაშს საგანგებო მნიშვნელობა აქვს. მოგება სამივეში აუცილებელია“* — თქვა უორდმა და დასძინა, რომ „ვესტ ბრომვიჩი“ „შავი ქვეყნის“ გუნდი რომ არ ყოფილიყო, მათთან შეხვედრას, ალბათ გულს არ დაუდებდა, რადგან თავი ქუდში აქვს.

## ბექჰემი და ოლიმპიადა



დევიდ ბექჰემი

ინგლისური ფეხბურთის ვეტერანმა, ამერიკის „მეიჯორ ლიგ სოკერში“, კერძოდ კი „ლოს ენჯელეს გელექსიში“ მოთამაშე 36 წლის **დევიდ ბექჰემმა** განაცხადა, რომ ძალიან უნდა 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაში მიიღოს მონაწილეობა.

ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა თქვა: *„მინდა რაიმე ფორმით ოლიმპიადის მონაწილე გავხდე. რასაკვირველია, ყველაფერს ფეხბურთელობა მირჩევნია, მაგრამ გუნდში რაიმე სხვა თანამდებობაზე თუ ამიყვანენ, ბედნიერი ვიქნები“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

სერია A

# ვინ მოიპოვებს ლიგის მეოთხე საგზურს?

## პროგნოზები, ანუ გულშემატკივართა აზრი

| XXXVI ტური | |
|---|---|
| რომა-მილანი | X |
| უდინეზე-ლაციო | X |
| იუვენტუსი-კიევო | 1 |

სერია A-ს მიმდინარე სეზონი ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს და ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასარკვევი. ჯერჯერობით, ოფიციალურად არც ჩემპიონი გაცხადებულა, მაგრამ პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ სკუდეტოს „მილანი" მოიპოვებს. ამიტომ, ყველაზე დიდ ინტერესს ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის ბრძოლა იწვევს. ამ ერთ საგზურს ოთხი გუნდი ეცილება ერთმანეთს და დარჩენილ სამ ტურში დიდი ბრძოლებიც უნდა გაიმართოს. შეგახსენებთ, რომ XXXV ტურის შემდეგ, მეოთხე ადგილს „ლაციო" იკავებს, რომელსაც 60 ქულა აქვს მოგროვილი - ერთი ქულით ნაკლები აქვთ „უდინეზეს" და „რომას", ოთხი ქულით უკან კი ტურინის „იუვენტუსი" გახლავთ. პიემონტელები გასულ უქმეებზე დაუბრუნდნენ სალიგო მარათონს, მას შემდეგ, რაც „ლაციო" დაამარცხეს გასვლაზე და უშუალო კონკურენტს ოთხი ქულის დისტანციაზე მიუახლოვდნენ. მოკლედ, ყველას აინტერესებს, როგორ ჩაივლის დარჩენილი ტურები და ვინ „შეძვრება" ოთხეულში - „კალჩო 2000"-მა საინტერესო გა,მოკითხვა ჩაატარა და ყველა იმ შეხვედრაზე მიიღო პროგნოზები, რომლებშიც ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. გამოკითხვაში უბრალო გულშემატკივრებმა მიიღეს მონაწილეობა და საინტერესო შედეგებიც დაფიქსირდა. ქვემოთ, ტურების მიხედვით გავყვეთ და მატჩების პროგნოზებთან ერთად, ანალიზიც გავაკეთოთ - სულ ბოლოს, პროგნოზების შედეგად მიღებულ საბოლოო ცხრილს გავეცნოთ...

მომდევნო ტურში ორი სუპერმატჩი გაიმართება - ერთში „რომა" მიიღებს „მილანს", ხოლო მეორეში, „უდინეზე" „ლაციოს". ორივე პაექრობაში ერთმანეთის პირისპირ ზემოტივირებული გუნდები წარსდგებიან და წესით, დიდი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს. მართალია, დედაქალაქში მარცხი „მილანისთვის" ტრაგედია არ იქნება, მაგრამ როდესაც ასე ახლოს ხარ სანუკვარ მიზანთან, საქმის გადადება მაინცდამაინც სასურველი არ უნდა იყოს. ყველა შემთხვევაში, „მილანი" ქულის ასაღებად ჩავა რომში და თუ გამოუვიდა, სამ ქულასაც სიამოვნებით დაიმატებს. თავის მხრივ, „ჯალოროსი" იბრძოლებს ბოლო ამოსუნთქვამდე და ამიტომ, რაიმე პროგნოზის გაკეთება ერთობ რთული გახლავთ. და მაინც, გულშემატკივართა უმეტესობის აზრით, მატჩი ფრედ დასრულდება, „მილანი" სკუდეტოს მოიგებს, „რომა" კი საგრძნობლად გაიმრუდებს მიზნისკენ მიმავალ გზას.

ბოლო დროს, „უდინეზეს" ჩავარდნა აქვს და ქულებსაც უხვად კარგავს, თუმცა ვერც იმაზე დავდებთ თავს, რომ „ლაციოა" შესანიშნავ ფორმაში. თანაც, ამ გუნდების ჯახს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ, წესით, ფრთხილი თამაში უნდა ვიხილოთ. მართალია, ზონების და მთლიანად თამაშის ჩაკეტვა „უდინეზეს" ნაკლებად გამოსდის, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „ლაციო" არაა თავდასხმაში მრისხანე, წესით საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა მასპინძლებს იმაზე უფრო უკეთ უნდა გამოუვიდეთ, ვიდრე ეს ფლორენციაში შეძლეს. მოკლედ, ძალიან დაძაბული, პრინციპული მატჩი გველის, რომლის ყველაზე პროგნოზირებადი შედეგი ფრეა. აი, რაც შეეხება „იუვენტუსს", **ლუიჯი დელ ნერის** გუნდი „კიევოს" უმასპინძლებს და წესით, სამი ქულა უნდა ჩაიწეროს აქტივში.

| XXXVII ტური | |
|---|---|
| ლაციო-ჯენოა | 1 |
| პარმა-იუვენტუსი | X |
| კატანია-რომა | 2 |
| კიევო-უდინეზე | X |

„უდინეზე" ცუდ ფორმაშია, ეს ზემოთაც აღვნიშნეთ და ამიტომ, გულშემატკივრებმა ფრიულელებს „კიევოსთანაც" გააყოფინეს ქულები. მართალია, ვერონელებს თავი ქუდში აქვთ და სერია A-დან გავარდნა არ ემუქრებათ, მაგრამ ამ გუნდს ნებისმიერ შემთხვევაში ახასიათებს ბრძოლა და წესით, იოლად არ უნდა დათმოს თამაში.

„ლაციომ" „ჯენოას" უნდა უმასპინძლოს, რაც რომაელებისთვის საკმაოდ კარგი პერსპექტივაა. „ბიანკოჩელესტეს" უფრო ჩაკეტილ, საკუთარ საჯარიმოში გამაგრებულ გუნდებთან უჭირს თამაში, რადგან წინა ხაზზე კრეატიულობა აკლია და სწორხაზოვანი შეტევები ახასიათებს. თითქოს არც **მაურო სარატეს** დაეწუნება ტექნიკა და არც **ერნანესს**, მაგრამ ფაქტია, რომ რომაელთა შეტევები ხშირ შემთხვევაში ერთფეროვანია. ამიტომ, „ჯენოას" დარ ხალისიან გუნდთან ასეთ მნიშვნელოვან მომენტში დაპირისპირება, სწორედაც რომ კარგი პერსპექტივაა. მით უმეტეს, გენუელებს აღარაფერი აქვთ საბრძოლველი და წესით, უნდა გახსნან თამაში. „ლაციო" გაცილებით უფრო მოტივირებული იქნება და ამიტომ, სამი ქულა სწორედ **ედი რეიას** სამწყოსს უნდა მივაწეროთ.

სიცილიაში „კატანიასთან" თამაში არასდროს ყოფილა იოლი, მაგრამ გულშემატკივართა უმეტესობამ უპირატესობა მაინც „რომას" გამარჯვებას მიანიჭა. დიახ, „ჯალოროსი" „კატანიას" ესტუმრება და შეეცდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქულები მოიპოვოს. ვნახოთ, ფაქტია, რომ გულშემატკივართა უმეტესობას **ვინჩენცო მონტელას** გუნდის გამარჯვების სჯერა.

რაც შეეხება „იუვენტუსს", პიემონტელებს „პარმასთან" უწევთ გასვლითი პაექრობის ჩატარება, გუნდთან, რომელიც ბოლო დროს შესანიშნავად ასპარეზობს და სერია B-ში დაქვეითება აღარ ემუქრება. მიუხედავად იმისა, რომ „იუვე" გაცილებით უფრო მოტივირებული იქნება, გულშემატკივართა უმეტესობამ საყაიმო რეზულტატს დაუჭირა მხარი. ამას აქვს თავისი ახსნა - „პარმას" ტიფოზებისთვის „ბიანკონერი" პრინციპული მეტოქეა და ფეხბურთელებსაც მაქსიმუმს მოთხოვენ. ამიტომ, ემილიელები თავს არ დაზოგავენ და ასეთ შემთხვევაში, ფრის ალბათობა საკმაოდ დიდია.

| XXXVIII | |
|---|---|
| ლეჩე-ლაციო | 2 |
| უდინეზე-მილანი | 1 |
| რომა-სამპდორია | 1 |
| იუვენტუსი-ნაპოლი | 1 |

უკანასკნელ ტურში, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ ოთხივე გუნდს გულშემატკივრებმა გამარჯვება უწინასწარმეტყველეს. არადა, იმავე „უდინეზეს" თვით „მილანი" ჰყავს მეტოქედ - სავარაუდოდ, იმ დროისთვის უკვე იტალიის მოქმედი ჩემპიონი. გამომდინარე აქედან, ხმათა დიდი ნაწილი ფრიულელთა გამარჯვებას ერგო, რადგან „როსონერი" სრულიად უმოტივაციოდ ჩავა უდინეში და თანაც, ალბათ რამდენიმედღიანი ზეიმის და მოლხენის შემდეგ. მოკლედ, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც „უდინეზეა" ფავორიტი „მილანთან" და არა პირიქით.

„ლაციო" „ლეჩეს" ესტუმრება, გუნდს, რომელიც 35 ტურის შემდეგ, გასავარდნ ზონაშია. ბევრი რამე იმაზე იქნება დამოკიდებული, რომელ ადგილზე შეხვდება „ლეჩე" უკანასკნელ ტურს, თუმცა ფავორიტი რომ ნებისმიერ შემთხვევაში „ლაციო" იქნება, ესეც ცალსახაა. ამიტომ, სრულიად ლოგიკურად გულშემატკივართა ხმების აბსოლუტური უმეტესობა სწორედ რომაელთა გამარჯვებას ერგო.

მეორე დედაქალაქური გუნდი „სამპდორიას" მიიღებს და აქაც დაახლოებით ის ვითარებაა, რაც „ლეჩეს" შემთხვევაში. საინტერესო დამთხვევა კია, უკანასკნელ ტურში წყვილად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს სხვადასხვა მიზნისთვის მებრძოლი გუნდები. ამ შემთხვევაში, გამოკვეთილ ფავორიტად „რომა" მოსჩანს და ქომაგებმაც „სამპა" უშანსოდ მიიჩნიეს.

„იუვენტუსი" „ნაპოლის" უმასპინძლებს და უმრავლესობის აზრით, უნდა გაიმარჯვოს კიდეც. ერთი, რომ „ნაპოლი" იქნება სრულიად უმოტივაციოდ და მეორე, „ბიანკონერი" თამაშობს ძლიერ გუნდებთან საკმაოდ კარგად. მიმდინარე სეზონში, „იუვე" გაცილებით უფრო შედეგიანად ირჯება ფავორიტებთან, ვიდრე საშუალო რანგის და აუტსაიდერ მეტოქეებთან. მოკლედ, სამი ქულა „იუვენტუსს".

ბოლოს, პროგნოზების შედეგად მიღებულ ცხრილს გავეცნოთ - ბუნებრივია, მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ გუნდებზე გვაქვს საუბარი.

| | თ | ქ |
|---|---|---|
| 4. ლაციო | 38 | 67 |
| 5. რომა | 38 | 66 |
| 6. უდინეზე | 38 | 64 |
| 7. იუვენტუსი | 38 | 63 |

**ლაშა ნიკლაური**



ვინ უფრო მაღლა ახტება: „ლაციო", „რომა" თუ მათი კონკურენტები?

მოსაზრება

# კაპელო მილანის წარმატებაზე

მიუხედავად იმისა, რომ „მილანი" ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას მერვედფინალურ ეტაპზე გამოეთიშა, სეზონი ცალსახად წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ლომბარდიულ გრანდს დიდი ხანია, რაც სკუდეტო არ მოუგია და თუ სასწაული არ მოხდა, მიზანს უახლოეს პერიოდში მიაღწევს. მოკლედ, „როსონერი' ერთი ფეხის ნაბიჯზეა ჩემპიონობასთან, გუნდის წარმატების მიზეზებზე კი ძალიან ბევრი საფეხბურთო მოღვაწე აკეთებს კომენტარს. ერთ-ერთი ასეთთაგანი ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, **ფაბიო კაპელო** გახლავთ:

*„სერია A-ს მიმდინარე გათამაშებას დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს და უნდა ვთქვა, რომ ბევრად უფრო დაძაბული ჩემპიონატია, ვიდრე წინა წლებში. ჩემპიონი აუცილებლად „მილანი" გახდება და თანაც, სრულიად დამსახურებულად. ლომბარდიელებმა ძალიან კარგად წარმართეს სატრანსფერო კამპანია და შედეგსაც შესაბამისს იმკიან. ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და რობინიომ შეტევა ერთი-ორად გააძლიერეს - თანაც, სხვადასხვა ტიპის ფორვარდები არიან და „როსონერის" შეტევები გაცილებით უფრო მრავალფეროვანი გახდა, ვიდრე აქამდე იყო. კევინ პრინც ბოატენგმა სისწრაფე, მობილურობა შემატა გუნდს, რაც მარკ ვან ბომელმა კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანა. პოზიტიური როლი ითამაშა ანტონიო კასანომაც, რომელიც განსაკუთრებით იბრას დისკვალიფიკაციისას გამოადგა „მილანს" და ეს პერიოდი დღემდე გრძელდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ალესანდრო ნესტამ ჩაატარა სეზონი სერიოზული ტრავმების გარეშე - როდესაც ის მოედანზე, დაცვაში სრული სიმშვიდეა".*

**ლაშა ნიკლაური**



ფაბიო კაპელო

კვირის ფრაზები

### მატადორის და მშვიდი ხარის ორთაბრძოლა

თურქეთის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გუს ჰიდინკმა** მადრიდის „რეალის" თავკაცი **ჟოზე მოურინიო** გააკრიტიკა იმ განცხადებებისდა გამო, რომელიც „განსაკუთრებულმა" გააკეთა „ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ - წერს ესპანური გამოცემა „ასი". შეგახსენებთ, რომ მოუმ უეფას „ბარსელონას" მიმართ მსაჯების დახმარება დააბრალა, რის შესახებაც ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ასე ისაუბრა: *„მოურინიო უკვე აჭარბებს — თავისი განცხადებებით ის უბრალოდ ცდილობს, საფეხბურთო სამყაროს ყურადღება თავისი გუნდის თამაშისგან გადაიტანოს. „რეალის" სრული კრახი მან 2009 წელს „ჩელსის" დაცემას შეადარა, მაგრამ დიდი სხვაობა იმაშია, რომ მაშინ არავინ საუბრობდა კორუფციაზე. რასაკვირველია, იმ დროს ფინალის საგზური მოგვპარეს, მაგრამ თავს იმდენის უფლება არ მივეცით, ასეთი განცხადებები გაგვეკეთებინა. მიკვირს, ამდენი ხანი რატომ არ ითხოვენ მადრიდელები მის გაშვებას".*

### უეინ რუნი: მესიზე უკეთესი

„მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდა თავდამსხმელმა, მექსიკელმა **ხავიერ ერნანდესმა** განაცხადა, რომ აღფრთოვანებულია მისი თანაგუნდელის **უეინ რუნის** თამაშით. ჩიჩარიტოს სიტყვების ციტირებას გაზეთი „სანი" ასე ახდენს: *„მე ადრეც ძალიან მომწონდა უეინი, მაგრამ ახლა ვტკბები მის გვერდით თამაშით - ის, უბრალოდ, უნიკალურია. ორი აზრი არ არსებობს: რუნი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, როგორც ბომბარდირი, ლიონელ მესის სჯობს, როგორც ლიდერი — კრიშტიანო რონალდოსაც. უეინ რუნი მესისა და რონალდოს ნაზავია".*

### შვაინმა, ბავარიული ფეხბურთი ვაჩვენეთო

მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველმა და ლიდერმა **ბასტიან შვაინშტაიგერმა** თქვა, „შალკესთან" (4:1) მატჩში ჩვენ ისეთი ფეხბურთი ვითამაშეთ, როგორიც მიუნხენის „ბაიერნს" შეეფერებაო. *„ამ მატჩში დავანახეთ ყველას, თუ როგორ შეუძლია „ბავარიას" თამაში - ამბობს შვაინი - ყოველ შემთხვევაში, პირველი 35 წუთი ამის ნათელი დადასტურება გახლდათ. სამწუხაროდ, ამ სეზონში არც ისე ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთ ფეხბურთს ვაჩვენებთ".* „ბასტიმ" იმავე „შალკეს" მეკარე **მანუელ ნოიერის** ტრანსფერზეც თქვა ორიოდ სიტყვა: *„არ მესმის, რატომ არის ზოგიერთი ჩვენი ქომაგი ასე ნეგატიურად განწყობილი ნოიერისადმი. მანუელი ბრწყინვალე გოლკიპერი და ადამიანია. ვიმედოვნებ, ის მომდევნო სეზონში ჩვენთან იქნება".*

### კვირის გმირები

კვირის გმირებად, ჩვენ, რასაკვირველია დორტმუნდის „ბორუსიას" ფეხბურთელებს ვასახელებთ, რომელთაც ამ უქმეებზე გაინაღდეს გერმანიის ბუნდესლიგის „ვერცხლის სინის" მოგება - დაამარცხეს რა „ნიურნბერგი" სახლში 2:0. **იურგენ კლოპის** შეგირდებმა ეს დაიმსახურეს - მთელი სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარეს და დაუფასდათ ეს ღვაწლი!

### კვირის სიმბოლური

(4-4-2): **ალი ალ-ჰაბსი** (უიგანი) — **საშა რიტერი** (ვოლფსბურგი), **ტომაშ უიფალუში** (ატლეტიკო), **ტიაგო სილვა** (მილანი), **ლორან კოშილნი** (არსენალი) — **ალვარო სეხუდო** (ოსასუნა), **მარკო როისი** (გლადბახი), **სანდრო** (ტოტენჰემი), **აარონ რემსი** (არსენალი) — **სერხიო აგუერო** (ატლეტიკო), **პიტერ ოდემვინგიე** (ვესტ ბრომვიჩი).

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბარსელონა

# ცეკვავენ აბიდალი, ალვეში და პიკე

## ბარსელონაში რონალდ კუმანი ისინჯება

როცა „ბარსელონა"-"რეალის" მეოთხე დაპირისპირება დასრულდა, „კამპ ნოუზე" დიდი ზეიმი დაიწყო. კატალონიელი ფეხბურთელები ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლას ჯერ გარეთ ზეიმობდნენ, შემდეგ კი ყველაფერი გასახდელში გაგრძელდა. და იქ მთავარი მოქმედი გმირი **ერიკ აბიდალი** იყო, რომელმაც კიბო დაამარცხა და სპორტში დაბრუნდა. ფრანგი მცველი ყოველთვის ითვლებოდა თანაგუნდელთა ერთ-ერთ მთავარ ამყოლიებლად და გულლია ადამიანად. აბიდალმა ძველი, კარგი დრო გაიხსენა და გასახდელის ცენტრში ცეკვა დაიწყო, ფეხბურთელებმა მას წრე შემოარტყეს და ტაშით ამხნევებდნენ. მათ შორის ყველაზე მხირულებმა, **დანი ალვეშმა** და **ჟერარდ პიკემ** კი ვერ მოითმინეს და აბიდალთან ერთად იცეკვეს. გასახდელის ზეიმს მხოლოდ ორი ფეხბურთელი დააკლდა, კაპიტანი **პუიოლი** და ახალგაზრდა მცველი **ფონტასი**. მაგრამ მათ სხვა გზა არ ჰქონდათ - შემთხვევითი შერჩევით დოპინგ-კონტროლზე წასაყვანად ეს ორი ამოირჩიეს.

თამაშის მეორე დღეს მთელი გუნდი რესტორან „ლა მასია დე სანტ კუგატში" შეიკრიბა, სადაც ფინალში გასვლა მეუღლეებთან ერთად აღნიშნეს.

ბარსელონური „სპორტი" იუწყება, რომ „ბარსას" ჭაბუკთა გუნდ ჟუვენილ ბ-ში სინჯებზე იმყოფება... **რონალდ კუმანი**. ის ბრწყინვალე ჰოლანდიელი ფეხბურთელის, ყოფილი ბარსელონელი **რონალდ კუმანის** ვაჟია, მაგრამ მისგან განსხვავებით მეკარეა და არა მინდვრის მოთამაშე. კვირას „ბარსელონას" დერბი ექნება „ესპანიოლთან". ამ კლუბების ხელმძღვანელთა შორის დაძაბული ვითარების გამო „ესპანიოლის" პრეზიდენტი „კამპ ნოუზე" ვიპლოჟაში არ ჯდებოდა, ახლა კი ურთიერთობა დათბა და **დანიელ სანჩესი** ლოჟაში იქნება, „ბარსას" პრეზიდენტ **სანდრო როსელთან** ერთად.

„სპორტის" ინფორმაციით, „ბარსას" არგენტინული „ლანუსის" გოლკიპერ **ესტებან ანდრადას** შეძენა სურს. 20 წლის გოლკიპერს არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებშიც იწვევენ ხოლმე. „ლანუსის" პრეზიდენტმა **ნიკოლას რუსომ** დაადასტურა, რომ ამ ტრანსფერზე „ბარსასთან" მოლაპარაკება მიმდინარეობს. არგენტინული კლუბი ნიჭიერი მეკარის სანაცვლოდ 4 მილიონ ევროს ითხოვს, ევროპელები ფასის დაწევას ელიან. ამბობენ, სიტუაციას ნათელი თვის ბოლოს მოეფინებაო.

ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშით „ბარსელონამ" უკვე 35 მილიონი ევრო დაიბევა, რომელიც 40 მილიონად იქცევა „უემბლიზე" გამარჯვების შემთხვევაში. უეფა-მ „ბარსელონას" „უემბლიზე" 24 ათასი ბილეთი გამოუყო, სტადიონი კი 90 ათას ადამიანს იტევს. ბილეთების ფასი 89-დან 333 ევროს ფარგლებში მერყეობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ბარსელონას ფეხბურთელები ნადიმზე იკრიბებიან

● რეალი

# ახლა ზიდანიც?

**ჟოზე მოურინიოს** კიდევ ერთი კრიტიკოსი შეემატა - **ზინედინ ზიდანი**. **ფლორენტინო პერესის** პირადი მრჩეველი, „სექსტას" და „სპორტის" ცნობით, ძალიან უკმაყოფილო ყოფილა, რომ პორტუგალიელმა ჩემპიონთა ლიგის 180-წუთიან დაპირისპირებაში „ბარსელონასთან" ერთი წუთითაც არ ათამაშა მისი თანამემამულე **ქარიმ ბენზემა**. ზიდანს ვერაფრით აუხნია ამის მიზეზი - აი, „ელ პაისი" კი ცოტა ფანტასტიკურ ვერსიას გვთავაზობს: მოურინიომ ფრანგი ფორვარდი იმიტომ არ ათამაშა, რომ ბენზემამ პრესკონფერენციაზე მსაჯის მოქმედება არ გააკრიტიკა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ზიდანი და მოურინიო ბენზემას გამო წაიკიდნენ?



# იოჰან კრუიფის სვეტი

## ახლა მოუს აქვს პასუხი



ჟოზე მოურინიო

**იოჰან კრუიფმა** თავისი მორიგი სვეტი გაზაფხულის 4 „კლასიკოს" ზოგად შეფასებას უძღვნა. ჩვენც მას ოდნავი შემოკლებით გთავაზობთ:

საპასუხო მატჩი „ბარსამ" იდეალურად ითამაშა, გული დამწყდა, რომ ვერ მოვიგეთ, თუმცა ეს არც იყო საჭირო. კარგი იქნება, **ჟოზე მოურინიო** თუ ჩაინიშნავს თავის ბლოკნოტში: „რეალმა" ჩემპიონთა ლიგის სეზონის ანტირეკორდი დაამყარა, მისი ფეხბურთელები 31-ჯერ დაჯარიმდნენ. 0:2-ის შემდეგ პორტუგალიელმა ძალიან ბევრი „რატომ" თქვა. ვფიქრობ, მოურინიოს ახლა ყველა რატომზე პასუხი აქვს - იმიტომ, რომ თქვენი გუნდი თამაშში 31-ჯერ უხეშობს. ამ საღამოსაც იმსახურებდა მოურინიო 10 კაცით (**ლასანა**) და, თუნდაც 9 კაცით (**ადებაიორი**) დარჩენილიყო. რატომ? - როცა ბურთს მეტოქეს აძლევ, ეს იმას ნიშნავს, რომ ის პასს პასზე გააკეთებს, შენ კი უნდა ირბინო, დაიღალო, სადღაც ვერ მიასწრო და დაჯარიმდე. და სანამ ისინი ამ სტილში ითამაშებენ, გაძევების რისკი მუდმივად მაღალი ექნებათ. მოურინიომ ამის შესახებ ძალიან კარგად უწყის.

**1. კასილიასმა ისევ არ გაუშვა ბევრი:** „ბარსამ" თითქმის იდეალურად ითამაშა, თითქმის, რადგან არ მოუგია. ჩვენმა გუნდმა არ მოიგო, რადგან **კასილიასი** კვლავ ძალიან მაგრად იდგა კარში. გუნდი კარგად აკონტროლებდა თამაშის რიტმს, ჩვენ არ გვესაჭიროებოდა თავქუდმოგლეჯილი შეტევა, სიტუაცია სხვანაირი იყო, მაგრამ „ბარსა" 180 წუთის უმეტესი დრო სრულად აკონტროლებდა სიტუაციას ამ წყვილში.

**2. როგორც იქნა, „ბარსა" დიდი უპირატესობით გავიდა ფინალში:** როცა მუნდიალიდან დაღლილი ფეხბურთელები მოდიან, როცა ლა ლიგას დიდი სხვაობით იგებ, მაშინ ლიგის ფინალში გასვლა დიდი გმირობაა. **პეპი**, ბიჭები მზად იყვნენ მსოფლიო ფეხბურთში ჰეგემონიისთვის და ამიტომაც გავედით ფინალში. მოურინიოს შეუძლია დაუსრულებლად ილაპარაკოს, მაგრამ მადრიდელებს 180 წუთიდან ერთხელაც არ მისცემიათ შანსი „ბარსას" ლიგიდან გამოგდებისა. ამ დაპირისპირებამ აჩვენა, ვინ არის საუკეთესო.

**3. ჩუქნი ბურთს, უშვებ მეტ შეცდომას:** „რეალმა" მხოლოდ ერთი ტურნირი მოგვიგო, ისიც დამატებით დროში. სხვა დანარჩენ სამ მატჩში „მასპინძელი" „ბარსა" იყო. მან საქმით გაამყარა მსოფლიო ფეხბურთის მეწინავეობა. „რეალიც" სადღაც ახლოსაა ელიტასთან, თუმცა დღეისათვის „ბარსას" ჟოზე მოურინიოს გუნდი ბევრად ჩამორჩება. თუ როგორ დაენიოს „ბლაუგრანას", მოურინიომ უკვე იცის... ლიგის ნახევარფინალიდან გავარდნის მერე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● გამოხმაურება სკანდალზე

# ვიეირა: ისინი უნდა წავიდნენ

## ლიზარაზუ: ბლანის გადადგომა სამწუხარო იქნება

"მანჩესტერ სიტის" საყრდენი ნახევარმცველი **პატრიკ ვიეირა** საფრანგეთში მძვინვარე საფეხბურთო სკანდალს გამოეხმაურა. ჩვენი გაზეთის მკითხველს დეტალებს აღარ შევახსენებთ, უბრალოდ ყოველივეზე იმ ფეხბურთელის მოსაზრებას გაგაცნობთ, რომლის ღვაწლი ბოლო ოცწლეულის ფრანგულ ფეხბურთში განუზომელია. "მე შოკში ვარ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებად მოვიდოდნენ ადამიანები, რომლებიც მსგავსი ტერმინებით ილაპარაკებდნენ. ლორან ბლანთან შესანიშნავი ურთიერთობები მაკავშირებს და არ მინდა დავიჯერო, რომ ის შეიძლება რასისტი იყოს, მაგრამ... ის ფრაზები, რაც წავიკითხე ძალიან მაკვირვებს. მეტსაც გეტყვით, ჩემთვის ეს სკანდალის ტოლფასია. ვიმეორებ, შოკში ვარ. არანაირი მნიშვნელობა არ ექნება იმას, რომ ხელი მხოლოდ ერთ ადამიანს შევაწმინდოთ, მაშინ, როცა მთელი გარემოცვა მის პოზიციაზე დგას. ლოგიკური იქნებოდა, თუკი თანამდებობას დატოვებდა ყველა, ვისაც აღნიშნულ პროექტთან რამე შეხება ჰქონდა. ვინ უნდა წავიდეს, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ გეტყვით, რომ არ მესმის, თუ რა ნამუსით ჩერდებიან თავიანთ ადგილებზე ეს ადამიანები. თუკი ამხელა სკანდალის შემდეგ არაფერი შეიცვლება, რასობრივი დისკრიმინაციისთვის ნიშანი იქნება, რაც კარგს არაფერს მოგვიტანს," - განუცხადა "ლე მონდს" პატრიკ ვიეირამ.

ყოფილი თანაგუნდელის მიმართ ასეთი რადიკალური ზომების გატარებას არ ემხრობა საფრანგეთის დიდი ნაკრების კიდევ ერთი ვარსკვლავი **ბიქსან ლიზარაზუ**. ბლანმა ბოდიში კი მოიხადა საზოგადოების წინაშე, მაგრამ დღემდე ამტკიცებს, რომ მას აზრადაც არ მოსვლია რასისტული იდეების მხარდაჭერა. მძიმე ჟამს ლიზარაზუ მეგობარს პრესის ფურცლებიდან გამოეხმაურა და მხარდაჭერა აღუთქვა. "თუკი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონ გუნდში რამე უთანხმოება ხდებოდა, ამაში ეთნიკური კუთვნილება და კანის ფერი არაფერ შუაში იყო. უთანხმოება და კამათი კი დეტალებზე ყველგან და ყოველთვის ხდება. ვიცი ერთი რამ, ლორანი კვოტების შემოღების იდეას არ ეთანხმებოდა და მე ვაცხადებ, რომ სწორედ ამიტომ შეუძლია გვერდით მიგულოს. თუკი ამ გაუგებრობის გამო ბლანს თანამდებობიდან გაათავისუფლებენ, ეს ძალიან სამწუხარო იქნება. მან საფრანგეთის ნაკრებში დანიშვნის შემდეგ დიდი საქმე გააკეთა და შუა გზაზე მისი ჩამოცილება ლოგიკური არ იქნება", - განუცხადა ლიზამ "ფრანს პრესს".

აქვე გეტყვით მსოფლიოს ჩემპიონთა გუნდში მომხდარ რომელ ინციდენტზე აქვს ლაპარაკი ლიზარაზუს: 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ **ლილიან ტურამმა** მსოფლიოს თასთან ერთად ერთი ფოტოს გადაღება მოინდომა... მხოლოდ შავკანიანი ფეხბურთელების გარემოცვაში, რამაც **კრისტოფ დიუგარისა** და ტურამს შორის სერიოზული შეხლა-შემოხლა გამოიწვია.

**ლევან ბიბილაშვილი**

● თავგადასავალი ჰონკონგში

# იდიოტურ ტურნირს ვერაფერი გავუგე

**მატეა კეჟმანი** თავისი უხიაგი ხასიათით საყოველთაოდ არის ცნობილი. ალბათ სწორედ ამის გამო არ შედგა მისნაირი ნიჭიერი თავდამსხმელის კარიერა. პრაქტიკულად არც ერთი მწვრთნელი, ვისთანაც მას უმუშავია, ფეხბურთელზე კარგს არაფერს ამბობს. თავისი უცნაური გამოხდომებით მან უკვე მშვიდი ჰონკონგელებიც გაალიზიანა. მატეას კლუბმა "სამხრეთ ჩინეთმა" აზიის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში წააგო, რამაც სერბი ფეხბურთელი გაალიზიანა. გთავაზობთ ციტატას, რამაც მცირე სკანდალიც კი გამოიწვია: "ძალიან უსამართლო შეჯიბრებაა, რადგან აქ მასპინძლებს ყოველთვის დიდი უპირატესობა აქვთ. ეს არის ყველაზე ცუდი შეჯიბრება, სადაც კი ოდესმე მითამაშია. შეუძლებელია 18-საათიანი ფრენის შემდეგ აუტანელ სიცხეში ფეხბურთი კარგად ითამაშო, თანაც ამ სულელურ ტურნირში. აქ ხომ ნახევარ ძალას მხოლოდ იმისთვის ხარჯავ, რომ დანიშნულების ადგილას ჩაფრინდე. გეფიცებით, აქამდე ყველაფერს ვაკეთებდი, რათა ყველაფერს შევგუებოდი, მაგრამ ადაპტაცია გამიძნელდა. ვიცოდი, რომ ფეხბურთის დონე მაინცდამაინც მაღალი არ იყო,



მატეა კეჟმანის მთავარი მტერი მისი რთული ხასიათია

მაგრამ ამას არ ველოდი. კონკურენციაც გუნდებს შორის დიდი ვერაფერია. აქ ორად ორი რამ მომწონს: ქალაქი, სადაც ვცხოვრობ და კლუბი, სადაც ვთამაშობ, გარს მხოლოდ კეთილი ხალხი მახვევია, ვინც მუდამ მზად არის დასახმარებლად. თუმცა გავიმეორებ, რომ ამ იდიოტურ ტურნირს ვერაფერი გავუგე".

**ლევან ბიბილაშვილი**

● ევროპის ლიგა. ნახევარფინალი

| საპასუხო მატჩი | |
|---|---|
| ვილიარეალი (ესპანეთი) | 3 |
| პორტუ (პორტუგალია) | 2 |
| პირველი მატჩი 1:5 | |

**ვილიარეალი (4-4-2):** დიეგო ლოპესი – გასპარი, მუსაჩიო, კაპდევილა, ბრუნო, კანი – მატილია (57. მარჩენა), კასორლა (57. ვაკასო), რუბენი – ნილმარი (67. სენა), როსი.
**პორტუ (4-4-2):** ჰელტონი – საპუნარო, როლანდო, ოტამენდი, კ. როდრიგესი (32. ხ. როდრიგესი) – გუარინი, პერეირა, მოუტინიო (52. სოუზა), ფერნანდო (61. რუბენი) – ჰალკი, ფალკაო.
**გოლები:** 1:0 კანი (17), 1:1 ჰალკი (40), 1:2 ფალკაო (48), 2:2 კაპდევილა (77), 3:2 როსი (80-პენ.).

| საპასუხო მატჩი | |
|---|---|
| ბრაგა (პორტუგალია) | 1 |
| ბენფიკა (პორტუგალია) | 0 |
| პირველი მატჩი 1:2 | |

**ბრაგა (4-4-2):** არტური – მიგელ გარსია, როდრიგესი, პაულაო, სილვიო – მოსორო (80. კაკა), კუსტოდიო, უგო ვიანა, მეიონგი (87. ბარბოსა) – ლიმა (73. სალინო), ალანი.
**ბენფიკა (4-3-1-2):** რობერტო – პერეირა, ლუიზაო, პეიშოტო (58. ხარა), კოენტრაო – მარტინში (81. ალან კარდეცი), გარსია, ჟარდელი – გაიტანი – სავიოლა (87. ფელიპე), კარდოსო.
**გოლები:** 1:0 კუსტოდიო (19).

● ინტერვიუ იურგენ კლოპთან



გერმანიის ჩემპიონის, დორტმუნდის „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი

# ყველაზე მაგარი SMS მაინციდან მომწერეს!

## ჯერ ეს ტიტული შემარგეთ, ჩემპიონთა ლიგაზე მერე ვილაპარაკოთ...

თითქმის ერთი კვირაა, რაც იურგენ კლოპი უკვე ტიტულოვანი მწვრთნელია – 43 წლის სპეციალისტის დორტმუნდის „ბორუსია“ გასულ შაბათს გერმანიის ჩემპიონი გახდა. ზოგადად კი, იურგენი საფეხბურთო გერმანიის ყურადღების ცენტრში ხუთი წლის წინ, 2006 წლის მუნდიალის დროს მოექცა, როცა გერმანიის ნაკრების მატჩებს ტელევიზიისთვის აანალიზებდა. და აი, ხუთი წლის შემდეგ პირველი ტიტულიც მოიგო და როგორც მწვრთნელს წინ დიდი მომავალი აქვს. ჩემპიონობის განაღდების შემდეგ კლოპს პირველი ინტერვიუ, რალა თქმა უნდა, „ბილდმა“ ჩამოართვა.

**- ჰერ კლოპ, როგორ გადაიტანეთ პირველი ღამე გერმანიის ჩემპიონის რანგში?**

- ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სენსაციური დღე, საღამო და ღამე ჩემს ცხოვრებაში. ბიჭებმაც ფანტასტიკურად იზეიმეს. მთელი სეზონის განმავლობაში ძალიან კარგად ვთამაშობდით და მერე მაგრადაც ვისიამოვნეთ. ორი ღამე არ მეძინა, ყველაზე მეტად კი ის მიხარია, რომ ჩვენი ჩემპიონობა ასი პროცენტით დამსახურებულია.

**- სეზონის წინ თქვით, ახლა უკვე საკმარისად ბებერი ვარ იმისთვის, რომ ტიტული მოვიგოო...**

- სიმართლე გითხრათ, ამ დღეებში განტვირთვას უფრო ვგრძნობდი, ვიდრე ემოციებს. არ დაგიმალავთ, მეგონა, რომ როცა ჩვენი ჩემპიონობა გადაწყდებოდა, გაცილებით ემოციური ვიქნებოდი, მაგრამ კიოლნიდან მოსულ ცნობას იმის შესახებ, რომ „ლევერკუზენმა“ წააგო, უჩვეულოდ მშვიდად შევხვდი. თუმცა დარწმუნებული ვარ, ემოციებიც მოვა – ალბათ ბოლო ტურის შემდეგ, როცა „ვერცხლის სინს“ გადმოგვცემენ, ან მაშინ, როცა სინით 200 000-ზე მეტი ქომაგის წინაშე წარვსდგებით. ფაქტი ერთია, „დორტმუნდის“ ეს წარმატება ისტორიაში დარჩება, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო და ღირსეული ჩემპიონობა ბუნდესლიგის ისტორიაში. ახლა კი, უფრო სწორად ჯერჯერობით, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს რამდენიმე დღეა მთვრალი ვარ. არადა, კვირის შემდეგ არ დამილევია.

**- თუ საიდუმლო არ არის, რამდენი მოსალოცი ტექსტური შეტყობინება მიიღეთ?**

- სათვალავი დიდი ხანია ამერია. თამაშის შემდეგ გასახდელში რომ შევედი, ტელეფონზე 159 წაუკითხავი SMS ენერა. ზოგიერთი შეტყობინება კი ისეთი იყო, რომ არასდროს წავშლი!

**- მაგალითად?**

- ყველაზე მაგარი SMS „მაინცის“ მენეჯერმა, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა კრისტიან ჰაიდელმა მომწერა: „ჩემი კლოპო ჩემპიონია, ჩვენ კი მალე უზბეკეთის გუნდთან მოგვიწევს თამაში... რა მაგარია, არა?“

**- გული ხომ არ დაგწყდათ, რომ „მაინცის“ მწვრთნელი არ ხართ?**

- არა, რადგან „მაინცს“ მაინც ვერ გავაჩემპიონებდი... ძალიან მიხარია, რომ მაინცელებმა ფაქტობრივად გაინაღდეს ევროპის ლიგაში თამაში.

**- გულახდილად გვითხარით, როდის ირწმუნეთ, რომ „დორტმუნდს“ გერმანიის ჩემპიონობა შეეძლო?**

- დასამალი აღარაფერია: მეორე წრის პირველ ტურში ლევერკუზენს სტუმრად რომ მოვუგეთ, მაშინ მივხვდი, რომ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაგვეშვა, რომ ჩვენ მართლა შეგვეძლო პირველობა. როცა ჩვენმა უპირატესობამ 13 ქულას მიაღწია, უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემპიონები გავხდებოდით. სხვანაირად არ შეიძლებოდა, ჩვენი პირველობა უკვე გარდაუვალი იყო.

**- როგორ ფიქრობთ, რომელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება?**

- ყველაზე მეტად გელზენკირხენში გამარჯვებამ გამახარა. მართალია, „შალკე“ არ იყო ჩვენი კონკურენტი, მაგრამ ამ გუნდთან ურთიერთობებიდან გამომდინარე, მთელი ამ მტრობის გათვალისწინებით, ყველაზე მეტად სწორედ დერბის სტუმრად მოგებამ გამაბედნიერა. სხვათა შორის, სწორედ იმ გამარჯვების შემდეგ ირწმუნეს ბიჭებმა, რომ ჩემპიონობა შეეძლოთ.

**- უკვე დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ გერმანიაში შესაძლოა, ახალი, დორტმუნდის „ბორუსიას“ ერა დაიწყოს. ფაქტია, რომ ძალიან ახალგაზრდა და უდიდესი პერსპექტივის მქონე გუნდი გყავთ. როგორ ფიქრობთ, რა შეუძლია ამ გუნდს სამომავლოდ?**

- მოდით, ჯერ ამ მომენტით ვისიამოვნოთ, მომავალზე ფიქრისთვის კი დრო ისედაც საკმარისია. „ვერცხლის სინის“ მოგება ჩემს სამწვრთნელო კარიერაში უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ამას არ დავჯერდები. მოსაგები კიდევ ბევრია...

**- მაგალითად ჩემპიონთა ლიგა?**

- ამას სერიოზულად მეკითხებით?

**- სეზონის წინ არც იმას იფიქრებდა ვინმე, რომ გერმანიის ჩემპიონები გახდებოდით...**

- მე მგონი, სიცხე გაქვთ... მოდით, ჯერ იმით ვისიამოვნოთ, რომ „ბორუსია“ გერმანიის ჩემპიონია და ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. ამ სეზონში ევროპის ლიგაში ვთამაშობდით, რის შემდეგაც ეგრევე ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლა უკვე ძალიან დიდი ნახტომია და სხვათა შორის, უმძიმეს წნეხსაც ნიშნავს. მხოლოდ იმის თქმა და დაპირება შემიძლია, რომ ჩვენ ჩემპიონთა ლიგაშიც ბოლომდე, სულ ბოლომდე დავიხარჯებით.

**გოტფრიდ ლენცი**

● ჩემპიონთა ლიგა. სტატისტიკური მიმოხილვა

# ვინ გახდება ოთხგზის

## ისევ ლეო და ისევ მანჩესტერი

მაშასე, ჩემპიონთა ლიგის 2010/11 წლების სეზონის ყველა, გარდა ერთი მატჩისა, ისტორიის საკუთრებაა, თუმცა სწორედ ის ერთია უმთავრესი - 28 მაისს „უემბლი“ ლიგის მართლაც და, ორ საუკეთესო გუნდს, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ბარსელონას“ მასპინძლობს. ვინ ვის აჯობებს სერ ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერი“, თუ წარმატებას ხოსეპ გვარდიოლას „ბარსელონა“ მიაღწევს? ამაზე პასუხი მხოლოდ 28-ში, გვიან საღამოს გვეცოდინება.

სხვათა შორის, ორივე ფინალისტს ჩემპიონთა თასი 3-3 ჯერ აქვს მოგებული - „მანჩესტერმა“ 1968, 1999 და 2008 წლებში იმარჯვა, ხოლო „ბარსამ“ ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტიტული 1992, 2006 და 2009 წლებში მოიგო. ჩემპიონთა ლიგის (ჩემპიონთა თასის) ისტორიაში „წითელ ეშმაკუნებს“ 228 მატჩი აქვთ გამართული, რომელთაგან 130 მოიგეს, 43 წააგეს და 55 ფრედ დაასრულეს. „ბარსელონას“ რეკორდი ასეთია: 220 მატჩი; 125 მოგება, 42 წაგება და 53 ფრე. როგორც ხედავთ, მაჩვენებელი ორივე გუნდს თითქმის ერთნაირი აქვს, ინგლისელთა მხარეს სულ მცირე, უპირატესობაა.

ფინალში გავიდა ორი საუკეთესო გუნდი უეფა-ს საკლუბო კოეფიციენტების მიხედვითაც - „მანჩესტერი“ 151,16 ქულით პირველია, ხოლო „ბარსა“ 139,35 ქულით - მეორე.

### გზა ფინალამდე ბარსელონა

| | |
|---|---|
| **D ჯგუფი** | |
| **14 სექტემბერი** | |
| ბარსელონა-პანათინაიკოსი | 5:1 |
| **29 სექტემბერი** | |
| რუბინი-ბარსელონა | 1:1 |
| **20 ოქტომბერი** | |
| ბარსელონა-კოპენჰაგენი | 2:0 |
| **2 ნოემბერი** | |
| კოპენჰაგენი-ბარსელონა | 1:1 |
| **24 ნოემბერი** | |
| პანათინაიკოსი-ბარსელონა | 0:3 |
| **7 დეკემბერი** | |
| ბარსელონა-რუბინი | 2:0 |
| **პლეი ოფი** | |
| **16 თებერვალი** | |
| არსენალი-ბარსელონა | 2:1 |
| **8 მარტი** | |
| ბარსელონა-არსენალი | 3:1 |
| **მეოთხედფინალი** | |
| **6 აპრილი** | |
| ბარსელონა-შახტარი | 5:1 |
| **12 აპრილი** | |
| შახტარი-ბარსელონა | 0:1 |
| **ნახევარფინალი** | |
| **27 აპრილი** | |
| რეალი-ბარსელონა | 0:2 |
| **3 მაისი** | |
| ბარსელონა-რეალი | 1:1 |



ლეო მესის ვან დერ სარისთვის ფინალში ადრეც გაუტანია (2009 წ), თანაც თავით

| ბარსელონა | VS | მანჩესტერი |
|---|---|---|
| 27 | გოლი | 18 |
| 8 | გაშვება | 4 |
| 86 | დარტყმა | 68 |
| 76 | აცილება | 53 |
| 55 | კუთხური | 76 |
| 137 | ჯარიმა | 158 |
| 45 | თამაშგარე | 38 |
| 13 | გაფრთხ. | 12 |
| 1 | გაძევება | 0 |
| 62% | ბურთის ფლ. | 58% |

### გზა ფინალამდე მანჩესტერი

| | |
|---|---|
| **C ჯგუფი** | |
| **14 სექტემბერი** | |
| მანჩესტერი-რეინჯერსი | 0:0 |
| **29 სექტემბერი** | |
| ვალენსია-მანჩესტერი | 0:1 |
| **20 ოქტომბერი** | |
| მანჩესტერი-ბურსა | 1:0 |
| **2 ნოემბერი** | |
| ბურსა-მანჩესტერი | 0:3 |
| **24 ნოემბერი** | |
| რეინჯერსი-მანჩესტერი | 0:1 |
| **7 დეკემბერი** | |
| მანჩესტერი-ვალენსია | 1:1 |
| **პლეი ოფი** | |
| **23 თებერვალი** | |
| მარსელი-მანჩესტერი | 0:0 |
| **15 მარტი** | |
| მანჩესტერი-მარსელი | 2:1 |
| **მეოთხედფინალი** | |
| **6 აპრილი** | |
| ჩელსი-მანჩესტერი | 0:1 |
| **12 აპრილი** | |
| მანჩესტერი-ჩელსი | 2:1 |
| **ნახევარფინალი** | |
| **26 აპრილი** | |
| შალკე-მანჩესტერი | 0:2 |
| **4 მაისი** | |
| მანჩესტერი-შალკე | 4:1 |

გაგრძელება მე-9 გვერდზე



## ვაჟა ფაცაცია დაიბადა 1998 წ.

საფეხბურთო სკოლა „საბურთალო“-ს აღსაზრდელი, მწვრთნელი ვოვა მუსერიძე

საქართველოს U 14 წლამდე ნაკრების ფეხბურთელი, მწვრთნელი–გოჩა ტყებუჩავა

წარმატებები: 2009 წლის ბენდელას თასის პრიზიორი. 2010 წელს დანიაში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

U 14 2011 წელს რიგის საერთაშორისო ტურნირის თასის მფლობელი

U 14 შვედეთში ჩატარებული იუჰანსონის საერთაშორისო ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი

სწავლობს თბილისის №149 საჯარო სკოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩემპიონთა ლიგა

## ვინ გახდება ოთხგზის

მე-8 გვერდიდან

**ბარსელონა 2010/11**

**მეკარეები:** ვიქტორ ვალდესი (10 თამაში); ხოსე პინტო (2 თ).

**მცველები:** დანიელ ალვეში (11 თ, 2 გოლი); ჟერარდ პიკე (11 თ, 1 გ); კარლეს პუიოლი (7 თ); მაქსველი (7 თ); ერიკ აბიდალი (7 თ); ადრიანო (6 თ); გაბრიელ მილიტო (2 თ); ანდრეუ ფონტასი (1 თ); მარკ ბარტრა (1 თ).

**ნახევარმცველები:** ჩავი ერნანდესი (11 თ, 2 გ); სერხიო ბუსკეტსი (11 თ); ხავიერ მასკერანო (10 თ); ანდრეს ინიესტა (9 თ, 1 გ); სეიდუ კეიტა (9 თ, 1 გ); იბრაჰიმ აფელაი (5 თ); სერხი რობერტო (1 თ); ვიქტორ ვასკესი (1 თ); ტიაგო ალკანტარა (1 თ); ჯონათან დოს სანტოსი (1 თ).

**თავდამსხმელები:** ლიონელ მესი (12 თ, 11 გ); პედრო როდრიგესი (11 თ, 4 გ); დავიდ ვილია (11 თ, 3 გ); ბოიან კრკიჩი (3 თ); ხეფრენ სუარესი (2 თ).

**მანჩესტერი 2010/11**

**მეკარეები:** ედვინ ვან დერ სარი (9 თ); ტომაშ კუშჩაკი (2 თ); ბენ ამოსი (1 თ).

**მცველები:** პატრის ევრა (9 თ); კრის სმოლინგი (9 თ); ნემანია ვიდიჩი (8 თ); რაფაელი (7 თ); ჯონ ოში (6 თ); რიო ფერდინანდი (6 თ); ჯონი ევანსი (3 თ); ვეს ბრაუნი (2თ).

**ნახევარმცველები:** ნანი (11 თ, 1 გ); მაიკლ ქერიკი (10 თ); ი-სუნ პარკი (8 თ, 1 გ); რაიან გიგზი (7 თ, 1 გ); დარენ ფლეტჩერი (7 თ, 1 გ); ანდერსონი (6 თ, 3 გ); ანტონიო ვალენსია (6 თ, 1 გ); პოლ სქოულზი (6 თ); დარონ გიბსონი (3 თ, 1გ).

**თავდამსხმელები:** ხავიერ ერნანდესი (8 თ, 4 გ); უეინ რუნი (8 თ, 3 გ); დიმიტარ ბერბატოვი (3 თ); გაბრიელ ობერტანი (3 თ, 1 გ); მაიკლ ოუენი (2 თ); ფედერიკო მაკედა (2 თ); ბებე (1 თ, 1 გ).

● „ბარსელონას" ფორვარდი **ლიონელ მესი** ერთადერთია ორივე ფინალისტს შორის, რომელმაც ლიგაში 12-ივე თამაშში მიიღო მონაწილეობა. მესიმ 12 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა და პრაქტიკულად გაინაღდა ტურნირის ბომბარდირობა, რადგან უახლოესი კონკურენტები (რომელთაც თამაში კიდევ შეუძლიათ), თანაგუნდელი **პედრო** და მექსიკელი **ხავიერ ერნანდესი** 7-7 გოლით ჩამორჩებიან.

● „მანჩესტერ იუნაიტედისა" და პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მეგოლე **დიმიტარ ბერბატოვს** ამ სეზონის ლიგაში გოლი არ გაუტანია, არადა, 7 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

● ხოსეპ გვარდიოლამ სეზონში 26 ფეხბურთელი გამოიყენა, ალექს ფერგიუსონმა კი ერთით მეტი.

● მხოლოდ ლეო მესიმ 11 გოლი გაიტანა სეზონში, მაშინ, როცა მთელმა „იუნაიტედმა" - 18.

● 37 წლის **რაიან გიგზს** შეუძლია ლიგის ამ გათამაშების საუკეთესო მეპასე გახდეს, ამისთვის მან ფინალში 2 საგოლე პასი უნდა გააკეთოს, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი „ტიტულს" რეალელ **მესუთ იოზილთან** გაიყოფს.

### ცოტა რამ ისტორიიდან

მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა თასმა ფორმატი და სახელი იცვალა, „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ბარსელონა" ერთმანეთს 7-ჯერ შეხვდნენ. 1994/95 წლების ლიგის გათამაშებაში ისინი ერთ ჯგუფში მოხვდნენ. ინგლისში მატჩი 2:2 დასრულდა, ესპანეთში კი „ბარსამ" გაილალა, 4:0 მოიგო **ჰრისტო სტოიჩკოვის** დუბლის წყალობით.

1998-99 წლების სეზონში ჯგუფურ ეტაპზე კვლავ ეს გუნდები გადაეყარნენ ერთმანეთს ჯგუფურ ეტაპზე. მიუხედავად იმისა, რომ მომავალ ტრიუმფანტებს **ლუის ვან გაალის** გუნდი ორჯერ 3:3 ეთამაშა, „ბარსა" ჯგუფიდან ვერ გავიდა.

9 წლის შემდეგ ორი კლუბი ლიგის ნახევარფინალში შეიყარა, ორ მატჩში სულ 1 გოლი გავიდა და მისი ავტორი ახლაც თამაშობს „იუნაიტედში" - **პოლ სქოულზი.**

დაბოლოს, მათი დაპირისპირების გვირგვინი 2009 წლის რომაული ფინალი იყო. **სამუელ ეტოოსა** და ლეო მესის გოლების წყალობით კატალონიელებმა 2:0 იმარჯვეს და თასი მოიგეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ნახევარფინალი. მანჩესტერი-შალკეს მიმოხილვა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# შალკე იყო და არა იყო რა

## მანჩესტერს ერთი სქოულზი ჰყავს გელზენკირხენელთა მთელი ნახევარდაცვის ფასი...

**1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**მანჩესტერი (ინგლისი) 4:1 შალკე (გერმანია)**

**პირველი მატჩი 2:0**

04.05. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი. 74 678 მაყურებელი

**მანჩესტერი (4-3-3):** ვან დერ სარი - რაფაელი (60. ევრა), სმოლინგი, ევანსი, ოში - გიბსონი, სქოულზი (73. ფლეტჩერი), ანდერსონი - ვალენსია, ბერბატოვი (77. ოუენი), ნანი.

**შალკე (4-2-3-1):** ნოიერი - უჩიდა, მეტცელდერი, ჰიოვედესი (70. ჰუნტელაარი), ესკუდერო - პაპადოპულოსი, ხურადო - ფარფანი (75. მატიპი), ბაუმიოჰანი (46.ედუ), დრაქსლერი - რაული.

**გოლები:** 1:0 ვალენსია (26), 2:0 გიბსონი (31), 2:1 ხურადო (35), 3:1 ანდერსონი (72), 4:1 ანდერსონი (76)

**არბიტრი:** პედრო პროენსა (პორტუგალია)

„შალკე" ჩემპიონთა ლიგის ფინალში რომ ვერ გავიდოდა, ამაში პირველი მატჩის შემდეგაც დავრწმუნდით, **ლევან ყენიას** გუნდმა საკუთარ მოედანზე 0:2 რომ წააგო, გუშინწინ კი „ოლდ ტრეფორდზე" უკვე ოფიციალურად გაფორმდა ის, რაც გარდაუვალი იყო: 28 მაისს, ლონდონში, „ბარსელონას" წინააღმდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი" ითამაშებს.

გელზენკირხენელები ცოტას კი იმუქრებოდნენ, მანჩესტერში ასე და ასე ვითამაშებთ, დასაკარგი არაფერი გვაქვს და ჩვენსას ვეცდებითო, მაგრამ მოდით შევთანხმდეთ, რომ ყოველგვარი ვარაუდები და მარჩიელობა უაზრო იყო, რადგან როცა **სერ ალექს ფერგიუსონი** წამყვანი ფეხბურთელების დასვენებას გადაწყვეტს, იქ სამარჩიელო აღარაფერია. უბრალოდ, დასანანია, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „იუნაიტედმა" თავს იმის უფლება მისცა, რომ **უეინ რუნი, მაიკლ ქერიკი** და **რიო ფერდინანდი** განაცხადშიც კი არ ყოფილიყვნენ, დაცვის ცენტრში კი **ევანსსა** და **სმოლინგს** ეთამაშათ. წესით, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი სულ სხვანაირი უნდა იყოს, გუშინწინ კი, მანჩესტერელები მომავალ უქმეებზე „ჩელსისთან" გასამართ მატჩზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე „შალკესთან" პაექრობაზე და რაც ყველაზე მთავარია, მიუხედავად ამისა, მაინც გაიმარჯვეს და თანაც, დიდი ანგარიშით. საინტერესოა ისიც, რომ „შალკე" იმ დღეს 107 წლის გახდა და იუბილეზე, ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე დიდი ანგარიშით წააგო.

### მატჩის წინ

პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, **რალფ რანგნიკმა** ძირითად შემადგენლობაში ორი ფეხბურთელი შეცვალა: ათამაშა გამოჯანმრთელებული **ჰიოვედესი** და მასთან ერთად ახალგაზრდა ნახევარმცველი **დრაქსლერი, მატიპი** და **ედუ** კი სათადარიგოთა სკამზე დატოვა. „შალკეს" მწვრთნელმა ტაქტიკური სქემაც შეცვალა: 4-2-3-1 4-4-2-ის ნაცვლად. ის ერთადერთი ცენტრფორვარდი კი **რაული** გახლდათ.

„მანჩესტერი" მოედანზე ფაქტობრივად სრულიად ახალი შემადგენლობით გავიდა. სასტარტოში მხოლოდ **ვალენსია** და **ვან დერ სარი** შემორჩნენ – ფერგიუსონმა ცხრა (!) ფეხბურთელი, მათ შორის, დაცვის ხაზი მთლიანად შეცვალა. ფერდინანდი, ქერიკი და რუნი განაცხადში საერთოდ არ ყოფილან. არა, ფერგიუსონს ამით „შალკეს" მასხრად აგდება ნამდვილად არ სურდა – უბრალოდ, „იუნაიტედი" „ჩელსისთან" უმნიშვნელოვანესი შეხვედრისთვის ემზადება, „შალკესთან" დაპირისპირება კი, ფაქტობრივად, ფორმალობა იყო.

### მატჩი

„შალკემ" თამაში შეტევით, უფრო სწორად, ფაფხურით დაიწყო, გოლები კი ისევ მანჩესტერელებმა გაიტანეს: 26-ე წუთზე **ხურადომ** ბურთი დაკარგა, **გიბსონმა** კი ბრწყინვალე პასით **ვალენსია ნოიერს** შეატოვა და მანკუნიანელთა გარემარბმა „შალკეს" კიპერს შანსი არ დაუტოვა – 1:0; ხუთი წუთის შემდეგ, **რაფაელის** აუტს **ანდერსონი** გამოეხმაურა, ვალენსიას უპასა, ამ უკანასკნელმა კი გიბსონი მოძებნა, რომლის უძლიერესი დარტყმა ნოიერისთვის სერიოზული პრობლემა გახდა – მანუელმა ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა, გაექცა, ძელს მოხვდა და კარში შევარდა – 2:0.

მაგრამ „შალკემ" ძალიან მალე შეძლო იმედის გოლის გატანა, რომელიც **სმოლინგის** სინდისზეა. „მანჩესტერის" მცველმა ბურთი ნახევარდაცვაში დაკარგა, დრაქსლერმა კი ჭკვიანური პასით მოძებნა **უჩიდა**, რომელმაც რაულს ჩაუწოდა, ორთაბრძოლას მოგერიება მოჰყვა და ბურთი ხურადოს მიუვიდა, რომელმაც ძლიერი დარტყმით დაამწუხრა ვან დერ სარი – 2:1.

ზუსტად ორ წუთში უკვე „მანჩესტერს" შეექმნა მორიგი „ასპროცენტიანი" მომენტი: ვალენსია ნოიერთან ისევ პირისპირ დარჩა, „შალკეს" კიპერი მოატყუა და დაარტყა, მაგრამ ბურთს კარის ხაზზე ჰიოვედესი დახვდა. ეს იყო მომენტი, როცა „შალკეს" უკანასკნელი ოპტიმისტი ფანებიც მიხვდებოდნენ, რომ მათი საყვარელი გუნდი უშანსოდ იყო.



ახალგაზრდა ბაუმიოჰანი (მარცხნივ) ყველაზე სუსტი იყო, ვეტერანი სქოულზი კი საუკეთესო

55-ე წუთზე ანდერსონის მშვენიერი დარტყმა ნოიერმა ბრწყინვალე ნახტომში მოიგერია, აი, 72-ე წუთზე კი მანუელი ანდერსონის წინააღმდეგ უკვე უძლური გახლდათ: **ნანის მეტცელდერმა** ხელი ვერაფრით შეუშალა, პორტუგალიელმა კი ანდერსონი მოძებნა, რომლის პირველ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ „შალკეს" მცველებმა ამით ვერ ისარგებლეს, ანდერსონმა კი განმეორებითი დარტყმით 3:1 დააფიქსირა. მისი მეორე გოლიც საკმაოდ ეფექტური კომბინაციის შედეგი იყო: ნანიმ **ბერბატოვი** მოძებნა, ბულგარელმა მეტცელდერი ჩამოიშორა და გამჭოლი პასით იპოვა ანდერსონი, რომელსაც ისღა დარჩენოდა, რომ ოთხი მეტრიდან ბურთი კარში შეეგორებინა – 4:1.

79-ე წუთზე ვან დერ საარს შეცვლაზე შესული **ჰუნტელაარი** დაემუქრა, მაგრამ „იუნაიტედის" გამოცდილმა მეკარემ თანამემამულეს აჯობა, აი, 82-ე წუთზე კი, ედვინმა მას უკვე ვეღარ დაასწრო და ჰუნტელაარმაც გოლი გაიტანა, მაგრამ მასზე თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირეს. 92-ე წუთზე კი **მაიკლ ოუენის** ოსტატობა ვიხილეთ და წამით ძველი ოუენი გაგვახსენდა: მან **პაპადოპულოსი** ჩამოიშორა და 16 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ნოიერმა ისევ ივარგა.

დასკვნა: „მანჩესტერმა" საუკეთესო ფეხბურთელები დაასვენა, „შალკე" კი მაინც შემოეჩაგრა. გელზენკირხენულ კლუბს ყველაფერი აკლდა – კლასიც, კრეატიულობაც, მონდომებაც. 4:1 აბსოლუტურად დამსახურებული ანგარიშია.

### რეაქციები

**სერ ალექს ფერგიუსონი** (მანჩესტერ იუნაიტედის მწვრთნელი): *„ჩვენ საკუთარ მოედანზე ვთამაშობდით და თანაც, პირველი შეხვედრა 2:0 გვქონდა მოგებული. როცა ასეთ სიტუაციაში ხარ, ექსპერიმენტებიც გამართლებულია და წამყვანი ფეხბურთელების დასვენებაც. მით უმეტეს, რომ სეზონი ჯერ არ დამთავრებულა და მომავალ უქმეებზე „ჩელსისთან" ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გველის. აღარაფერს ვამბობ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე, რომლის მოგებაც ძალიან გვინდა."*

**რალფ რანგნიკი** (შალკეს მწვრთნელი): *„ნახევარფინალამდე რომ მოვედით, ესეც ძალიან დიდი მიღწევაა და თუნდაც 2-3 თვის წინ ამას ვერავინ წარმოიდგენდა. ნახევარფინალში კი, შევხვდით მეტოქეს, რომელიც ჩვენზე გაცილებით ძლიერია. პირველი გოლის დროს სამარცხვინო, ბავშვური შეცდომა დავუშვით..."*

### TOP ფეხბურთელი

**პოლ სქოულზი (მანჩესტერ იუნაიტედი)**

სხვა არცერთ პოზიციაზე არ იგრძნობოდა „შალკესა" და „მანჩესტერს" შორის განსხვავება ისე მკაფიოდ, როგორც ნახევარდაცვის ცენტრში, რაც პირველ რიგში პოლ სქოულზის დამსახურებაა. მანჩესტერელი მცველები ბურთს პირველ რიგში მას აძლევდნენ და ისიც სიამოვნებით იწყებდა იერიშებს. მოკლე პასები, დიაგონალურები, გრძელი პასები – სქოულზის ყველა გადაცემა აზრიანი და ზუსტი იყო. შედარებისთვის: „შალკეს" „ექვსიანმა" პაპადოპულოსმა რამდენჯერაც 30 ან 40-მეტრიანი პასის გაკეთება სცადა, ბურთი იმდენჯერ აუტში გაგზავნა. სქოულზთან ერთად, ძალიან კარგად ითამაშეს ვალენსიამ, ანდერსონმა და გიბსონმა.

### FLOP ფეხბურთელი

**ალექსანდერ ბაუმიოჰანი (შალკე)**

რით დაგვამახსოვრა თავი „შალკეს" 24 წლის ნახევარმცველმა? სუსტი ორთაბრძოლებით, ბევრი არაზუსტი პასითა და უაზრო, უშედეგო დრიბლინგებით. და სხვათა შორის, რომ არა ბაუმიოჰანის ასეთი ცუდი თამაში, შეხვედრის მთავარ Flop-ად მანუელ ნოიერი უნდა დაგვესახელებინა – მეკარე, რომელიც პირველი მატჩის გმირი გახდა. მანუ ამჯერად მოულოდნელად სუსტი გახლდათ, მეორე გოლის დროს კი აშკარად შეცდა.

### მსაჯი

**პედრო პროენსამ** ნორმალურად იმსაჯა, შეცდომები არ დაუშვია. სიმართლე ითქვას, ეს არ იყო დაძაბული და ემოციური შეხვედრა და მცირე იყო იმის შანსი, რომ პორტუგალიელს სადავეები გაჰქცეოდა.

### ანალიზი

რანგნიკმა ისევ ზედმეტად თამამი გადაწყვეტილება მიიღო და ძირითად შემადგენლობაში კვლავ მხოლოდ ერთი ტიპური საყრდენი (პაპადოპულოსი) ათამაშა – **ფარფანს**, ხურადოს, ბაუმიოჰანსა და დრაქსლერს ხომ ჩამშლელობის იოტისოდენა ნიჭიც არ აქვთ. თეორიულად ეს გამართლებული ნაბიჯი გახლდათ, პრაქტიკულად კი – არა! ბაუმიოჰანი და ხურადო იმდენად ბევრ არაზუსტ პასს აკეთებდნენ, რომ თავიდანვე გამოჩნდა: რანგნიკის კონცეფცია განწირული იყო წარუმატებლობისთვის. „მანჩესტერს" კი ერთი სქოულზი ჰყავს „შალკეს" მთელი ნახევარდაცვის ფასი...

იოლად შესამჩნევი იყო ისიც, რომ გელზენკირხენულ კლუბს ბალანსი აკლდა. იმ დროს, როცა „იუნაიტედის" სამი ნახევარმცველი (სქოულზი, ანდერსონი და გიბსონი) შეტევასა და დაცვაში თანაბრად აქტიურები იყვნენ, „შალკეს" შუამარბებმა თავი ხეირიანად ვერც ერთ ამოცანას ვერ გაართვეს. რანგნიკი ბოლო 20 წუთისთვის სამი თავდამსხმელითა და სამი შემტევი ნახევარმცველით ვაბანკზე წავიდა, მაგრამ „შალკესთვის" არაფერი შეცვლილა: მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერი" ფაქტობრივად სარეზერვო გუნდით თამაშობდა, გელზენკირხენელები მეტოქეზე მთელი ერთი თავით დაბლა იდგნენ. მოკლედ, „შალკე" უშანსოდ იყო.

**გოტფრიდ ლენცი**

ქართული სპორტი

● ჭადრაკი

# საჭადრაკო ევროპამ თბილისში მოიყარა თავი




„შერატონ მეტეხი პალასში" დღეს საღამოს საზეიმოდ გაიხსნება მოჭადრაკე ქალთა ევროპის XII ჩემპიონატი (მთავარი მსაჯი - საერთაშორისო დიდოსტატი **ნანა ალექსანდრია**), რომელშიც 26 ქვეყნის 134 წარმომადგენელი იასპარეზებს, მათ შორის 36 დიდოსტატია (11 ქალბატონს ეს წოდება ვაჟებშიც აქვს მოპოვებული). საგულისხმოა ისიც, რომ თბილისში მედლებისთვის მსოფლიოს რეიტინგის პირველი ათეულიდან 6 მოჭადრაკე იბრძოლებს. ფავორიტთა შორის არიან მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონები - **ალექსანდრა კოსტენიუკი** (რუსეთი, 2522) და **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2506), ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები - **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2559), **კატერინა ლახნო** (უკრაინა, 2530) და **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2468), კონტინენტის ჩემპიონატების პირველი გამარჯვებული **ნატალია ჟუკოვა** (2428, მან ეს ტიტული 2000 წელს ბათუმში მოიპოვა), ფიდეს ქალთა გრანპრის თითო ეტაპის პირველადგილოსნები - **ნანა ძაგნიძე** (2557) და **ელინა დანიელიანი** (სომხეთი, 2506), მსოფლიოს რეიტინგის პირველი ათეულის წევრები - ოცწლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია, 2537) და რუსი **ნადეჟდა კოსინცევა** (2567). აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისში სტუმართაგან ყველაზე მეტი წარმომადგენელი (19) ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ეყოლებათ.

„მაღალი რეიტინგის მქონე და ტიტულიანი მოჭადრაკეების სიმრავლე ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის პრესტიჟულობის დასტურია. ჩვენს დედაქალაქში უძლიერესი შემადგენლობის თავმოყრის ერთ-ერთი ფაქტორია უპრეცედენტო ფულადი პრიზი - 110 000 ევრო, საიდანაც გამარჯვებული 20 000 ევროს მიიღებს. ეს თანხა კი მამაკაცთა შორის ევროპის ჩემპიონის ფულად ჯილდოს უთანაბრდება. წლევანდელი პირველობისადმი დიდი ინტერესი იმანაც განაპირობა, რომ იგი ლეგენდარული ქართველი მოჭადრაკე ქალების, ხუთ-ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონების - ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის იუბილეებს ეძღვნება.

შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო გვქონდა - ორ თვემდე. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს მხარდაჭერით, თბილისის მერიისა და სპორტის სამინისტროს, ასევე, ჩვენი მთავარი სპონსორის თანადგომით, საბედნიეროდ, ყველაფერი მოვასწარით, ყველა ნიუანსი გავითვალისწინეთ. ჰოლანდიაში შევიძინეთ თანამედროვე საჭადრაკო კომპიუტერული ტექნიკა, რომლის მეშვეობითაც ყოველდღიურად ინტერნეტით 26 დაფაზე გამართული ორთაბრძოლები გადაიცემა. ბრძენთა თამაშის მოყვარულთ თერთმეტი დღის განმავლობაში დაუვიწყარი საჭადრაკო ბატალიები ელით", - გვითხრა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ**.

გუშინ ევროპის საჭადრაკო კავშირისა და ბულგარეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს, მსოფლიოს ექსჩემპიონების - ვესელინ ტოპალოვისა (ბულგარეთი) და რუსლან პონომარიოვის (უკრაინა) მენეჯერ **სილვიო დანაილოვს** შევეხმიანეთ: „ამჟამად ყაზანში ვარ, სადაც მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატის პრეტენდენტთა ტურნირი დაიწყო - მეოთხედფინალში ვესელინ ტოპალოვი გატა კამსკის ეთამაშება. ვწუხვარ, რომ თბილისში ევროპის ჩემპიონატის გახსნას ვერ ვესწრები. სამაგიეროდ, ევროპის საჭადრაკო კავშირის გენერალური მდივანი სავა სტოისავლევიჩი გეწვევათ. მე კი შეჯიბრების საზეიმო დახურვამდე აუცილებლად ჩამოვალ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გრანდიოზული ასპარეზობა, რომელსაც სათავე ბათუმში დაედო 2000 წელს, საქართველოს დედაქალაქში უმაღლეს დონეზე ჩატარდება. ის გვაიმედებს, რომ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს თბილისის მერი გიგი უგულავა ხელმძღვანელობს, შეჯიბრებას მხარს უჭერს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; საპრიზო ფონდიც რეკორდულია, თანაც საქართველო დიდი საჭადრაკო ტრადიციების ქვეყანაა, სადაც ლეგენდარული დიდოსტატები - ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე აღიზარდნენ. ყოველივე ამან განაპირობა ევროპის საჭადრაკო კავშირის არჩევანი. ვფიქრობ, რომ არ შევმცდარვართ. ტურნირის მონაწილეებსა და მასპინძლებს მხნეობასა და წარმატებას ვუსურვებ"...

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ მედლების მფლობელებს 11 ტური გამოავლენს. პირველი პარტიები ხვალ გაიმართება. 14 მაისი დასვენების დღეა. ტურნირზე ის 14 მოჭადრაკეც გამოვლინდება, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებს დაიმსახურებენ.

აქვე გაუწყებთ წინა 11 შეჯიბრების გამარჯვებულთა ვინაობას: 2000 წ. ბათუმი. **ნატალია ჟუკოვა** (უკრაინა); 2001 წ. ვარშავა. **ელმირა სკრიპჩენკო** (მოლდოვა); 2002 წ. ვარნა. **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი); 2003 წ. სტამბოლი. **პია კრამლინგი** (შვედეთი); 2004 წ. დრეზდენი. **ალექსანდრა კოსტენიუკი** (რუსეთი); 2005 წ. მოლდოვა. **კატერინა ლახნო** (უკრაინა); 2006 წ. კუშადასი. **ეკატერინა ატალიკი** (თურქეთი); 2007 წ. დრეზდენი. **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი); 2008 წ. პლოვდივი. **კატერინა ლახნო** (უკრაინა); 2009 წ. სანკტ-პეტერბურგი. **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი); 2010 რიეკა. **პია კრამლინგი** (შვედეთი); ამ ჩემპიონატებში ჩვენებურთაგან ბრინჯაოს მედლები აქვთ მოპოვებული მაია ჩიბურდანიძეს (2000) და ქეთევან არახამიას (2001), რომელიც ბოლო წლებში შოტლანდიის სპორტულ ღირსებას იცავს. 2006 წელს მეორე ადგილზე ჰოლანდიის სახელით მოასპარეზე თეა ლანჩავა-ბოსბოომი გავიდა.

**ვაჟა დანელია**



ბაადურ ჯობავა

# ყაიმს დასჯერდა

სარაევოში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის სტარტზე გამარჯვების შემდეგ ქართველმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ** მეორე ტურში დალიბორ სტოიანოვიჩს (ბოსნია-ჰერცეგოვინა) სძლია. ტურნირის რეიტინგფავორიტი არკადი ნაიდიჩი (გერმანია) ყველასათვის მოულოდნელად ფრანგ თალ აბერგელს დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ივან ივანიშევიჩი (სერბეთი) და ემირ დიზდარევიჩი (ბოსნია-ჰერცეგოვინა), კონსტანტინ ლუპულესკუ (რუმინეთი) და მუსტაფა ილმაზი (თურქეთი). ტურნირის დანარჩენმა უძლიერესმა დიდოსტატებმა წარმატებას მიაღწიეს. ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ 17 მოჭადრაკე დაწინაურდა.

გუშინდელ მე-3 ტურში ჯობავა შავი ფიგურებით უნგრელ პეტერ პროჰაზკას დაუზავდა. ორქულიანთაგან წარმატებას მიაღწიეს ლუკა ლენიჩმა (სლოვენია), ივან სარიჩმა (ხორვატია), ჰრანტ მელქუმიანმა (სომხეთი), კრისტიან საბომ (უნგრეთი), დუშან პოპოვიჩმა (სერბეთი) და ემრე ქანმა (თურქეთი), რომლებიც 3-3 ქულით ლიდერობენ.

დღეს მე-4 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

● ფიგურული ციგურაობა



ელენე გედევანიშვილი

# რეიტინგები

ფიგურულ ციგურაობაში მორიგი სეზონი დასრულდა და სრიალის საერთაშორისო კავშირმა (ISU) სეზონის რეიტინგი გამოაქვეყნა. **ელენე გედევანიშვილმა** სეზონი 914 ქულით 23-ე ადგილზე დაასრულა. აქედან ქულების უდიდესი ნაწილი ჩვენმა 21 წლის თანამემამულემ მოსკოვის მსოფლიოს ჩემპიონატში მე-10 ადგილისთვის მიიღო (465). შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში ელენე ევროპის პირველობაზე მე-8 ადგილზე გავიდა. სეზონის რეიტინგში პირველი ადგილი იტალიელმა **კაროლინა კოსტნერმა** დაიბევა, რომელმაც 2342 ქულას მოუყარა თავი, მეორე ადგილზე მსოფლიოს ჩემპიონი **მიკი ანდო** (იაპონია) გავიდა - 2125 ქულა, მესამეზე კი ამერიკელი **ალისია შჩისნი** - 1987. ყინულზე ცეკვებში სეზონი რეიტინგში 32-ე ადგილზე დაასრულა ქართულმა წყვილმა (**ელისონ რიდი, ოთარ ჯაფარიძე**) - 607 ქულა.

ISU-ს მსოფლიოს რეიტინგში, რომელიც ბოლო სამი სეზონის მიხედვით დგინდება, ელენე გედევანიშვილი 2345 ქულით მე-15 ადგილზეა. აქაც კაროლინა კოსტნერია პირველი - 4341, მეორე ოლიმპიური ჩემპიონი, კორეელი **იუნა კიმია** (4264), მესამე მიკი ანდო (4120).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ძიუდო. ბაქოს ტურნირი

# წილი ნაყარია, მეტოქეები - გარკვეული

## ცვლილება გუნდში

ბაქოს „დიდი პრიზი" ძიუდოში დღეს იწყება, საქართველოს ვაჟთა ნაკრების ხელმძღვანელობამ კი მორიგი საკადრო ცვლილება შემოგვთავაზა და ბოლო მომენტში 100 კილოგრამში ორივე ლიდერი შეცვალა. აქ ახლახან დასრულებული ევროპის ჩემპიონატის მედალოსნებს - ვიცე-ჩემპიონ **ლომერ ჟორჟოლიანსა** და ბრინჯაოს პრიზიორს, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძეს** უნდა ეჭიდავათ, მაგრამ მათ ნაცვლად **კონსტანტინე მუკვანი** და **ალექსანდრე მსხალაძე** შეიყვანეს. თუმცა როგორც საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში განგვიმარტეს, მიზეზიც საპატიოა - ორივეს პატარა ტრავმები აწუხებდა და შესაძლო გართულებათა თავიდან ასაცილებლად მწვრთნელებმა არ გარისკეს. ცხადია, ეს დანაკლისია ჩვენი გუნდისთვის. ასევე ბოლო დღეს აზერბაიჯანის ნაკრებმაც სერიოზული დანაკარგი განიცადა - ტრავმის გამო ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი **ელმარ გასიმოვი** (100) ვერ იჭიდავებს.

თუმცა ცირეკიძეც, ჟორჟოლიანიც და ტრავმის გამო „დიდ პრიზს" გამოკლებული ევროპის კიდევ ერთი ვიცე-ჩემპიონი **ბეთქილ შუკვანი** (60) ბაქოში მაინც გაემგზავრებიან. მიზეზი იქ შეჯიბრების შემდეგ გასამართი ერთობლივი ვარჯიშებია, რომელშიც თანაგუნდელებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას. თავად ტურნირში მუკვანი-მსხალაძის გარდა **ამირან პაპინაშვილი** (60), **შალვა ქარდავა** (60), **ნუგზარ ტატალაშვილი, თენგიზ პაპოშვილი** (ორივე - 73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან ნიკლაური** (ორივე - 81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90) და **ნოდარ მეტრეველი** (+100) იჭიდავებენ. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ვიდრე ეს შემადგენლობა ბაქოში ივარჯიშებს, აქ დარჩენილები დუშეთის ოლიმპიური მზადების ბაზას მიაშურებენ და იქ გაივლიან შეკრებას.

მოლოდინისამებრ, ბაქოს „დიდი პრიზი" მართლაც წარმომადგენლობითი შეჯიბრება გამოდგა, თუმცა არც მთლად ისეთი, როგორც ორგანიზატორები მოელოდნენ - 53-ის ნაცვლად 50 გუნდი გამოდის, „სერხედჯის" ოლიმპიურ კომპლექსში კი ძალებს 342 ძიუდოისტი მოსინჯავს. აქედან ვაჟთა ტურნირში 45 ნაკრები იქნება წარმოდგენილი 206 სპორტსმენით. მიზეზთა გამო, ქალთა ტურნირში მონაწილე არ გვეყოლება. სტუმართა შორის არ არიან იაპონია და სამხრეთ კორეა.

გუშინ წილისყრაც ჩატარდა და ჩვენებურთა შანსებზეც შეგვიძლია საუბარი. მსოფლიოს რეიტინგში მე-13 ადგილზე მყოფი ამირან პაპინაშვილი პირველ წრეში ისვენებს. მისი მეტოქე **ანდრეას მაჯერსისა** და ყაზახი **აშხატ ტელმანოვის** შეხვედრაში გაირკვევა. ამ ჯგუფში ურიგო მოჭიდავე არც უზბეკი **გაბიტ ესიმბეტოვია**, მაგრამ ჩვენებურის ყველაზე საშიშ მეტოქედ თბილისის ტურნირის მომგები აზერბაიჯანელი **ილგარ მუშკიევი** მიგვაჩნია. შეგახსენებთ, რომ მაშინ მუშკიევმა ნახევარფინალში **დავით ასუმბანი** დაგვიმარცხა, ევროპაზე კი შუკვანმა მოუგო. პაპინაშვილი თუ ნახევარფინალში გავა, იქ მის შესაძლო მეტოქეთა შორის რუსთა სახელით მოჭიდავე გორელი **რობერტ მშვიდობაძე** და კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი აზერბაიჯანელი, ახალგაზრდებს შორის ევროპის მესამე პრიზიორი **ვუგარ შირინლი** არიან. რაც მთავარია, პაპინაშვილს ფინალამდე არ შეხვდება უკრაინის სახელით მოასპარეზე თანამემამულე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია**, ვისთანაც წლეულს ევროპაზე დამარცხდა.

ქარდავას მეტოქე პირველივე წრეში მონღოლეთის შარშანდელი ჩემპიონი **კიშიგბაიარ ბუუვაიბაატარია**. ამ წყვილში გამარჯვებულს სლოვენიელ ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ **როკ დრაკშიჩსა** და პოლონელ **ტომაშ კოვალსკის** შორის მოგებული ელოდება.

ტატალაშვილი ის მოჭიდავეა, რომლის გამოსვლაც განსაკუთრებულად გვაინტერესებს. მიზეზი ისაა, რომ ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ გუნდურ პირველობაში აჭიდავეს, პირადში კი არ დააყენეს. არადა, გუნდურში კარგად გამოვიდა - სამივე შეხვედრა მოიგო. ვნახოთ, რას იზამს ახლა ანუ იყო თუ არა ის შედეგი ლოგიკური. პირველ წრეში ტატალაშვილიც ისვენებს და მისი მომავალი მეტოქეც, მასპინძელი **ნადირ ბაბაევიც**. აზერბაიჯანელი ჯერ ახალგაზრდა და გამოუცდელია, მაგრამ მასპინძელია, სახლში კი მათთან ჭიდაობა ათმაგად ძნელია. ტატალაშვილი უამისოდაც უძლიერეს ჯგუფში მოხვდა - ბაბაევს თუ გასცდა, მომდევნო წრეში მონღოლ მსოფლიოს ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორ **ჩაგანბაატარ ხაშბაატარსა** (ეს მანამდე ყაზახ **რინატ იბრაგიმოვს** კი ხვდება, მაგრამ მასთან, წესით, პრობლემა არ უნდა შეექმნას) და ჰოლანდიელ ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **დექს ელმონტს** შორის მოგებულს შეხვდება. ესეც თუ გაიარა და ერთ-ერთი სავარაუდო მეტოქე ესპანელი ევროპის ექს-ჩემპიონი **კიოში უემაცუა**, ცოტა იქით კი ევროპის კიდევ ერთი ექს-ჩემპიონი, უკრაინელი **ვოლოდიმირ სოროკაა**. ბადის ამავე ნახევარში არიან ებრაელი **იოსებ ფალელაშვილი**, მასპინძელი **რამილ გასიმოვი**, უზბეკი **მირალი შარიპოვი** და იტალიელი **ანდრეა რეჯისი**. ერთი სიტყვით, ვინც კი რაიმეს წარმოადგენს, ლამის ყველა აქეთაა, მეორე მხარეს კი გამორჩეულად ძლიერი არავინ დარჩა. შედეგად, პაპოშვილსაც მეტად გაუმართლა - პირველ წრეში რუმინელ **ნიკოლაი ანდრეა მერგეს** ხვდება, მასთან წარმატების შემთხვევაში კი კანადელი **ნიკოლას ტრიტონი** ელოდება. ჩეხი **იერომირ იეჟეკი** და შვეიცარიელი

>> მე-11 გვერდზე

● პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# გეორ-გია შანხაის დაემშვიდობა

ჩინეთის ქალაქ შანხაიში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ტურს ქართული წყვილი **გეორ-გია** მესამე ეტაპიდან გამოეთიშა. ჩვენი ფრენბურთელები, რომლებიც ტურნირზე მე-14 ნომრად არიან განთესილნი, მე-13 ნომერ ბრაზილიურ დუეტ **ჰარლი-ტიაგოსთან** დამარცხდა სამ სეტში - 17:21, 21:18, 14:16.

საბოლოოდ გეორ-გიამ შანხაის ტურნირი მე-19 ადგილზე დაამთავრა და 120 სარეიტინგო ქულა მოიპოვა.

წარუმატებლად აილო სტარტი ქალთა წყვილმა **საქა-რთველომ**, რომელმაც პირველი მატჩი შვეიცარიელ დუეტ კუნცმუკერთან წააგო - 1:2 (21:16, 16:21, 9:15). მეორე შეხვედრაში კი ჩვენმა ფრენბურთელებმა ნაკლებად ცნობილი პოლონური დუეტი **კოლოსინსკა-ბროზტეკი** დაამარცხა - 2:0 (21:19, 21:13).



დღეს საქა-რთველო ფინელ დებ **ნისტრიომებს** დაუპირისპირდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ჟორდანია; 6. ბერლინი; 8. კანთელაძე; 9. რეკორდი; 10. დვირი; 11. ტიბუა; 13. ბუი; 14. ზვავი; 15. საიდა; 16. ნონა; 18. ჩიმიშკიანი; 20. "ფოლადი"; 21. გურგენიძე; 23. კიმონო; 24. თოხარიკი; 25. ცერი; 26. ნესტორი; 27. არბალეტი;

**შვეულად:** 1. ჟოკეი; 2. რანდორი; 3. არენდა; 4. ინალიშვილი; 5. სიჭინავა; 6. ბერიშვილი; 7. „ლიონი"; 12. ბოისა; 13. ბონიფიკაცია; 15. სეკუნდანტი; 17. ამაზონი; 18. ჩიგოგიძე; 19. მარათონი; 22. ძლიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

« მე-10 გვერდიდან

**დევიდ პაპო** აქეთ კი არიან, მაგრამ ჩვენებურს ნახევარფინალამდე ვერ შეხვდებიან. პაპოშვილის სიახლოვესაა რუსეთის ჩემპიონი **სერგეი ბადრიაშვილიც**, თუმცა მას წონის ლიდერად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ.

ტატალაშვილისა არ იყოს, ჭრიკიშვილის გამოსვლაც განსაკუთრებით გვაინტერესებს იმავე მიზეზით - ევროპის პირველობაზე მასაც მხოლოდ გუნდური ერგო. ბაქოს შეჯიბრებას ჩვენებური მეორე წრიდან იწყებს, სადაც უნგრელ **შანდორ ნაგისოლიმოშს** დაეჭიდება. შეიძლება ითქვას, მასაც გაუმართლა, ოღონდ ვერ გეტყვით, თვითონ რამდენადაა ფორმაში და გადაღლილი ხომ არ არის, რაზეც კულუარებში აქტიურად საუბრობენ. მადიარი უფრო გამოცდილია, მაგრამ ჩვენებური ნამდვილი ტალანტია. ამ წყვილში გამარჯვებულს ძლიერი მეტოქე არც მომდევნო წრეში ელოდება - რუსთა ახალბედა **ივან ვორობიოვის**, თურქ **ტანჯუ სორლისა** და თბილისის მსოფლიოს თასის 2008 წლის გამარჯვებულის, ევროპის შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ (ოღონდ 73-ში), ბელარუს **ალექსანდრ სტიაშენკას** ტრიოში გამარჯვებული. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენებური მეოთხედფინალში გავა, შესაძლოა, იქ მასპინძელთა მსოფლიოს პრიზიორ **ელხან რაჯაბლის** შეხვდეს, ვისაც წლეულს თბილისის მსოფლიოს თასზე ნახევარფინალში მოუგო.

რაც შეეხება ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ ნიკლაურს, ის ჩვენი ტურნირის წლევანდელ მესამე პრიზიორ თურქ **აჰმეთ სარის** დაეჭიდება, მასთან მოგების შემთხვევაში კი მომდევნო მეტოქე 73-დან ამონაცვლებულ ფრანგ **ანტონ ჟანინის**, ბელგიელ **იოახიმ ბოტიეს** და მასპინძელ **ტურალ საფგულიევს** შორის გამოვლინდება. ბადის ამავე ნახევარშია გერმანელი ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **ოლე ბიშოფიც**.

რეიტინგში მეათე ადგილზე მყოფი ლიპარტელიანი განთესილია, რაც წილისყრასაც დაეტყო - შედარებით სუსტ ქვეჯგუფში მოხვდა. ის პირველ წრეში გერმანელ **კრისტოფ ლამბერტს** ხვდება, რომელსაც უნდა გასცდეს, მერე კი კამერუნელ **დიუდონე დოლასემსა** და ყაზახ **ალექსანდრ კოსაჩევს** შორის მოგებულს შეხვდება. აქვეა ლატვიელი ევროპის მესამე პრიზიორი **კაროლის ბაუჟა**, რომელიც მასპინძელ **კენან ნაგიევს** ხვდება, მასთან მოგების შემთხვევაში კი ალჟირელ **ლიეს ბოუიაკოუბს** დაეჭიდება. ნახევარფინალში გამსვლელი ამათ შორის უნდა გაირკვეს, თუმცა დაგვეთანხმებით, ჩამოთვლილთა შორის არც ერთი არაა ისეთი, ლიპარტელიანს წინსვლაში ხელი შეუშალოს. ნახევარფინალში სავარაუდო მეტოქეთა შორის ყველაზე ძლიერები უზბეკი **დილშოდ ჩორიევი**, პოლონელი ევროპის ჩემპიონი **რობერტ კრავჩუკი** და უკრაინელი ევროპის სამგზის ჩემპიონი **ვალენტინ გრეკოვი** არიან.

მუკვანი ახალგაზრდებში ევროპის ორგზის ჩემპიონ უკრაინელ **არტემ ბლოშენკოსთან** შეხვედრით დაიწყებს ასპარეზობას, ამათ შორის მოგებულს კი ლატვიელი ევროპის ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი **ეუგენიუს ბოროდავკო** ელოდება. ამავე ჯგუფშია ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ებრაელი **არიელ ზეევიც**. მსხალაძე რუსეთის ჩემპიონ **აშხაბ კოსტოევს** ეჭიდავება, ამათ შორის მოგებულს კი ახალგაზრდებში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჩეხი **ლუკაშ კრპალეკი** ელოდება. მეტრეველი თავიდან ყაზახ **ბეიბიტ ისტიბაიევს** ხვდება, ხოლო თუ მოუგებს, მერე ეგვიპტელ მსოფლიოს პრიზიორ **ისლამ ელ შეჰაბისთან** მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

მოგეხსენებათ, საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ შეისყიდა ძიუდოს ტურნირების ტრანსლაციის უფლება, რაზეც შეთანხმება საზოგადოებრივ მაუწყებელთან გააფორმა. პირველი რეპორტაჟი სწორედ ბაქოდან იქნება, თუმცა არა მთლად ისე, როგორც ფედერაცია გეგმავდა. კერძოდ, ვერ ხერხდება ნახევარფინალური შეხვედრების ჩვენება, ფინალები კი ნამდვილად გადმოიცემა. ნახევარფინალში ჩვენებურთა გასვლის შემთხვევაში მათი ორთაბრძოლის ვიდეოჩანაწერებს ფინალური ბლოკის მიმდინარეობისას ვიხილავთ, რომელიც 17.30-ზე დაიწყება.

**ირაკლი თავაძე**

● ძიუდო. ინტერვიუ ანზორ თენაძესთან

# გორის ნველილი




**საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ძიუდოში შიდა ქართლი ზედიზედ მესამედ გახდა გუნდურ ჩათვალაში გამარჯვებული (3 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი). წარმატება რეგიონში ძიუდოს ხელახალი აღმავლობის სტიმულად იქცა. ძირითადი კერა კი გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლაა. ახალგაზრდულ ჩემპიონატში მოასპარეზე თითქმის ყველა შიდა ქართლელი ამ დარბაზის წარმომადგენელია.**

- შიდა ქართლის ნებისმიერი ასაკობრივი ნაკრები გორელებით კომპლექტდება, რაც ჩვენს დარბაზებში მომუშავე სპეციალისტთა დიდი დამსახურებაა. წარმატებები კი იმის მაჩვენებელია, რომ სწორი გზით მივდივართ - ამბობს გორის ჭიდაობის კომპლექსური სკოლის დირექტორი **ანზორ თენაძე.**

**- საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც გეგმავდით წარმატებას?**

- რასაკვირველია ვგეგმავდით, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში გამარჯვებული შემადგენლობიდან ასაკის გამო ნაკრებში რამდენიმე ლიდერი აღარ გვყავდა (მაგალითად ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ოთარ კაიდარაშვილი). ისე, ვისზეც იმედს ვამყარებდით, გაგვიმართლა.

**- შიდა ქართლის უპირატესობა განსაკუთრებით 66 კგ-ში იყო შესამჩნევი.**

- დიახ, გორული ფინალი შედგა. ლაშა შავდათუაშვილმა, ოთარ არჩუაძეს მოუგო. მესამეზე კი ვანიკო თოთლაძე გავიდა, რომელიც ასევე ჩვენთან ვარჯიშობს, თუმცა ახლა თბილისის გუნდის ღირსება დაიცვა. საერთოდ, მსუბუქ წონებში ჩვენთან ძალიან დიდი კონკურენციაა.

**- შიდა ქართლის გუნდური გამარჯვება მძიმე წონაში უტა კოკაურის ჩემპიონობამ გადაწყვიტა...**

- კოკაური რომ პერსპექტიული ახალგაზრდაა, ყველამ იცის. ამ ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იგი ზედიზედ მესამედ დაეუფლა ოქროს მედალს. ნიშანდობლივია, რომ სამივეჯერ ფინალი წმინდა გამარჯვებით დაასრულა. მან ახლახან ქართულ ჭიდაობაშიც (ახალგაზრდებს შორის) არავის დაუთმო პირველობა.

**- სხვათა შორის ქვემო ქართლი თქვენი ძირითადი კონკურენტი იყო ქართლის გუნდური წარმატებისას...**

- ამ რეგიონს საკმაოდ ძლიერი ნაკრების ჰყავს. არც ადრე მოისუსტებდნენ ძიუდოში, მაგრამ სვანების ქვემო ქართლში დასახლების მერე განსაკუთრებით გაძლიერდნენ.

**- შარშანდელმა ჩემპიონატმა ჩხუბისა და აყალმაყალის თანხლებით ჩაიარა...**

- წლეულს ყველაფერი ნორმალურად იყო და იმედია, ასე იქნება მომავალშიც.

**- როგორ ფიქრობთ, ამაღლდა მსაჯობის დონე?**

- უკეთესობა შეიმჩნევა, მაგრამ შეცდომები მაინც იყო, თუმცა ამას ექსცესები არ მოჰყოლია. მსაჯთა კომიტეტის ახალდანიშნული თავმჯდომარე ნიკოლოზ ზაუტაშვილი ახალგაზრდა, სწავლული სპეციალისტია, ევროპის ძიუდოს ფედერაციის ლიცენზიას ფლობს და სასიკეთო ძვრებიც დაატყო საქმეს.

რეგიონში ძიუდოს განვითარებაში დიდი წლილი შეაქვს შიდა ქართლის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის გოგიჩაშვილს. მადლიერები ვართ ქალაქის მუნიციპალიტეტის, გუბერნატორის აპარატის, რომლებიც ხელს გვიმართავენ, როგორც ტურნირებზე გამგზავრებაში, ისე მასპინძლობაში.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● ქართული ჭიდაობა



# ყვარლიდან თელავში ვერ ჩავიდნენ...

ქვემო ქართლისა და კახეთის რაიონებისა და ქალაქების ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში თელავში, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის **მირიან ცალქალამანიძის** სახელობის სპორტული სკოლის დარბაზში გაიმართა.

სამწუხაროდ, ქვემო ქართლელები მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, ძალზე მცირერიცხოვანი მოჭიდავეებით წარდგნენ საასპარეზოდ. დანაკლისი იყო კახეთიდანაც. ვიცით, რომ ყვარელში საკმაოდ კარგი ქართულის მოჭიდავეები არიან, მაგრამ ისინი საერთოდ არ გამოცხადნენ მეზობელ ქალაქში - საჭიდაოდ...

მიუხედავად ყველაფრისა, ხალიჩაზე მწვავე და თვალსასეირო ორთაბრძოლების სიმრავლე მაინც იყო...

შეჯიბრების მონაწილეებს, მწვრთნელებს, მსაჯებს და ქომაგებს სასურველი გარემო შეუქმნა კახეთის ქართული ჭიდაობის რეგიონული ფედერაციის ხელმძღვანელმა **თემურ გოდერძიშვილმა.** ქართულ ჭიდაობაში სწორედ კახეთისა და აჭარის რეგიონული ფედერაციების მუშაობაა მოსაწონი. დანარჩენი რეგიონული ფედერაციების საქმიანობა კი ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზეა ასახული...

ქართული ჭიდაობის ფედერაციამ ადრე გამოცხადებულ წონით კატეგორიებში პირველ-მეორე ადგილზე გასული მოჭიდავეების ანუ ფინალისტების გარდა საქართველოს ჩემპიონატში (ფინალში) ზონალური პირველობების ბრინჯაოს მედლის მფლობელებიც დაუშვა. ამით დააკმაყოფილა მწვრთნელების დიდი უმრავლესობის მოთხოვნაც. საქართველოს პირადი ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 15-16 აპრილს დილომში გაიმართება.

თელავის ზონალური პირველობის გამარჯვებულები არიან: **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (60 კგ. საგარეჯო), **იოსებ უძილაური** (66 კგ. ახმეტა), **ალექსანდრე ნანიევი** (73 კგ. ლაგოდეხი), **ვახტანგ სარაჯიშვილი** (81 კგ), **პაატა აბულაძე** (90 კგ. ორივე - ახმეტა), **ვალერი იმერლიშვილი** (+90 კგ. თელავი).

**გაბრიელ ბარჯაძე**
თელავი

● ჩოგბურთი

# ასეული გადაიდო

საქართველოს პირველ ჩოგანს, 21 წლის **ანა ტატიშვილს** (105) ერთი თამაშით შეეძლო კარიერის უახლოესი მიზნის მიღწევა - მსოფლიოს მოწინავე ჩოგბურთელთა ასეულში შესვლა - ამისთვის, ჩვენ თანამემამულეს ფრანგულ კან-სურ-მერში (100 ათასი დოლარი) მერვედფინალში მისივე თანატოლი რუმინელი **სორანა ცირსტეა** (102) უნდა დაემარცხებინა. პირველ სეტში ყველაფერი რიგზე იყო, ანამ 6:1 მოიგო, მაგრამ შემდეგ მსოფლიოს ყოფილმა 23-ე ჩოგანმა იძალა - 6:1, 3:6, 3:6. ქართველმა ჩოგბურთელმა 20 სარეიტინგო ქულა მიითვალა და კიდევ უფრო მიუახლოვდება ასეულს. წყვილებში ტატიშვილი რუს **ვალერია სავინიხთან** (145) ერთად თამაშობს. პირველ წრეში მათ მეტოქეები არ გამოუცხადდნენ, მეოთხედფინალში კი ქართველი და რუსი მასპინძლებს (**დე გუბერნატისი, ფერანი**) ეთამაშებიან.

საქართველოს მე-2 ჩოგანი **ოქსანა კალაშნიკოვა** (187) ძალიან ცუდ ფორმაშია. ამის დასტურად ბუხარას საერთაშორისო ტურნირში (უზბეკეთი, 25 ათასი დოლარი) მერვედფინალური მარცხიც გამოდგება. მე-2 ნომრად განთესილმა ჩვენებურმა უკრაინელ **ტატიანა არეფიევასთან** (314) ორ სეტში დათმო - 1:6, 6:7 (5). კალაშნიკოვა ბუხარაში წყვილებში ყოჩაღობს, სადაც ბელარუს **პოლინა პეხოვასთან** (461) ერთად თამაშობს. ეს დუეტი ტურნირზე მე-2 ნომრად არის განთესილი და უკვე ნახევარფინალშია, სადაც ჩინელი **ლიანისა** და კორეელი **ჰანის** წყვილს ხვდება.

სტამბოლის ტურნირში (10 ათასი დოლარი) პირველ ნომრად განთესილი **სოფიო ქვაცაბაია** (429) უკვე მეოთხედფინალშია გასული. პირველ წრეში მან ყაზახ **იეკატერინა საგიტოვას** მოუგო - 6:3, 6:0, მერვედფინალში კი რუმინელი **ანა ბოგდანი** დაამარცხა - 6:4, 6:4. ახლა ქართველის მეტოქე რუსი **იანა ორლოვაა.**




**ნიკოლოზ ნეფარიძე**




# თურქებს უნდა ვაჯობოთ

გუშინ საქართველოს ნაკრებმა „ფედერაციის თასზე" ევროპა-აფრიკის მე-2 ჯგუფში პირველი მარცხი იწვნია - ჩვენები ბოსნიის ნაკრებთან 1:2 დამარცხდნენ. **ეკა გორგოძემ მერვანა იუგიჩ-სეკარიჩთან** წააგო - 2:6, 2:6, ხოლო **თათია მიქაძემ იასმინა ტინჯიჩთან** დათმო - 2:6, 0:6. წყვილთა მატჩს აზრი აღარ ჰქონდა, ჩვენებმა (მიქაძე, **სოფიო შაფათავა**) ის სამ სეტში მოუგეს ბოსნიელებს (**ბურგიჩი, კაიტაზოვიჩი**) - 4:6, 6:1, 6:3. ჩვენს ჯგუფში თურქეთის ნაკრებმა სომხეთი 3:0 დაამარცხა. პლეი ოფში გასასვლელად დღეს თურქებს აუცილებლად უნდა ვაჯობოთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● სიახლე

# სწავლა ქართული სპორტისთვის

## სპორტი ყველასათვის ეროვნულმა ფედერაციამ და ინგლისური ენის შემსწავლელმა ცენტრმა სამინისტროში ხელშეკრულება გააფორმეს

ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი - ქართველ მწვრთნელებს, მსაჯებს და სპორტსმენებს ინგლისურ ენაში მოამზადებს, შეასწავლის სპორტულ ტერმინოლოგიას და საკომუნიკაციო ენას. მომზადება ჯგუფური პრინციპით წარიმართება და 7 თვეს გასტანს. ეს შეთანხმება გუშინ გაფორმდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, რომელსაც მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი,** მისი მოადგილეები და სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

ლადო ვარძელაშვილი:" სამინისტრომ ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე დაიწყო. მომავალ წელს ოლიმპიადა ტარდება და, ცხადია, იქ საკომუნიკაციო ენა ინგლისური იქნება. გარდა ამისა, ინგლისურის ცოდნაა საჭირო საერთაშორისო ფედერაციებთან თანამშრომლობის დროსაც. აუცილებელია, რომ ჩვენმა მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა და საერთოდ ფედერაციების თანამშრომლებმა საზღვარგარეთ საქართველო კარგად


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

წარმოაჩინონ, რისთვისაც ინგლისური ენის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია".

შეთანხმებას ხელი მოაწერეს ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის" პრეზიდენტმა **თენგიზ გაჩეჩილაძემ** და ზემოხსენებული სასწავლო ცენტრის დამფუძნებელმა **ირაკლი სიხარულიძემ.**

## კალათბურთი

სუპერლიგა. მეოთხედფინალი

# არც ახსელა, არც ახია... ფაცაცია

თსუ/ქუთაისი+არმია/X=1/2 ფინალი. მიუხედავად იმისა, რომ საკალათბურთო ამოცანა ერთუცნობიანია, მისი ამოხსნა მაინც ძნელია. X-ის ნაცვლად ან შსს უნდა ჩაიწეროს, ან „სოხუმი". ამ გუნდებმა მეოთხედფინალური სერიის საწყისი ორი მატჩი იმდენად თანაბრად ჩაატარეს, რომ ვიდრე მესამე, გადამწყვეტი შეხვედრის საფინალო ზარი არ ჩამოჰკრავს, X-ის ნაცვლად ვერც შსს-ს ჩავწერთ და ვერც „სოხუმს".

ნახევარფინალის მონაწილე დანარჩენი სამი გუნდი ცნობილია: „არმია", „ქუთაისი" და თსუ. პითაგორობა და თეორემების ამოხსნა არ სჭირდებოდა იმის გარკვევას, რომ რეგულარულ ეტაპზე პირველ-მეორე ადგილებზე გასული „არმია" და თსუ, შესაბამისად „ენერჯისა" და სტუ-ს ბარიერს დასძლევდნენ. ხოლო რეგულარულის ბოლოს კარგად ათამაშებული „სამედიცინოს" გზიდან ჩამოცილება „ქუთაისს" ორ მატჩში უნდა გასჭირვებოდა. გაუჭირდა კიდეც, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია - „მედიკოსები" სერიაში 2:0 დაამარცხა.

**5 მაისი, თბილისი**

| | |
|---|---|
| სტუ | 89 |
| თსუ | 97 |

14:31, 22:23, 18:21, 35:22

**სტუ:** ჭოხონელიძე (11ქ), ვ. ბერუაშვილი (4ქ, 10მ, 3პ), ჩიკვილაძე (24ქ, 8პ), ლომოური (21ქ, 10მ), გასიტაშვილი, მაჩალაძე (4ქ, 5მ, 4პ, 6ჩ), თევზაძე, კობიძე (2ქ), ჯანგველაძე (11ქ, 5მ), ძიძიგური (9ქ), ახალკაცი (3ქ, 5მ)

**თსუ:** ხიზანიშვილი, ფანჩულიძე (24ქ, 5მ, 3პ, 4ჩ), გაფრინდაშვილი (7ქ, 9პ, 5მ), მარხვაშვილი (8ქ, 5პ), კოხრეიძე, ლონდარიძე (12ქ), კორკოტაძე (2ქ), ჩიტაშვილი, მათიაშვილი (28ქ, 15მ, 4პ), მ. ბერიშვილი (16ქ, 8მ, 3ჩ)

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა.

**სერია მოიგო თსუ-მ – 2:0**

თსუ-სტუ-ს მატჩის მსვლელობისას ადგილობრივმა დიქტორმა გამოაცხადა - თსუ-ს კალათბურთელ **დავით ხიზანიშვილს** ვაჟი შეეძინაო. მას მთელმა თსუ-მ მოედნის მილმაც მიულოცა და გამარჯვებითაც.

სტუ-ს დისკვალიფიცირებული მთავარი მწვრთნელის, **ზურაბ ტომარაძის** ნაცვლად **გია ტეტელაშვილი** გაუძღვა. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით გამოცდილი კალათბურთელებით თანაბრად დაბალანსებული თსუ 25-ქულიან უპირატესობასაც აღწევდა, ტექნიკოსები ფარ-ხმალს არ ყრიდნენ და საბოლოოდ ღირსეულად დაასრულეს 2010-11 წლების სუპერლიგა. თავად განსაჯეთ, მეოთხე პერიოდი სტუ-მ 35:22 მოიგო, თუმცა მანამდე **ნუგზარ ჭეიშვილის** შეგირდებს სოლიდური ფორა ჰქონდათ მოპოვებული და საბოლოო წარმატება ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ.

გადამწყვეტი გამოდგა ფარქვეშ **რიჩარდ მათიაშვილის** დომინირება, რომელმაც 28 ქულა და 15 მოხსნა მოაგროვა, ხოლო მეტოქეებს წესების დარღვევა 11-ჯერ აიძულა.

**5 მაისი, თბილისი**

| | |
|---|---|
| სოხუმი | 78 |
| შსს | 70 |

26:21, 8:16, 17:21, 27:12

**სოხუმი:** ფარლალავა (13ქ, 5მ, 5პ), ჰარისი (7ქ, 4პ), ჩლაიძე (4ქ, 5მ), კვეტენაძე, ფაცაცია (22ქ, 9მ, 4პ), შანიძე (13ქ, 7მ), სორდია (5ქ), კანკია, კ. დამუსი (5ქ), რ. დამუსი (9ქ, 11მ)

**შსს:** ლაფანაშვილი (3ქ, 7მ), ლეჟავა (16ქ, 5მ), ნიკოლაძე (12ქ, 5მ), ი. ბერიშვილი (12ქ, 3პ), ტუჯანი, დ. ბარბაქაძე (14ქ, 8მ), იმნაძე (13ქ, 7მ), ტომარაძე

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

**სერიაში ანგარიშია – 1:1**

ზუსტად ორი თვეა **ლევან ფაცაციას** არ უთამაშია - „ტროას" მაისურით კოლეჯების ლიგაში ბოლო მატჩი 5 მარტს ჩაატარა. მას მერე 1 მაისამდე ინდივიდუალურად ვარჯიშობდა...

რა შუაშია ერთი კალათბურთელის ბიოგრაფიული ამონარიდი „სოხუმი"-შსს-ს მატჩის მიმოხილვასთან? - იკითხავს მავანი. უბრალოდ გვინდოდა ყურადღება გაგვემახვილებინა, რომ ყველაზე დაძაბულ მეოთხედფინალში საუკეთესო კალათბურთელი სწორედ ლევან ფაცაცია იყო, რომელიც „სოხუმს" 1 მაისს შეუერთდა. იგი მანამდე ინდივიდუალური ვარჯიშით ოპტიმალურ ფორმაში ვერ იქნებოდა. მოკლედ, პრესლოჟაში მყოფი ხუთი ჟურნალისტი შევთანხმდით, რომ **იგორ კოკოშკოვმა** ფაცაცია ნაკრებში უნდა გასინჯოს, რადგან მრავალმხრივი მოთამაშეა, დაცვაშიც საიმედოა და შეტევაშიც. ერთი მატჩის მიხედვით ასე კატეგორიულად რატომ ვმსჯელობთ? - კი, ბატონო, ჩვენ ამ სეზონში ფაცაციას ორი თამაში გვაქვს ნანახი, იგორ კოკოშკოვმა იშოვოს „ტროას" მატჩების ვიდეოფირები და რამდენიმე მატჩიდან გამოიტანოს დასკვნა. ნამდვილად არ ვამტკიცებთ, რომ ფაცაცია აუცილებლად უნდა მოხვდეს 12-კაციან განაცხადში. ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. სხვათა შორის, გუშინდელი შეხვედრის მონაწილეთაგან ერთი-ორი სანაკრებო კანდიდატის დასახელება კიდევ შეიძლება, მაგრამ ეს უკვე სხვა პუბლიკაციის თემაა.

შსს-"სოხუმის" პირველ მატჩში ფაცაცია სროლის სიზუსტით არ გამოირჩა, თუმცა აღნიშნა - ამერიკიდან ახალი ჩამოსული ვარ და დღე-ღამე ჯერაც არეული მაქვსო. ზოგიერთი კალათბურთელი ასეთ ფრაზას, შესაძლოა, თავის მართლების მიზნით ამბობს, მაგრამ ლევანი მართალი აღმოჩნდა - სამშაბათის მერე იგი გუნდსაც გაუშინაურდა, ქართულ დროზეც გადაერთო და შედეგიც სახეზეა: 22 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი, 2 ფოლი, 1 შეცდომა. ლევანმა 11-დან 10 საჯარიმო და 12-დან 6 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო სამქულიან ზონას ჯერაც ვერ გაუშინაურდა - ოთხივე სამიანი ააცილა.

დაცვაში ფაცაციას **ბესიკ ლეჟავას** წინააღმდეგ უწევდა თამაში. სხვათა შორის, შორეული ტყორცნების დიდოსტატმა ბესომ ერთადერთი სამქულიანი სწორედ მაშინ ჩააგდო, როცა ლევანი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. თუმცა სამქულიანების პარალელურად, ახლო და საშუალო დისტანციიდან ტყორცნებში ლეჟავა სუპერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო რომ არის, ეს გუშინაც დაამტკიცა - მჭიდრო მეურვეობის მიუხედავად 16 ქულა ჩააგდო. სწორედ ლეჟავა იყო გადამწყვეტი ფაქტორი ბოლო ორ მატჩში შსს-ს მიერ „სოხუმის" ძლევისა. ჰოდა, გუშინდელი შეხვედრის ბედიც ბევრად იყო დამოკიდებული მის გარჯაზე.

„სოხუმიდან" კი როგორც წესი, გადამწყვეტ როლს **ლაშა ფარლალავა** თამაშობს, რომელმაც მატჩი კარგად დაიწყო, თუმცა სირენამდე 6:03 წუთით ადრე მეხუთე ჯარიმა მიიღო და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. გადამწყვეტ მომენტში ლიდერის ფუნქციის აღება საჭირო იყო. ფარლალავას არყოფნაში თითქოს **იუჯინ ჰარისს** უნდა ეკისრა წინამძღოლობა, მაგრამ ბოლო ორ მატჩში იგი ეფექტურად ვერ ირჯება... ლიდერობა კი ფაცაციამ იკისრა და გადამწყვეტ მომენტში ფარქვეშაც ბევრი იბრძოლა, ტყორცნებისასაც ხელი არ აჰკანკალებია და ლეჟავასაც ლანდივით დაჰყვებოდა.

არ უნდა გამოგვრჩეს **დავით ბარბაქაძე,** რომელიც პერიმეტრიდან 50-პროცენტიანი სიზუსტით გამოირჩა: 8-დან 4 სამქულიანი.

ამ სეზონში „სოხუმისა" და შსს-ს დაპირისპირებები ბოლო წამებამდე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობს და მოვლენების წინადადებებით თხრობას აჯობებს, მეოთხე პერიოდის მოკლე ქრონოლოგია შემოგთავაზოთ. მუქი შრიფტით მუქ მაისურში გამოწყობილი შსს-ს მონაგარს გამოვსახავთ:



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო — სოხუმი-შსს

**IV პერიოდი**

**სოხუმი–შსს**

| | |
|---|---|
| 9:00 | კ. დამუსი 1+1ძ (52:58) |
| 8:31 | ჰარისი 2ძ (54:58) |
| 8:28 | ჰარისი 1ძ (55:58) |
| 8:02 | კ. დამუსი 2ძ (57:58) |
| 7:43 | კ. დამუსი 2ძ (59:58) |
| **7:10** | **დ. ბარბაქაძე 1+1 (ორივე ააცილა)** |
| 6:48 | კ. დამუსი (V ფოლი) |
| 6:03 | ფარლალავა (V ფოლი) |
| **6:03** | **ი. ბერიშვილი 1+1ძ (59:60)** |
| 5:46 | რ. დამუსი 2+1ძ (62:60) |
| **5:31** | **ი. ბერიშვილი 3ძ (62:63)** |
| 4:24 | რ. დამუსი 1+1ძ (64:63) |
| 3:54 | ფაცაცია 2+1 (67:63) |
| **3:44** | **ი. ბერიშვილი 1+1ძ (67:65)** |
| 3:15 | შანიძე 2ძ (69:65) |
| **3:03** | **იმნაძე 1+1 (ორივე ააცილა)** |
| 2:42 | ფაცაცია 2ძ (71:65) |
| 2:11 | ჩლაიძე (73:65) |
| 1:17 | შანიძე 2ძ (75:65) |
| 1:03 | ფაცაცია 1ძ (76:65) |
| **0:52** | **დ. ბარბაქაძე 3ძ (76:68)** |
| 0:50 | ფაცაცია 1+1ძ (78:68) |
| **0:01** | **ნიკოლაძე 2ძ (78:70)** |

ნამატჩევს შსს-ს გამთამაშებელმა **ირაკლი ბერიშვილმა** აღნიშნა:

*- მეორე და მესამე პერიოდი კარგად ჩავატარეთ. 7 ქულითაც დავწინაურდით, მაგრამ ამის შემდეგ ზედიზედ სამჯერ ფარიდან ასხლეტილი ბურთი მეტოქეს დარჩა, რაც კარგად გამოიყენა... რთული იქნება, მაგრამ ვფიქრობ, გადამწყვეტ მატჩში მოგება ჩვენ დაგვრჩება.*

„სოხუმის" უკანახაზელმა ლაშა ფარლალავამ გვარები ჩამოთვალა, მაგრამ იქვე შეჩერდა:

*- დღეს კარგად ითამაშეს ფაცაციამ, შანიძემ... თუმცა გამარჯვებაში ყველამ დიდი წვლილი შეიტანა. ეს მატჩი გუნდური და დაცვაში დამაჯერებელი თამაშით მოვიგეთ.*

საინტერესო ანალიზი გააკეთა „სოხუმის" ლატვიელმა თავკაცმა **აინარს ბაგაცკისმა:**

*- სერიის პირველი მატჩი ბავშვური შეცდომების გამო წავაგეთ. დღესაც გვქონდა ასეთი შეცდომები, განსაკუთრებით მეორე და მესამე პერიოდებში, თუმცა მეოთხე ათწუთეულში ჩემმა ბიჭებმა კაცურად იბრძოლეს და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. დღესაც გამოჩნდა, რომ პლეი ოფში დიდი მნიშვნელობა აქვს ხასიათს...*

*- ქუთაისშიც დაახლოებით ისეთი თამაში იყო, როგორც დღეს - მეტოქე თავიდან დიდი სხვაობით დაწინაურდა, თუმცა მეორე ტაიმში (ორივე მატჩში) თამაში გამოვასწორეთ და მოსაგებად ცოტა დაგვაკლდა,* - დანანებით თქვა „სამედიცინოს" მეფარე **აკაკი დვალიშვილმა.**

დავაკონკრეტებთ: სწრაფი თამაშისა და პირველ ტაიმში მაღალი სიზუსტით შესრულებული სამქულიანების (14-დან 9) წყალობით „ქუთაისმა" გუშინ

**5 მაისი, თბილისი**

| | |
|---|---|
| სამედიცინო | 75 |
| ქუთაისი | 83 |

10:19, 17:27, 21:22, 27:15

**სამედიცინო:** გულისაბედაშვილი (8ქ, 6მ), ჩაჩიბაია (6მ), თვართქილაძე, ს. ლეჟავა (3ქ), ბექაური (6ქ), დვალიშვილი (9ქ, 6მ, 3ჩ, 2დ), როჯერსი (23ქ, 8მ, 3პ), კეიდია, როდუმტა, ჭოჭუა (24ქ, 6მ), გაბისონია (2ქ), კეიდია

**ქუთაისი:** ცეკვავა (15ქ), ბაბუნაშვილი (13ქ), დიდია (15ქ, 5მ), კვიმსაძე (20ქ, 6მ, 4ჩ), ბოლქვაძე (1ქ, 5მ), ლომინაშვილი, გ. ბარბაქაძე (17ქ, 5მ), კოლუაშვილი (2ქ), ქორიძე

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი

**სერია მოიგო „ქუთაისმა" – 2:0**

25-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, ხოლო მეოთხე პერიოდს 20-ქულიანი ფორით შეხვდა. ბოლო რაუნდში **ნუგზარ კანდელაკის** შეგირდებმა **ჯეფ როჯერსის** წინამძღოლობით მეტოქისავე მოედანზე პრესინგს მიმართეს, შეტევაში თამაშიც გამოასწორეს და 25-ქულიანი სხვაობა 7 ქულამდე შეამცირეს. ეს იყო და ეს, ჩემპიონობისთვის ბრძოლა „სამედიცინომაც" ღირსეულად დაასრულა.

**5 მაისი, რუსთავი**

| | |
|---|---|
| ენერჯი | 56 |
| არმია | 83 |

20:13, 19:13, 12:21, 5:36

**ენერჯი:** მაჭავარიანი, გ. ბერუაშვილი (2ქ), აბაიშვილი (5ქ, 5მ, 7პ), გუგავა (7ქ, 4პ), ლამუ (22ქ, 10მ), თავრაძე (2ქ), არაბული (9ქ), აბულაძე (8ქ)

**არმია:** ბაბიაშვილი (13ქ), ბოისა (11ქ, 10მ, 4პ, 3ჩ), ტულუში (22ქ, 8მ, 4პ), პირველაშვილი (2ქ), ათანელიშვილი, ათუაშვილი (2ქ), საყვარელიძე (6ქ, 6მ), შარაბიძე (21ქ, 9მ), ბ. ბერიშვილი (6ქ, 7მ, 7პ, 4ჩ)

**მსაჯები:** გ. მიქელაძე, კ. კუპტაძე

**სერია მოიგო არმიამ – 2:0**

მეოთხე პერიოდშიც რომ გაეძლო, „ენერჯი" სენსაციის ავტორი გახდებოდა...

*- პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, დიდ შესვენებაზე ანგარიშზე 39:26 გავედით. ბოლო პერიოდის წინაც ვიგებდით, მაგრამ ძალა აღარ გვეყო, რასაც დაემატა სასტარტო შემადგენლობის ორი წევრის მიერ მიღებული ხუთი ჯარიმა და გამარჯვება ვერ შევინარჩუნეთ,* - განაცხადა „ენერჯის" ლიდერმა **ქაქუცა აბაიშვილმა.**

..."ენერჯიც" თავაწეული გამოეთიშა ჩემპიონატს.

პერსპექტივა

# ქართული განაცხადი NBA-ს დრაფტზე: თორნიკე შენგელია

ამერიკულ ვებ-ვერდებზე გამოქვეყნდა იმ მოთამაშეთა სია, რომლებმაც NBA-ს წლევანდელ დრაფტზე განაცხადი შეიტანეს. სია გაფართოებულია და მასში 89 კალათბურთელია, რომელთა შორისაც ერთი ქართველია: საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ბელგიური „პეპინსტერის" 19 წლის ფორვარდი **თორნიკე შენგელია.**

ცხადია, 89 კალათბურთელი დრაფტის დღეს (23 ივნისს) სიაში არ იქნება. ახალგაზრდებს 13 ივნისის დღის 4 საათამდე უფლება აქვთ, საკუთარი გვარი სიიდან ამოიღონ. სწორედ ასე მოიქცა 2 წლის წინ **გიორგი შერმადინი,** რომელმაც დრაფტზე მონაწილეობის მსურველთა სიიდან საკუთარი გვარი დედლაინის ბოლო დღეს ამოშალა.

დრაფტზე დადგომა 22 წლამდეა შესაძლებელი. პერსპექტიული მოთამაშეები NBA-ს გუნდების გამოცხადებულ სპეციალურ ვარჯიშებზე დადიან, [illegible]ბებს თავს აწონებენ და თუკი გარანტიას მიიღებენ რომელიმე გუნდისგან, იმ შემთხვევაში დგებიან დრაფტზე. თუკი მოთამაშე ძალიან ნიჭიერია, მას არსად სიარული არ სჭირდება. ასეთს ისედაც გარანტირებული აქვს დრაფტზე წარმატება.

■ ■ ■

აქვე ბელგიის ჩემპიონატში შენგელიას გუნდის მორიგი თამაშის შესახებ მოგახსენებთ. „პეპინსტერმა" „ოოსტენდესთან" შინ 70:81 დათმო. ქართველმა ფორვარდმა 7 წუთი ითამაშა და ერთი დაფარება მიითვალა.

ქართველი NBA-ში

# გათანაბრდა

მატჩის წინ ჩიკაგოელ **დერეკ როუზს** NBA-ის წლევანდელი სეზონის MVP-ის ჯილდო გადასცეს. 22 წლის როუზი ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელად შევიდა, ვისაც ეს ტიტული მოუპოვებია. „ატლანტასთან" მატჩში კი დაამტკიცა, რომ საუკეთესოდ ტყუილად არ დაუსახელებიათ - გამარჯვებაში 25-ქულიანი და 10-პასიანი წვლილი შეიტანა.

მესამე პერიოდის დასაწყისში „ჩიკაგომ" 13-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა (50:37), თუმცა **ჯონსონი-ტიგი-სმიტის** ტრიომ მეოთხე რაუნდის წინ ჩამორჩენა 7 ქულამდე დაიყვანა. როგორც წესი, „ატლანტას" მწვრთნელი **ზაზა ფაჩულიას** მოედანზე მესამე პერიოდის ბოლოს აბრუნებს, თუმცა ამჯერად მეორე ტაიმში ქართველი საერთოდ არ გამოუყვანია.

„ჩიკაგომ" მატჩი გამარჯვებამდე მაინც მიიყვანა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა - 1:1. ცხადია ეს მოგება მასპინძელთა დამსახურებაცაა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სამქულიანებით გამორჩეულმა „ატლანტამ" 48 წუთში მხოლოდ 13 სამიანი ისროლა და 3 ჩააგდო.

სერიის მესამე შეხვედრა 6 მაისს ატლანტაშია.

**ჩიკაგო–ატლანტა 86:73**

**ზაზა ფაჩულია:** 08:00 წუთი, 0 ქულა (1-დან 0 ორქულიანი), 2 მოხსნა, 1 ფოლი, 1 შეცდომა

**ქრონოლოგია**

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:00 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:48 | ფოლი: 1 |
| 00:36 | ორქულიანი: არაზუსტი |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:23 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 07:22 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 07:04 | შეცდომა: 1 |
| 07:00 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

საქართველოს ჩემპიონატი

# ხერხითაც აჯობა და ღონეშიც არაფერი დაუთმო

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 18 |
| აია | 21 |

**ლოკომოტივი** (15-9) კობერიძე, ქავთარაძე, სუთიაშვილი, ხაჩირაშვილი (ბერძენიშვილი 58), კავთიძე (ქამუტაშვილი 52), კვინიხიძე, ღვინჯილია. (1-8) ელოშვილი, ზარიძე, ვეფხვაძე, ოზგებაშვილი, გუჯარაიძე, ბერიშვილი, ჩიტიძე, მაისურაძე.
**ნს:** კვინიხიძე
**აია** (15-9) ხამაშურიძე, აბრამიძე, ი.ჩხიკვაძე, ი.გიორგაძე (გოგლიჩიძე 75), გოშაძე, სინაურიძე, გოგია (მარვაშიძე 48). (1-8) ლომაძე, გურეშიძე, ტ.ჩხიკვაძე (მატკავა 68), მეტრეველი (ცირეკიძე 66), ჩიტეიშვილი, რევიშვილი, შალამბერიძე, დგებუაძე (ძაგნიძე 25, ჟვანია 72).
**7ს:** სინაურიძე
**სინბინი:** გოგია.
**მსაჯი:** გ.ამირხანაშვილი

საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტურის ცენტრალური შეხვედრა „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ გაიმართა, რომელშიც ქვეყნის ჩემპიონმა თბილისის „ლოკომოტივმა“ წლევანდელი გათამაშების ლიდერ ქუთაისის „აიას“ უმასპინძლა. როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში უშელავათო, უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. უფრო უკეთ ქუთათურები გაისარჯნენ და მრისხანე მეტოქე 21:18 დაამარცხეს.

„აიამ“ სერიოზული გამოცდა ჩააბარა. წინა სამ ტურში ქუთაისურმა გუნდმა სამივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, თუმცა მეტოქეები სატურნირო ცხრილის მეორე ნახევრის ბინადრები იყვნენ. რამდენად დიდია ქუთათურთა პოტენციალი, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ „ლკომოტივთან“ თამაშს უნდა ეჩვენებინა.

მატჩი, როგორც უკვე ალვნიშნეთ, საკმაოდ დაძაბული გამოდგა, იმდენად, რომ გუნდებმა საკუთარი სათამაშო არსენალის სრულად გამოვლენა ვერაფრით შეძლეს. შეხვედრას ორივე გუნდისთვის იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მორაგბეები ჯარიმის ზღვარზე ირჯებოდნენ, ხშირი იყო შეცდომები, ბურთის წინ გავარდნა, წინ პასი და თამაშგარედან ბურთისთვის ბრძოლაში ჩართვა.

„ლოკომოტივი“ თავისი მძიმე და მობილური შერკინებითაა ცნობილი. ხშირად, სწორედ მორკინალების კარგ გარჯაზეა დამოკიდებული რკინიგზელთა გუნდის წარმატება. თუ მათ მეტოქე დაჯაბნეს, „ლოკომოტივის“ შეჩერება შეუძლებელია. „აიამ“, ცხადია, ეს კარგად უწყოდა და პირველი, რაშიც მეტოქეს არ ჩამორჩა შერკინების თამაში იყო.

ორივე გუნდი, შეიძლება ითქვას, რომ დასაწყისიდანვე ზედმეტად ფრთხილობდა და თამაშის გამწვავებას ერიდებოდა. მასპინძლებიც და სტუმრებიც, როგორც უკვე ალვნიშნეთ, თამაშის წესსაც ხშირად არღვევდნენ და, შედეგად, „ლოკომოტივის“ მგეზავმა **ბობა კვინიხიძემ** მეტოქის კარში რვა საჯარიმო დაარტყა და ექვსი გაიტანა. მისმა ქუთაისელმა ვიზავიმ, **გაგა სინაურიძემ** კი ცხრაჯერ დაარტყა მასპინძელთა კარში და შვიდი გაიტანა.

შეხვედრა „ლოკომოტივის“ შეტევით დაიწყო და კვინიხიძემ პირველივე წუთზე სცადა მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრა. არ გამოუვიდა, თუმცა ორიოდ წუთში რკინიგზელებმა საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს და ბობამ ანგარიში გახსნა - 3:0. ექვსი წუთის შემდეგ კი მან კიდევ ერთხელ დაარტყა საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან და ბურთი კარის ძელს გაარტყა.

„აიამ“ საწყის ათ წუთში არეული თამაში ნელ-ნელა დაალაგა და შეტევის პირველივე მცდელობაზე მეტოქეს შეცდომა დააშვებინა. სინაურიძემ საჯარიმო 22 მეტრიდან გაიტანა - 3:3. ტაიმის ბოლომდე თამაში ასე ქულა ქულაში მიდიოდა. „აიამ“ პირველად დაწინაურება 30-ე წუთზე მოახერხა, როცა სინაურიძემ მესამე საჯარიმო გაიტანა და ანგარიში 9:6 გახდა, თუმცა „ლოკომოტივმა“ სამ წუთში საჯარიმოთივე გაათანაბრა - 9:9.

პარადოქსია, მაგრამ „აიამ“, როგორც მოგვიანებით გაირკვა, გადამწყვეტი უპირატესობა მაშინ მოიპოვა, როცა კაცნაკლული დარჩა. პირველი ტაიმის მიწურულს მატჩის არბიტრმა ქუთაისელთა ცხრა ნომერი **ლევან გოგია** რაკში ბინძური თამაშისთვის გაასინბინა. ორ წუთში სინაურიძემ კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა და პირველი ნახევარიც დასრულდა - 15:12 „აიას“ სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ „ქუთათურებს“ კიდევ რვა წუთის განმავლობაში მოუწიათ უმცირესობაში თამაშმა. თუმცა მეორე ტაიმის მე-2 წუთზე „აიამ“ კიდევ ერთი საჯარიმო დარტყმის უფლება გამოიმუშავა, რაც სინაურიძემ ისევ გამოიყენა - 18:12.

„ლოკომოტივი“, ცხადია, დანებებას არ აპირებდა და 68-ე წუთისთვის ანგარიშის გათანაბრება შეძლო. კვინიხიძემ ორი საჯარიმო გაიტანა - 18:18. დარჩენილ დროში რკინიგზელთა შერკინებამ იძალა. სტუმართა მოღლილმა მორკინალებმა საკუთარი შერკინება ოთხჯერ წააგეს, თუმცა მასპინძლებმა ეს უპირატესობა ვერ გამოიყენეს.

71-ე წუთზე სტუმართა მგეზავმა კიდევ ერთხელ დაარტყა საჯარიმოდან ზუსტად და „აია“ 21:18 დააწინაურა. „ლოკომოტივმა“ ლელოს გატანა სცადა. მორიგი საჯარიმო რკინიგზელებმა აუტში გადაიტანეს. დერეფანი მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში სუფთად მოიგეს, მოლით მიაწვნენ, მაგრამ „აიამ“ დაცვაში იყოჩაღა და მდგომარეობა განმუხტა.

თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე კვინიხიძეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მიეცა, მაგრამ საჯარიმოდან ვერ გაიტანა და გამარჯვება „აიას“ დარჩა.

**ბობა კვინიხიძე, „ლოკომოტივის“ კაპიტანი:**

*„საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეს და ზვერვისთვის ვიყენებთ. ასე იყო შარშანაც, პირველ წრეში, როგორც ამჟამად, ორი წაგება გვქონდა. მერე, ნელ-ნელა თამაში დავალაგეთ და მიზანსაც მივაღწიეთ. დღევანდელი მატჩი „აიამ“ უკეთ ითამაშა, რაც დასახული ჰქონდათ, 90 პროცენტით შეასრულეს, მაშინ, როცა ჩვენ 50 პროცენტის რეალიზებაც ვერ შევძელით.*

*ძალიან ბევრი ტაქტიკური შეცდომა დავუშვით, ხშირად ვჯარიმდებოდით, რაც მეტწილად უფრო ჩვენი მოთამაშეების უყურადღებობის ბრალი იყო, ვიდრე მეტოქის დამსახურება. ქუთაისური გუნდი, წლეულს, შარშანდელზე სოლიდურად გამოიყურება და, ვფიქრობ, საუკეთესო ოთხეულში, ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე დაამთავრებს ჩემპიონატს.“*

**ბესიკ ხამაშურიძე, „აიას“ მოთამაშე მწვრთნელი:**

*„განვლილ სამ ტურში, ისე მოხდა, რომ სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში მყოფ გუნდებს შევხვდით. „ლოკომოტივთან“ თამაშს ძალიან დიდი მნიშვნელეობა ჰქონდა. ჩვენ ლიდერობის განმტკიცება გვსურდა, მათ კი სატურნირო ცხრილის გაუმჯობესება, ამიტომ თამაში ზედმეტად პრაგმატული გამოვიდა და ძირითადად ტაქტიკურ ბრძოლაში წარიმართა. ამიტომ, შესაძლოა, მატჩი სანახაობრივად კარგი არ იყო. მინდა ხაზგასმით ალვნიშნო, რომ რა დონის გუნდიც უნდა გვყავდეს, „ლოკომოტივი“ ჩვენ წინააღმდეგ მაქსიმალურად მობილიზებული თამაშობს, რაც ძალიან მახარებს.*

*ახლა, მომდევნო ტურში კიდევ ერთი სერიოზული მატჩი გველის. შინ თბილისის „ლელოს“ ვმასპინძლობთ და, ვფიქრობ, არანაკლებ დაძაბული, უშელავათო ბრძოლის გადატანა მოგვიწევს.“*

**IV ტური**

არმაზი-ხარები 9:5, არმია-აკადემია 36:20, ლელო-ყოჩები 22:22

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 4 | 4 | 0 | 0 | +76 | 8 |
| 2.ლელო | 4 | 3 | 0 | 1 | +46 | 6 |
| 3.არმია | 4 | 2 | 1 | 1 | -2 | 5 |
| 4.ლოკ. | 4 | 2 | 0 | 2 | +15 | 4 |
| 5.არმაზი | 4 | 2 | 0 | 2 | -24 | 4 |
| 6.აკადემია | 4 | 1 | 1 | 2 | -17 | 3 |
| 7.ხარები | 4 | 1 | 0 | 3 | -42 | 2 |
| 8.ყოჩები | 4 | 0 | 0 | 4 | -52 | 0 |

**V ტური**

ყოჩები-არმია, აია-ლელო, ხარები-ლოკომოტივი, აკადემია-არმაზი


ირაკლი გიორგაძის შეტევა

ლეგიონერები


მამუკა გორგოძე

# ბურჯელალი მილიონ 500 ათას დოლარს ითხოვს

დღეს საფრანგეთში სასამართლო პროცესი გაიმართება, რომელიც ფრანგული კლუბის პრეზიდენტის, მულტიმილიონერი **მურად ბურჯელალის** საჩივარს განიხილავს. არაბული წარმოშობის ფრანგი მედიამაგნატი საქართველოს ნაკრებისა და „მონპელიეს“ ლიდერ **მამუკა გორგოძეს** კონტრაქტის დარღვევაში სდებს ბრალს.

გორგოძემ წინასწარი შეთანხმება „ტულონთან“ კონტრაქტის თაობაზე წლევანდელი სეზონის წინ გააფორმა. თუმცა მოგვიანებით, სამწლიანი ხელშეკრულება „მონპელიესთან“დადო. ამან, ცხადია, თავნება ბურჯელალის გაცხარება გამოიწვია. მისი და „მონპელიეს“ მთავარი მწვრთნელის **ფაბიენ გალტიეს** სიტყვიერი პაექრობა გაზეთის ფურცლებზე დიდხანს გაგრძელდა. გალტიემ ოპონენტი „მტაცებელ მხეცსაც“ კი შეადარა.

ერთი სიტყვით, მურადი არ ცხრება და გორგოძესგან კომპენსაციის სახით მილიონ ნახევარ დოლარს ითხოვს, რომელიც, მისი თქმით, სამი წლის განმავლობაში უნდა დაფაროს, ანუ წელიწადში 500 ათასი დოლარის მიღება სურს.

*„ჩემმა ადვოკატებმა ბევრი იმუშავეს და გარწმუნებთ, ცამდე მართალი ვარ, ახლა მხოლოდ იმის დადგენა მინდა, კომპენსაციის თანხის გადახდას როდის დაიწყებენ“* - თქვა ბურჯელალმა.

„ტულონის“ პრეზიდენტი თავის სიმართლეში დარწმუნებული კია, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც სასამართლომ უნდა მიიღოს. მსგავსი პრეტენზიები გორგოძესთან „ბრივსაც“ ჰქონდა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

რაგბი. U-15

# ტრიუმფი კორსიკაზე

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებმა საფრანგეთის ქალაქ ვიენაში გამართულ მსოფლიო სარაგბო ფესტივალზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ, კუნძულ კორსიკაზე გადაინაცვლა. ჩვენმა მორაგბეებმა აქ კიდევ უფრო უკეთესად ითამაშეს, ყველა მეტოქე დიდი უპირატესობით დაამარცხეს, ისე, რომ ერთი ლელოც არ მიუღიათ.

საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც **ზვიად ცუხიშვილი** და **გიორგი ენუქიძე** ხელმძღვანელობდნენ, ადგილობრივი სამი, ვიენას ორი გუნდი და მარსელელი თანატოლები ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა. ფინალში კი ახალი ზელანდიის ქრაისთჩერჩის სკოლების ნაკრებს მოუგო - 47:0.

**კორსიკის ტურნირი**

საქართველო-კორსიკა 2 40:0, საქართველო-ვიენა 64:0, საქართველო-ვიენა 2 57:0, საქართველო-მარსელი 38:0, საქართველო-კორსიკა 41:0, საქართველო-კორსიკა 3 17:0, საქართველო-ქრაისთჩერჩი (ახ.ზელანდია) 47:0.

**საქართველოს ნაკრები**

ვახტანგ გაბისიანი, გიგი ქურასბედიანი, ლაშა საჯაია (სამივე-ჯიქები), ირაკლი სვანიძე, სოსო ჯაფარიძე (ორივე-ხულიგანა), ლუკა იურინი, ბექა მაზმიშვილი, ვახტანგ ქავთარაძე, კოტე ახობაძე, სანდრო ილურიძე (ყველა-აკადემია), თორნიკე მანაგაძე, შოთა არეშიძე, გივი ლოსაბერიძე (სამივე-აია), ნოე კოპალიანი, გიორგი ჯოხია, გუგა შავიძე (სამივე-უნივერსიტეტი), დაჩი ელერდაშვილი (ვეფხვები), გიორგი ჯლამია (რაინდები), ვასილ ლობჟანიძე (არმაზი)

ზე რაგბი

# მაკქოუს სრულფასოვანი დაბრუნება

ზე რაგბის გათამაშების მე-12 ტურის მატჩში ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი“ სტუმრად C ჯგუფის ლიდერ კეიპთაუნის „სტორმერზს“ ეთამაშება. ამ შეხვედრაში გუნდის ლიდერი და კაპიტანი **რიჩი მაკქოუ** თავის ჩვეულ პოზიციაზე, ფლანკერად ითამაშებს.

მაკქოუმ ახლახან საკმაოდ სერიოზული ტრავმა მოირჩინა და დიდი ხნის შესვენების შემდეგ, წინა ტურის მატჩში რვა ნომრის პოზიციაზე ითამაშა. აშკარად რიჩი გუნდისთვის მეტი სარგებლის მომტანი იქნება, მით უფრო, რომ „ჯვაროსნებს“ მეტოქე ბევრად სერიოზული ჰყავთ.

*„მათ კარგი დაცვა და საკმაოდ ჭკვიანი შემტევი მოთამაშეები ჰყავთ. ამიტომ ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ მაქსიმალურად ყურადღებით გავისარჯოთ. „სტორმერზი“ მწვავე კონტრშეტევების განხორციელების საშუალებას არ მოგვცემს, ამიტომ უნდა ბურთს უნდა გავუფრთხილდეთ, იოლად არ უნდა დავთმოთ, ამაში კი რიჩი მაკქოუ შეუდარებელია“* - თქვა „კრუსეიდერზის“ მწვრთნელმა **ტოდ ბლეკედერმა**.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

კალათბურთი

# ჯორდანის მემკვიდრე

როგორც უკვე ვწერდით, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 2010-11 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშე გახდა „ჩიკაგო ბულზის" გამთამაშებელი **დერიკ როუზი**. ისიც ალვნიშნეთ, რომ ის NBA-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა MVP გახლავთ.

დღეს თითქმის ყველა ადარებს როუზს ლეგენდარულ **მაიკლ ჯორდანს**. რა თქმა უნდა. დერიკს ძალიან ბევრი უკლია ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელამდე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ როუზის მისვლის შემდეგ „ჩიკაგომ", როგორც იქნა, გაიხსენა, რომ



დერიკ როუზი მთავარი პრიზით

გასული საუკუნის 90-იან წლებში ექვსჯერ გახდა NBA-ის ჩემპიონი.

როუზი 2008 წლის დრაფტის პირველი ნომერია. ორი წლის წინ ის სეზონის საუკეთესო ახალბედად აღიარეს და ჯორდანის შემდეგ პირველი „ხარი" გახდა, ვინც ეს ტიტული დაისაკუთრა. წლევანდელ სეზონში ილინოისურმა კლუბმა მოიგო რეგულარული ჩემპიონატი - ასევე პირველად ჯორდანის ეპოქის შემდეგ. არც იმის შეხსენებაა საჭირო, ვინ იყო „ჩიკაგოდან" ბოლო და ერთადერთი MVP. თუმცა ჯორდანმა ასეთი აღიარება ერთბაშად ხუთჯერ დაიმსახურა.

*„არც კი ვფიქრობ ჯორდანთან შედარების შესახებ,* - განაცხადა როუზმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე. - *იქამდე ძალიან ბევრი მიკლია. თუმცა კარგი იქნება ოდესღაც მის დონეს თუ მივუახლოვდები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დღეს სულ სხვა ეპოქაა და „ჩიკაგო" - სულ სხვა გუნდი".*

თუმცა როუზმა ერთი მაჩვენებლით მაინც გაუსწრო ჯორდანსა და ყველა დანარჩენ წინამორბედს - ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა MVP გახდა. რეგულარული ჩემპიონატის დასრულების მომენტში მისი ასაკი იყო - 22 წელი, 6 თვე და 9 დღე. წინა რეკორდი „ბალტიმორ ბულეტსის" დებიუტანტ ცენტრს **უეს ანსელს** ეკუთვნოდა და ის 42 წელი იყო ძალაში.

რეგულარულ ჩემპიონატში როუზის საშუალო მაჩვენებლები 25.0 ქულას, 7.7 შედეგიან პასსა და 4.1 მოხსნას უდრიდა. „ინდიანას" წინააღმდეგ პლეი ოფის პირველ მატჩში კი დერიკმა 39 და 36 ქულა დააგროვა.

**ყველაზე ახალგაზრდები**

| ასაკი | მოთამაშე | კლუბი | სეზონი |
|---|---|---|---|
| 22 წლის | დერიკ როუზი | ჩიკაგო | 2010/11 |
| 23 წლის | უეს ანსელი | ბალტიმორი | 1968/69 |
| 23 წლის | ბობ პეტიტი | სენტ ლუისი | 1955/56 |
| 23 წლის | უილტ ჩემბერლენი | ფილადელფია | 1959/60 |
| 23 წლის | ბობ მაკადუ | ბაფალო | 1974/75 |

**ჟურნალისტების არჩევანი**

| | 1-ლი | მე-2 | მე-3 | მე-4 | მე-5 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დერიკ როუზი (ჩიკ) | 113 | 6 | 2 | - | - | 1182 |
| 2. დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 3 | 57 | 31 | 16 | 11 | 643 |
| 3. ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 4 | 26 | 39 | 31 | 12 | 522 |
| 4. კობი ბრაიანტი (ლეი) | 1 | 18 | 32 | 40 | 12 | 428 |
| 5. კევინ დურანტი (ოკლ) | - | 6 | 10 | 20 | 38 | 190 |
| 6. დირკ ნოვიცკი (დალ) | - | 5 | 3 | 11 | 30 | 113 |
| 7. დუეინ უეიდი (მაი) | - | 1 | 1 | 2 | 6 | 24 |
| 8. მანუ ჯინობილი (ს-ანტ) | - | 2 | - | - | 6 | 20 |
| 9. ამარე სტაუდმაიერი (ნ-იორ) | - | - | 1 | - | 4 | 9 |
| 10. ბლეიკ გრიფინი (კლი) | - | - | 1 | - | - | 5 |
| 10. რაჟონ რონდო (ბოს) | - | - | 1 | - | - | 5 |
| 12. ტონი პარკერი (ს-ანტ) | - | - | - | 1 | - | 3 |
| 13. კრის პოლი (ნ-ორლ) | - | - | - | - | 2 | 2 |

**შენიშვნა:** 1-ლი ადგილი - 10 ქულა; მე-2 - 7 ქულა; მე-3 - 5 ქულა; მე-4 - 3 ქულა; მე-5 - 1 ქულა. გამოკითხვაში მონაწილეობდა 121 ადამიანი.

# რასელს ძეგლს დაუდგამენ

„ბოსტონ სელტიქსის" ხელმძღვანელობა კლუბის ლეგენდარული ცენტრისთვის **ბილ რასელისთვის** ძეგლის დადგმას აპირებს. ქანდაკებას ერთ-ერთი ადგილობრივი სკულპტორი შექმნის.

*„სიმართლე გითხრათ, ამგვარი აქციები ჩემში დიდ აღფრთოვანებას არ იწვევს, მაგრამ ვამაყობ იმ პერიოდით, რომელიც მე „სელტიქსის" კაპიტნის რანგში გავატარე. ეს უმნიშვნელოვანესი წლებია ჩემს კარიერაში. ქალაქ ბოსტონის ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს თავისი მოსახლეობის დასახმარებლად. „სელტიქსსა" და ქალაქს დიდ მადლობას ვუხდი ამ ჟესტისა და ახალგაზრდების განვითარების პროგრამაში დახმარებისთვის",* - განაცხადა 77 წლის რასელმა.

კალათბურთელის ანგარიშზე NBA-ის 11 ტიტულია. რასელმა 12-ჯერ მიიღო მონაწილეობა „ყველა ვარსკვლავის მატჩში" და ხუთჯერ გახდა სეზონის საუკეთესო მოთამაშე.

ბილ რასელი



კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი



# ახალი ჩემპიონი იქნება?

დაახლოებით 80-პროცენტიანი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ წელს NBA-ს ახალი ჩემპიონი ეყოლება. უაღრესად რთულია „დალასის" დონის გუნდს „შეკვეთით" მოუგო ხუთი მატჩიდან ოთხი, მით უმეტეს, როცა ამ ხუთიდან სამი შეხვედრა მეტოქის მოედანზე გაიმართება.

ზედიზედ მეორე მატჩია „ლეიკერსი" საკუთარ თავს არ ჰგავს. რა თქმა უნდა, შეიძლება ამ გუნდის ლიდერების ნაკლზე ლაპარაკი, მაგრამ მთავარი დამსახურება „მავერიქსსა" და მის მწვრთნელს **რიკ კარლაილს** მიუძღვის. მის მიერ ორგანიზებული დაცვა ბრწყინვალედ გამოიყურება. ამის დამადასტურებელია ერთი მარტივი სტატისტიკური მონაცემი - ჩემპიონი ორ საშინაო შეხვედრაში სულ რაღაც 87.5 ქულას აგროვებს. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

კვლავინდებურად ბრწყინვალეა **დირკ ნოვიცკი. ფილ ჯექსონი** ვერაფერს უხერხებს „დიდ გერმანელს". **პაუ გასოლი** აშკარად ჩამორჩება ტემპში დირკს, ხოლო **ლამარ ოდომისა** და **რონ არტესტის** წინააღმდეგობას ნოვიცკი უბრალოდ არ იმჩნევს.

დიდი როლი ენიჭება სათადარიგო მოთამაშეების ფაქტორს. ჯერჯერობით „დალასის" რეზერვისტები ერთი თავით მაღლა დგანან მეტოქისაზე. მეორე მატჩში ეს თვალნათლივ გამოჩნდა. შეცვლაზე შესულმა ოდომმა და **შენონ ბრაუნმა** 6-6 ქულა დააგროვეს - აი, ასეთი სარგებლობა იყო კალიფორნიელთა რეზერვისტებისგან. „დალასში" 12 ქულა ერთმა **ხოსე ბარეამ** დააგროვა, რომელმაც იმ დღეს შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. სწორედ მასზე „აიკიდა" მატჩის ბოლოს გაძევება არტესტმა. კალიფორნიელთა ფორვარდმა რატომღაც სახეში სილა გააწნა მინიატიურულ პუერტორიკოელს, არადა, სიტუაცია ამას არ მოითხოვდა. ახლა, რონს შეიძლება შემდეგი მატჩი გამოატოვებინონ. საერთოდ, „დალასის" სათადარიგოთა სკამმა 30 ქულა დააგროვა, ხოლო სარგებლიანობის კოეფიციენტი „+33"-ს უდრიდა. „ლეიკერსის" რეზერვისტთა ანალოგიური მაჩვენებელი „-33" იყო.

**დასავლეთი**

**ლეიკერსი-დალასი 81:93**

**20:26, 29:25, 13:17, 19:25**

**ლ:** ბრაიანტი (23+5 ჩაჭრა), ბინუმი (18+13 მოხსნა), პ. გასოლი (13+10 მოხსნა), არტესტი (11+6 მოხსნა+3 დაფარება), ოდომი (6+9 მოხსნა), ბრაუნი (6), ფიშერი (4+5 პასი).

**დ:** ნოვიცკი (24+7 მოხსნა), მერიონი (14+9 მოხსნა), ბარეა (12), კიდი (10+6 პასი), ტერი (9+5 პასი), სტივენსონი (9), ჩენდლერი (6+7 მოხსნა), ჰეივუდი (5+8 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (4).

**სერია: 0-2**

**აღმოსავლეთი**

**ჩიკაგო-ატლანტა 86:73**

**25:19, 23:18, 17:21, 21:15**

**ჩ:** როუზი (25+10 პასი+6 მოხსნა+2 დაფარება), ნოა (19+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), დენგი (14+12 მოხსნა), ბუზერი (8+11 მოხსნა), ბოგანსი (6), კორვერი (5), უოტსონი (3), გიბსონი (2+5 მოხსნა), ტომასი (2), ბრიუერი (2).

**ა:** ტიგი (21+3 ჩაჭრა+2 დაფარება), ჯონსონი (16+5 მოხსნა+5 ჩაჭრა+2 დაფარება), სმიტი (13+6 მოხსნა+4 დაფარება), კროუფორდი (11), ჰორფორდი (6+14 მოხსნა+6 პასი), უილიამსი (4+7 მოხსნა), უილკინსი (2).

**სერია: 1-1**

ევროლიგა. ოთხთა ფინალის წინ

# დღეს, ბარსელონაში

დღეს ბარსელონაში სტარტს იღებს ევროლიგის „ოთხთა ფინალი". ისრაელის „მაკაბი", იტალიის „მონტეპასკი", ესპანეთის „რეალი" და საბერძნეთის „პანათინაიკოსი" კვირისთვის გამოავლენენ „ბებერი კონტინენტის" საუკეთესო გუნდს.

როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ეს „ოთხთა ფინალი" განსაკუთრებულია, რადგან აქ არ არის გამოკვეთილი ფავორიტი. ოთხივე კლუბი დაახლოებით ერთი დონისაა, თანაც მასპინძელი გუნდი ვერ მოხვდა ამ სტადიაზე, რაც ასევე ათანაბრებს მეტოქეთა შანსებს და მომავალ მატჩები კიდევ უფრო არაპროგნოზირებადს ხდის. სხვათა შორის, „ოთხთა ფინალში" „ბარსელონას" არყოფნა მთავარი და ერთადერთი სიურპრიზია. საერთო ჯამში კი აქ წარმოდგენილი გუნდები სეზონის განმავლობაში უძლიერეს თამაშს აჩვენებდნენ და სამართლიანად მოხვდნენ საუკეთესო ოთხეულში.

წელს ბევრი ელოდა „ბარსელონასგან" შარშანდელი წარმატების გამეორებას, თანაც ფინალური რაუნდი ამ გუნდის ტერიტორიაზე იმართება. მაგრამ მეოთხედფინალში კატალონიელები „პანათინაიკოსთან" დამარცხდნენ. „ბარსას" განბილებულმა გულშემატკივრებმა დაახლოებით 2 ათასი ბილეთი მიჰყიდეს „მაკაბის" ფანებს, ასე რომ, ისრაელის ჩემპიონს კატალონიის დედაქალაქში სოლიდური მხარდაჭერა ექნება - დაახლოებით 5 ათასი გულშემატკივარი. არენა, რომელზეც მატჩები გაიმართება, 17 ათას მაყურებელს იტევს.

როგორც ვთქვით, ნახევარფინალურ წყვილებში ფავორიტის გამორჩევა რთულია, მაგრამ გარკვეული სტატისტიკური მონაცემების მოშველიებით შესაძლებელია რომელიმე გუნდისთვის მცირე უპირატესობის მინიჭება. ასე მაგალითად, „მაკაბიმ" მთელი ევროსეზონის განმავლობაში მხოლოდ ხუთი მატჩი წააგო და ბუკმეიკერები ახალგაზრდა „რეალის" წინააღმდეგ ისრაელის გუნდს ოდნავ მაღლა აყენებენ. ასეთივე უპირატესობა აქვს „მონტეპასკის" „პანათინაიკოსზე". იტალიელებმა მეოთხედფინალში 3:1 მოუგეს სერია „ოლიმპიაკოსს", ეს გუნდი კი საბერძნეთის ჩემპიონატში „პანათინაიკოსზე" ძლიერად გამოიყურება.

დავუბრუნდეთ „მაკაბისა" და „რეალის" წყვილს და ისიც აღვნიშნოთ, რომ მადრიდელებისთვის ეს პირველი „ოთხთა ფინალია" ბოლო 15 (!) წლის განმავლობაში.

წლევანდელი ტურნირი კიდევ ერთი რამით არის წინამორბედებისგან განსხვავებული. კვირას ფინალური მატჩი უჩვეულოდ ადრე დაიწყება - თბილისის დროით 18 საათსა და 30 წუთზე. საქმე ისაა, რომ 8 მაისს ისრაელში 20 საათიდან პატივს მიაგებენ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულ ჯარისკაცებსა და ტერაქტების მსხვერპლს. ამ დროიდან მოყოლებული მთელი მომდევნო დღის განმავლობაში ქვეყანაში არ გაიმართება არანაირი გასართობი ღონისძიება, მათ შორის სპორტული შეჯიბრებები. თანაც აკრძალვა ეხება საზღვარგარეთ მყოფ ისრაელის გუნდებსაც. ამიტომაც ევროლიგას დათმობაზე წასვლამ მოუწია.

**ოთხთა ფინალის განრიგი**

**6 მაისი. პარასკევი**

**1/2 ფინალი**

პანათინაიკოსი-მონტეპასკი (20:00)
მაკაბი-რეალი (23:00)

**8 მაისი. კვირა**

**მე-3 ადგილისთვის (15:00)**

ფინალი (18:30)

მატჩებს პალაუ სანტ ხორდი უმასპინძლებს



ამბები

კალათბურთი

## რუბიოზე ნადირობაა

„მინესოტას" პრეზიდენტი **დევიდ კანი** ევროპაში იმყოფება. ის ბარსელონაში ევროლიგის „ოთხთა ფინალს" დაესწრება, თუმცა ესპანეთში ვიზიტის მთავარი მიზანი „ბარსელონას" გამთამაშებელთან **რიკი რუბიოსთან** მოლაპარაკებებია. „მგლების" ხელმძღვანელობას სურს ესპანელ ვუნდერკინდთან უახლოეს ერთ თვეში გააფორმოს კონტრაქტი და მომავალი სეზონისთვის დაიმატოს ახალგაზრდა მცველი.

კრივი

## ბილეთები გაიყვეს

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონებმა **ვლადიმერ კლიჩკომ** (IBF, WBO) და **დევიდ ჰეიმ** (WBA) მოაგვარეს უთანხმოება ბილეთების განაწილებასთან დაკავშირებით. ეს მოკრივეები ერთმანეთს 2 ივლისს ჰამბურგში შეხვდებიან და ბრიტანელი მოკრივე ჩიოდა იმ პრობლემის გამო, რომელიც ბრიტანელი გულშემატკივრებისთვის საკმარისი რაოდენობით ბილეთების გამოყოფას შეეხებოდა.

საბოლოოდ, დევიდისთვის გამოიყო 7 ათასი ბილეთი, სულ კი ჰამბურგის საფეხბურთო არენა 57 ათას მაყურებელს იტევს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# უდანაკარგო მხოლოდ ჩეხეთია

**პირველი** ჯგუფური ეტაპის ბოლო დღეს ოთხიდან სამმა სკანდინავიურმა გუნდმა შეძლო გამარჯვების მოპოვება შაიბების შესანიშნავი სხვაობით - 14:4. ამ ტრიოსთან ერთად შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა ფინეთის ნაკრებმა.

### C ჯგუფი

**ავსტრია-ნორვეგია 0:5**

0:3, 0:1, 0:1

**გოლები**: 0:1 ე. კოივუ-1 (ბასტიანსენი-2, ოლიმბი-3), 0:2 ოლიმბი-1 (სპეტსი-2, ბასტიანსენი-3), 0:3 ჰოლესი-1 (სკრედერი-2, ოლიმბი-4), 0:4 სპეტსი-1 (ბასტიანსენი-4, ოლიმბი-5), 0:5 ბასტიანსენი-3 (ოლიმბი-6, სკრედერი-3).

ავსტრიელებს შემდეგ ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი ჰქონდათ, ოღონდ ამისთვის ძირითად დროში უნდა დაემარცხებინათ ნორვეგია. ამიტომაც ყველა დაძაბულ ბრძოლას მოელოდა, მაგრამ სინამდვილეში უკვე მე-11 წუთისთვის ინტრიგა ალარ არსებობდა - სამი უპასუხო შაიბითი სკანდინაველებმა ყველანაირი ხალისი გაუქრეს მეტოქეს.

ფანტასტიკური ინდივიდუალური მაჩვენებლები ჰქონდათ **მატიას ოლიმბსა და ანდრეს ბასტიანსენს**. პირველმა ყველა გოლში მიიღო მონაწილეობა (ერთი გაიტანა და ოთხი პასი შეასრულა), მეორის მონაგარი ოდნავ მოკრძალებული იყო - „მხოლოდ" ოთხი ქულა (1+3). ამის წყალობით ოლიმბი (1+6) და ბასტიანსენი (3+4) მოულოდნელად სათავეში მოექცნენ ბომბარდირთა სიას.

**შვედეთი-აშშ 6:2**

1:1, 3:0, 2:1

**გოლები**: 1:0 ბერგლუნდი-3 (ტ. ერიქსონი-1), 1:1 ფაულერი-1 (სტეპანი-4, კ. სმიტი-1), 2:1 კრიუგერი-1 (ტედენბი-1), 3:1 სიოგრენი-1 (ჯ. ერიქსონი-1), 4:1 ბერგლუნდი-4 (ტერნბერგი-2, პააიარვი-2), 4:2 უილერი-2 (კ. სმიტი-2), 5:2 ჯ. ერიქსონი-1 (ს. კრონვალი-1, სიოგრენი-1), 6:2 პეტრაშეკი-1 (სიოგრენი-2).

ეს იყო მატჩი პირველი ადგილისთვის. ნორვეგიასთან და ავსტრიასთან მატჩებში სუსტი თამაშის შემდეგ შვედებმა სათანადო დასკვნები გამოიტანეს და ამერიკასთან პირველი ორი პერიოდი შესანიშნავად გამოიყურებოდნენ. თუმცა პირველ 20-წუთეულში დიდი უპირატესობა ანგარიშში არ აისახა, სამაგიეროდ „ტრე კრუნურმა" მეორეში „გადაუარა" მეტოქეს. თანაც, აშშ-ზე იმოქმედა მეკარე **ელ მონტოიას** არც ისე დამაჯერებლმა თამაშმა.

ამერიკელებს ბოლომდე სჯეროდათ მატჩის გადარჩენის და მესამე პერიოდში ინიციატივა მათ მხარეს იყო, მაგრამ სკანდინაველთა კონტრშეტევამ და **ჯიმი ერიქსონის** გოლმა ოკეანისგაღმელებს ყველანაირი იმედი მოუსპო.

ჩემპიონატის სუსტად დაწყების შემდეგ შვედეთმა ჯგუფი მოიგო და მეორე ეტაპზე 4 ქულით გადავიდა, ამერიკას სამი ქულა ექნება, ნორვეგიას - ორი.

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 13-7 | 7 |
| 2. აშშ | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 11-9 | 6 |
| 3. ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 12-8 | 5 |
| 4. ავსტრია | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | 1-13 | 0 |

### D ჯგუფი

**დანია-ლატვია 3:2 (ბ)**

1:0, 1:2, 0:0, 0:0

**გოლები**: 1:0 მ. კრისტენსენი-1 (იაკობსენი-2, ბედკერი-1), 1:1 ციპულისი-1 (ციბულსკისი-1, ნიჟივი-1), 2:1 კრისტენსენი-2 (ნილსენი-1, ჰარდტი-1), 2:2 ე. რედლიჰსი-1 (ნიჟივი-2, მ. რედლიჰსი-3).

**ბულიტები გაიტანეს**: კრისტენსენი (დანია).

პირველი ორი მატჩის დიდი ანგარიშით წაგების შემდეგ არავის ეგონა, რომ დანია შეძლებდა მოგებას და მეორე ეტაპზე გადასვლას. ობიექტურად, ლატვიელთა კლასი უფრო მაღალი იყო. ბალტიისპირელებმა პირველ ორი ტურში ღირსეული თამაში აჩვენეს, თუმცა, როგორც გაირკვა, ფინეთთან და ჩეხეთთან ბრძოლებმა მათ ბევრი ენერგია წაართვა.

დანიამ კი მხოლოდ ამ მატჩზე გააკეთა აქცენტი და გაუმართლა კიდეც. სხვებზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა **მადს კრისტიანსენი**, რომელმაც დუბლი შეასრულა და ბოლოს გადამწყვეტი ბულიტი გაიტანა.

ლატვია 1997 წლის შემდეგ მესამედ მოხვდა აუტსაიდერთა ტურნირში. ეს გუნდი ელიტიდან არასოდეს გავარდნილა, თუმცა ახლა ღირსეული მეტოქეები ეყოლება ბელარუსის, სლოვენიისა და ავსტრიის სახით.

**ფინეთი-ჩეხეთი 1:2**

0:0, 0:1, 1:1

**გოლები**: 0:1 მ. მიხალეკი-3 (ჟიდლიცკი-2, რახუნეკი-1), 0:2 იაგრი-1 (ჩერვენკა-2, კრაიჩეკი-1), 1:2 სალმელა-1 (პესონენი-1, ნ. კაპანენი-1).

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ჩეხეთი ერთადერთი გუნდი აღმოჩნდა პირველ ეტაპზე, რომელმაც ქულათა მაქსიმუმი მოიპოვა. ყველაზე მეტად ამ გუნდს სწორედ ფინეთის წინააღმდეგ გაუჭირდა. „სუომის" ძალიან უნდოდა შარშანდელ მეოთხედფინალში დასანანი მარცხისთვის რევანშის აღება, თანაც ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად ზრუნავდა.

ფინეთს გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, მომენტსაც მეტს ქმნიდა, მაგრამ პირველი პერიოდი უგოლოდ დასრულდა, მეორეში კი ჩეხებმა გახსნეს ანგარიში - თავი გამოიჩინა **მილან მიხალეკმა**. ამას ფინელთა ორი საგოლე მომენტი მოჰყვა, მაგრამ მეკარე **პაველეცმა** ივარგა.

მესამე 20-წუთეულში თავი შეგვახსენა ლეგენდარულმა **იარომირ იაგრმა**, რომელმაც წინა ორ მატჩში ორწუთიანი ჯარიმა მიიღო და ქულა ვერ დააგროვა. ფინეთის კარის წინ ბრძოლისას ვეტერანი ყველაზე მოხერხებული აღმოჩნდა - 2:0. ფინეთმა მხოლოდ საფინალო სირენამდე 19 წამით ადრე შეძლო ერთი საპასუხო გოლის გატანა და თამაშის გადასარჩენად დრო ალარ დარჩა.

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 12-3 | 9 |
| 2. ფინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 9-5 | 5 |
| 3. დანია | 3 | 0 | 1 | 2 | 0 | 4-13 | 2 |
| 4. ლატვია | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 6-10 | 2 |

**გოლი+პასი**

| | | |
|---|---|---|
| 1. ბასტიანსენი (ნორვეგია) | 7 (3+4) |
| 2. ოლიმბი (ნორვეგია) | 7 (1+6) |
| 3. სკინერი (კანადა) | 5 (3+2) |
| 4. ტავარესი (კანადა) | 5 (2+3) |
| 5. კოვალჩუკი (რუსეთი) | 5 (0+5) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| 1. ბერგლუნდი (შვედეთი) | 4 |
| 2. ბასტიანსენი (ნორვეგია) | 3 |
| 3. სკინერი (კანადა) | 3 |
| 4. ებერლე (კანადა) | 3 |
| 5. მ. მიხალეკი (ჩეხეთი) | 3 |

**პასები**

| | |
|---|---|
| 1. ოლიმბი (ნორვეგია) | 6 |
| 2. კოვალჩუკი (რუსეთი) | 5 |
| 3. ბასტიანსენი (ნორვეგია) | 4 |
| 4. სტეპანი (აშშ) | 4 |
| 5. ნილსონი (შვედეთი) | 4 |

### II ეტაპი

**E ჯგუფი**

**5 მაისი**

22:15 რუსეთი-დანია

**6 მაისი**

18:15 გერმანია-ფინეთი
22:15 ჩეხეთი-სლოვაკეთი

**7 მაისი**

18:15 დანია-გერმანია
22:15 ფინეთი-სლოვაკეთი

**8 მაისი**

18:15 ჩეხეთი-რუსეთი

**9 მაისი**

14:15 სლოვაკეთი-დანია
18:15 რუსეთი-ფინეთი
22:15 გერმანია-ჩეხეთი

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 8-1 | 6 |
| 2. გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 6-3 | 6 |
| 3. ფინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 6-3 | 3 |
| 4. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 4-5 | 3 |
| 5. სლოვაკეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 6-8 | 0 |
| 6. დანია | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 1-11 | 0 |

**F ჯგუფი**

**5 მაისი**

22:15 შვეიცარია-ნორვეგია

**6 მაისი**

18:15 კანადა-აშშ
22:15 შვედეთი-საფრანგეთი

**7 მაისი**

18:15 ნორვეგია-კანადა
22:15 აშშ-საფრანგეთი

**8 მაისი**

18:15 შვედეთი-შვეიცარია

**9 მაისი**

14:15 საფრანგეთი-ნორვეგია
18:15 შვეიცარია-აშშ
22:15 კანადა-შვედეთი

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 13-4 | 5 |
| 2. შვედეთი | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 10-7 | 4 |
| 3. აშშ | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 6-8 | 3 |
| 4. შვეიცარია | 2 | 0 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 5. ნორვეგია | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 7-8 | 2 |
| 6. საფრანგეთი | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 1-10 | 1 |

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ბრაგა-ბენფიკა | 1:0 (1:2) |
| ვილიარეალი-პორტუ | 3:2 (1:5) |

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| რეძსჰემი-ლუტონი | 0:3 |

**დანიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

ესბერგი-მიდტიულან. 2:1 პენ. 4:5 (2:1)

**ჩეხეთი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| სლავია-სიგმა | 1:1 *შეწყდა* |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| გლორია-გაზ მეთანი | 0:0 |
| უნივერსიტატეა (კლ)-სპორტული | 2:0 |
| ვასლუი-ტიმიშოარა | 1:1 |
| ოცელული-უნივერსიტატეა (კრ) | 2:1 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| მონტანა-ვიდიმა | 1:1 |
| ლოკომოტივი (ს)-ჩერმონორეცი | 2:1 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-მანტა | 0:0 |

**კალათბურთი**

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბილბაო-მენორკა | 90:74 |
| ხირონა-სარაგოსა | 84:71 |
| ხუვენტუდი-კახა ლაბორალი | 80:83 |
| უნიკახა-გრანადა | 78:53 |
| ვალიადოლიდი-ფუენლაბრადა | 72:68 |
| გრან კანარია-ვალენსია | 68:66 |

**ჰოკეი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბელარუსი-ავსტრია | 7:2 |
| სლოვენია-ლატვია | 5:2 |
| რუსეთი-დანია | 4:3 |
| შვეიცარია-ნორვეგია | 2:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მადრიდი**

| | |
|---|---|
| **ფედერერი**-მალისე | 6:4, 6:3 |
| **ჯოკოვიჩი**-გარსია ლოპესი | 6:1, 6:2 |
| **ბერდიხი**-მონაკო | 7:5, 6:3 |
| მიურეი-**ბელუჩი** | 4:6, 2:6 |
| **სიოდერლინგი**-ცონგა | 7:6, 7:5 |
| **ლოდრა**-ხიმენო ტრავერო | 1:6, 6:4, 7:6 |
| **ფერერი**-სტახოვსკი | 6:3, 7:6 |

**WTA. მადრიდი**

| | |
|---|---|
| ვოზნიაცკი-**გორჯესი** | 4:6, 6:1, 3:6 |
| **ნა ლი**-ვინჩი | 2:6, 6:2, 6:1 |
| **პავლიუჩენკოვა**-სტოსური | 7:6, 6:3 |
| **აზარენკა**-პარა სანტონხა | 6:0, 6:3 |
| **მატეკი**-სკიავონე | 7:6, 6:3 |
| გაიდოშოვა-**საფაროვა** | 3:6, 3:6 |

## TV პროგრამა

**6 მაისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ლევერკუზენი.
**14:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ბილბაო.
**16:00** იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ბოლონია.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სარაგოსა.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**01:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბრესტი-პსჟ.
**12:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. II მატჩი.
**14:30** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. პანათინაიკოსი-მონტეპასკი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. მაკაბი-რეალი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**01:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ჩიკაგო-ატლანტა. II მატჩი.
**05:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. დალასი-ლეიკერსი. III მატჩი.

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**16:55** პროფესიული კრივი. გუნდური პირველობა (LIVE).
**20:00** მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა. კატარი (LIVE).
**03:30** ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. დეტროიტი-სან ხოსე. IV მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**09:15** ტაეკვანდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. კორეა (LIVE).
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**20:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**19:55** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. პანათინაიკოსი-მონტეპასკი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**22:55** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. მაკაბი-რეალი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**03:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ატლანტა-ჩიკაგო. III მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

**14:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**17:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (იუნიორები). ჯგუფური ეტაპი. დანია-ინგლისი. სერბეთი (LIVE).
**19:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (იუნიორები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ჩეხეთი. სერბეთი (LIVE).
**21:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**14:30** ავსტრალიური ფეხბურთი. ადელაიდა-ჰაუტორნი (LIVE).

## NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# დედაქალაქელები ისევ შერცხვნენ

**„ვანკუვერისა" და „ნეშვილის" სერიას თუ არ ჩავთვლით, მეოთხედფინალურ ეტაპზე აშკარაა ერთი გუნდის მეორეზე უპირატესობა. „ტამპამ" ოთხ მატჩში მოამთავრა საქმე „ვაშინგტონთან", კიდევ ორ სერიაში ანგარიშია - 3:0.**

### აღმოსავლეთი

**ბოსტონი-ფილადელფია 5:1**

2:0, 2:1, 1:0

**გოლები**: 1:0 ხარა-1 (მარშანი-6, პ. ბერჟერონი-10), 2:0 კრეისი-5 (ლუჩიჩი-3, ჰორტონი-3), 3:0 პეი-1 (გ. კემპბელი-1, ბოიჩუკი-1), 4:0 ჰორტონი-5 (კრეისი-3, ხარა-2), 4:1 მეზაროში-2 (პოუ-1, კარჩილო-1), 5:1 ხარა-2 (კრეისი-4, საიდენბერგი-5).

**სერია: 3-0**

სერია „ბოსტონის" აშკარა უპირატესობით მიმდინარეობს და წესით, „ფილადელფიას" შარშანდელი გმირობის გამეორების არანაირი შანსი არ აქვს, მით უმეტეს, რომ „მფრინავების" მწვრთნელი **პიტერ ლავიოლეტი** კვლავაც ვერ ჩამოყალიბდა პირველი მეკარის საკითხზე.

„ბოსტონის" მხრიდან კვლავ უნდა გამოვყოთ მეკარე **ტიმ ტომასის** ბრწყინვალე თამაში. შეტევაში კი შესანიშნავი იყო სლოვაკურ-ჩეხური დუეტი: სლოვაკმა მცველმა **ზდენო ხარამ** (2+1) და ჩეხმა თავდამსხმელმა **დევიდ კრეისიმ** (1+2) ერთად ექვსი ქულა დააგროვეს.

„ფილადელფიაში", რომელიც უფსკრულის პირას აღმოჩნდა, ერთადერთი გოლი **ანდრეი მეზაროშმა** გაიტანა.

**ტამპა ბეი-ვაშინგტონი 5:3**

1:1, 2:1, 2:1

**გოლები**: 1:0 მელოუნი-3 (ლეკავალიე-7, სენტ ლუისი-7), 1:1 შტურმი-1 (არნოტი-4, ოვეჩკინი-5), 2:1 ბერგენჰაიმი-6 (მური-5, დაუნი-9), 3:1 ბერგენჰაიმი-7 (მური-6), 3:2 ერსკინი-1, 4:2 მ-ა. ბერჟერონი-1 (დაუნი-10, პურსელი-9), 5:2 სენტ ლუისი-6 (პურსელი-10), 5:3 ჯ. კარლსონი-2 (ლეიჩი-6, არნოტი-5).

**სერია: 4-0**

აღმოსავლეთის ჩემპიონი მოულოდნელად სასტიკად განადგურდა აღნიშნულ სერიაში. „ტამპა ბეიმ", რომელსაც შვიდი მატჩის ჩატარება დასჭირდა „პიტსბურგის" დასამარცხებლად, ამჯერად „მშრალი" ანგარიშით დაასრულა სერია. რაც მთავარია, ყველა კომპონენტში აჯობა სტენლის თასის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს. „ვაშინგტონმა" დამაჯერებლად გაიარა რეგულარული, შემდეგ იოლად გადალახა „ნიუ იორკ რეინჯერსის" ბარიერი და ისევ, როგორც წინა წლებში, ორი ნაბიჯი არ ეყო მთავარ პრიზამდე.

მეოთხე მატჩში დიდი ბრძოლა იყო და რამდენიმე ეპიზოდში მასპინძლების მეკარე **დუეინ როლოსონი** ჩაფხუტის გარეშე დარჩა. მატჩის ბედი ორმა ჰოკეისტმა გადაწყვიტა. **შონ ბერგენჰაიმმა** (2+0) და **მარტინ სენტ ლუისმა** (1+1) ორ-ორი ქულა ჩაიწერეს აქტივში. ამ უკანასკნელის გოლის შემდეგ მატჩში ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

„ვაშინგტონის" მთავარი ვარსკვლავი **ალექსანდრ ოვეჩკინი** თავისუფალია. ის უკვე მიიწვიეს რუსეთის ნაკრებში და სავარაუდოდ, ფორვარდს პარალელურად მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიხილავთ.

### დასავლეთი

**დეტროიტი-სან ხოსე 3:4 (ო)**

1:1, 2:1, 0:1, 0:1

**გოლები**: 0:1 სეტოგუჩი-2 (ჯ. ტორნტონი-5, პაველსკი-2), 1:1 ლიდსტრიომი-2 (ზეტერბერგი-1, ჰოლმსტრიომი-4), 2:1 ივსი-3 (ჰელმი-3, დრეიპერი-1), 2:2 სეტოგუჩი-3 (დ. ბოილი-6, ჯ. ტორნტონი-6), 3:2 დაციუკი-3 (ზეტერბერგი-2, ლიდსტრიომი-3), 3:3 დ. ბოილი-1 (უელვუდი-4, ტ. მიტჩელი-4), 3:4 სეტოგუჩი-4 (ჯ. ტორნტონი-7).

**სერია: 0-3**

„დეტროიტმა" ზედიზედ მესამედ წააგო ერთი შაიბის სხვაობით. **მაიკ ბებკოკის** გუნდმა ორი მარცხი ოვერტაიმში ინვნია, ერთი - ძირითად დროში და თითქმის გამოეთხოვა კონფერენციის ფინალში გასვლის შანსს.

„რედ უინგზის" ფიასკოს რამდენიმე მიზეზი აქვს. მაგალითად, გუნდს არ ჰყავს ძლიერი მეკარე. **ჯეიმს ჰოვარდი** პერიოდულად კარგ თამაშს აჩვენებს, მაგრამ ის არ გახლავთ პლეი ოფის მატჩებისთვის გამობრძმედილი გოლკიპერი. გარდა ამისა, დეტროიტელთა წამყვანი მცველების - **ნიკლას ლიდსტრიომის, რუსლან სალეისა** და **ბრაიან რაფალსკის** საუკეთესო წლები უკან დარჩა და ვეტერანის ასაკში ისინი ველარ უძლებენ მარათონულ სეზონს.

თუმცა ლიდსტრიომი ორი ქულით (1+1) ერთ-ერთი საუკეთესო იყო მესამე მატჩში, თუმცა კალიფორნიელებსაც აღმოაჩნდათ თავიანთი „ჯოკერი" - **დევინ სეტოგუჩიმ** ჰეთ-თრიკი შეასრულა. სწორედ მან გაიტანა ოვერტაიმში შაიბა და თითქმის გაუნაღდა თავის გუნდს შემდეგ ეტაპზე თამაში.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. თურქეთის გრან-პრის წინ


ჰემილტონის ფინიში შანხაიში

# ჰემილტონი ნადირობას გააგრძელებს

აზიასა და ევროპაში ჩატარებული სამი ეტაპის შემდეგ ფორმულა 1 ევროპაში ბრუნდება და თუ პილოტებსა და გუნდების ბოსებს ვერწმუნებით, 2011 წლის სეზონი სწორედ აქედან იწყება. თურქეთის უახლოეს გრან-პრიზე „მაკლარენის" პილოტი **ლუის ჰემილტონი** ზედიზედ მეორე გამარჯვების მოპოვებას აპირებს და თუ ძალიან გაუმართლებს, შესაძლოა, საერთო ჩათვლაში ლიდერობა ჩამოართვას **სებასტიან ფეტელს**.

■ ■ ■

სეზონის პირველი სამი რბოლა ფავორიტის დევნას ჰგავდა. „მაკლარენი" ჯიუტად ავიწროებდა „რედ ბულს" და შანხაიში მიაღწია კიდეც საწადელს. ჰემილტონმა ბოლო წრეზე გაასწრო ფეტელს, მოიგო ჩინეთის გრან-პრი და გენერალურ კლასიფიკაციაში გერმანელთან ჩამორჩენა 21 ქულამდე შეამცირა. რა თქმა უნდა, ბრიტანულ საჯინიბოში ყველა ბედნიერი იყო, მაგრამ ეიფორიაში არავინ ჩავარდნილა. *„ჩვენ გვჭირდებოდა ეს გამარჯვება, რათა გუნდს ენერგია შემატებოდა. მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებთ. უდიდესი სამუშაოს ჩატარებაა საჭირო „რედ ბულის" დონეზე გასასვლელად და კიდევ უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ მათ გასასწრებად"*, - განაცხადა ლუისმა.

იმავეს ფიქრობს „მაკლარენის" შეფი **მარტინ უიტმარში**. მისი თქმით, ჩინეთში ტრიუმფის მიუხედავად, მათი მანქანა „რედ ბულის" ბოლიდს წრეზე საშუალოდ 3-5 მეათედი წამით ჩამორჩება. მაგრამ „მაკლარენი" უკვე „ისტამბულ-პარკზე" აპირებს ამ სხვაობის გაბათილებას. მით უმეტეს, რომ ბრიტანული საჯინიბოს პილოტები ბოლო დროს თურქეთში ბრწყინვალედ გამოდიან. 2009 წელს აქ **ჯენსონ ბატონმა** გაიმარჯვა (თუმცა „ბრაუნ გრანპრის" ბოლიდით), 2010 წელს კი „მაკლარენმა" დუბლი შეასრულა - პირველზე ჰემილტონი იყო, მეორეზე - ბატონი.

ამ დუეტმა უკონტაქტო ბრძოლა გამართა გამარჯვებისთვის, რასაც ვერ ვიტყვით „რედ ბულზე". ფეტელი და **მარკ უებერი** ერთმანეთს შეეჯახნენ და შემდეგ არც ერთმა არ აღიარა თავისი ბრალი ამ ინციდენტში. ამან გუნდის შიგნით ნეგატიური ატმოსფერო შექმნა.

■ ■ ■

ვერ ვიტყვით, რომ „რედ ბულში" სიტუაცია ახლაც იდეალურია. შანხაიში უებერმა პირდაპირ განაცხადა, რომ გაუხარდა თანაგუნდელის მარცხი, აგრეთვე არ გამორიცხა „რედ ბულიდან" წასვლა. „ფერარის" მხარეს იხედება ფეტელიც, რომელსაც „რედ ბულის" მფლობელი **დიტრიხ მატეშიცი** (მისივე სიტყვებით) ნებისმიერ მომენტში გაუშვებს სხვაგან 2014 წლის ბოლომდე გაფორმებული კონტრაქტის მიუხედავად.

განსხვავებული სიტუაციაა „მაკლარენში". ამ დღეებში ბატონმა განაცხადა, რომ ასეთ შესანიშნავ გუნდში კიდევ დიდი ხნით დარჩებოდა და სწორედ „მაკლარენში" სურს კარიერის დასრულება. შანხაის ტრიუმფის შემდეგ განწყობა შეეცვალა ლუის ჰემილტონს და მანაც გამოთქვა 2012 წლის შემდეგ გუნდში დარჩენის სურვილი. მოკლედ, სრული იდილიაა.

სხვათა შორის, სულ მალე ფორმულა 1-ში სამუშაოდ ბრუნდება „მაკლარენის" კიდევ ერთი სახელგანთქმული თანამშრომელი. უფრო ზუსტად, მისი ყოფილი ტექნიკური დირექტორი **მაიკ კოფლენი** - 2007 წლის ჯაშუშური სკანდალის ერთ-ერთი მთავარი გმირი. ის სკანდალი „მაკლარენს" 100 მილიონ დოლარად და კონსტრუქტორთა თასზე მოპოვებულ ქულებად დაუჯდა. მაიკი დროებით ჩამოაშორეს ფორმულა 1-ს. ის სამხედროებისთვის ჯავშნიანი მანქანების შექმნაში მონაწილეობდა, მუშაობდა ოკეანის გალმა ნასკარის სერიაში, მაგრამ ახლა „სამეფო რბოლებში" მორიგი შანსი მიიღო.

უკვე ივნისის დასაწყისში ის მთავარი ინჟინრის პოსტს ჩაიბარებს „უილიამსში". ერთ დროს სახელგანთქმულმა გუნდმა მთლიანად ჩააგდო სეზონის დასაწყისი. 2011 წლის ბოლოს საჯინიბოდან წასვლის შესახებ გამოაცხადა რამდენიმე ხელმძღვანელმა, მათ შორის ლეგენდარულმა **პატრიკ ჰედმა**. იქნებ კოფლენმა დააყენოს სწორ გზაზე **ფრენკ უილიამსის** გუნდი.

**თურქეთის გრანპრის განრიგი**

**6 მაისი. პარასკევი**
11:00. პირველი პრაქტიკა
15:00. მეორე პრაქტიკა

**7 მაისი. შაბათი**
12:00. მესამე პრაქტიკა
15:00. კვალიფიკაცია

**8 მაისი. კვირა**
16:00. რბოლა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ფედერერი გადარჩა

მადრიდის მასტერსზე მორიგი სათამაშო დღის მშვენება გახდა მატჩი მსოფლიოს მესამე ჩოგან **როჯერ ფედერერსა** და **ფელისიანო ლოპესს** შორის. აქამდე ესპანელს შვიდი მატჩი ჰქონდა წაგებული ლეგენდასთან, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ გრუნტზე ისინი პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ფედერერმა ბრეიკით წაიყვანა ანგარიში და თავიდან ისე ჩანდა, რომ როჯერისთვის ეს მორიგი იოლი შეხვედრა იქნებოდა. მაგრამ ლოპესმა შეძლო ბრეიკის დაბრუნება, რის შემდეგაც კორტზე ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მატჩი სწრაფ ჰარდზე იმართებოდა, რადგან მოწოდებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გრძელი გათამაშებები პრაქტიკულად არ ყოფილა. ორივემ ერთად 48 ეისი ჩააწოდა.

პირველი სეტის ტაი-ბრეიკი მარათონული გამოვიდა. რამდენიმე სეტბოლის მოგერიების შემდეგ როჯერმა სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:6 (15:13)! თუმცა ფელისიანო არ გატყდა. ლოპესს მშვიდად ეჭირა თავისი მოწოდება და კვლავ მიაღწია მე-13 გეიმამდე, სადაც უკვე მას გაუღიმა ბედმა. გადამწყვეტ სეტში ფედერერს სამმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ პირენეელმა ურთულეს მომენტს გაუძლო და მესამე ტაი-ბრეიკის უფლება მიიღო. იქ ესპანელმა მოგების რეალური შანსი მიიღო, მაგრამ 5:2-ზე მარტივი „სმეში" ვერ მოარტყა მიზანში. რომ მოერტყა, ოთხმაგი მატჩბოლი ექნებოდა. ასე კი შვეიცარიელმა თამაშის ბედი შემოატრიალა, ერთი მატჩბოლი ეისით გადაარჩინა და თავად მეორე ცდაზე მოიგო ბოლო პერიოდში მისთვის ერთ-ერთი ურთულესი მატჩი - 7:6 (15:13), 6:7 (1:7), 7:6 (9:7). თამაში სამ საათს გაგრძელდა.

**რაფაელ ნადალისა** და **მარკოს ბაღდატისის** მატჩი სხვა დროსა და სხვა საფარზე შეიძლებოდა საინტერესო გამოსულიყო, გრუნტზე კი კვიპროსელი უშანსოდ იყო. პირველი ჩოგნის მატჩის სანახავად მადრიდის „რეალის" ვარსკვლავი **კრისტიანო რონალდო** მივიდა, პორტუგალიელი ფედერერის შეხვედრასაც ესწრებოდა. მომდევნო წრეში ნადალს სერიოზული გამოცდა ელის - **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** უწევს შეხვედრა. არგენტინელი ასევე დამაჯერებლად გაუსწორდა **მარინ ჩილიჩს** - მეორე სეტი სამხრეთამერიკელმა ნულზე მოიგო.

სეზონში თავისი 30-ე მატჩი მოიგო **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. სერბმა ორ პარტიაში კლასის ხარჯზე დაამარცხა **კევინ ანდერსონი**. ასევე გავიდნენ მესამე ეტაპზე **ტომაშ ბერდიხი**, **რობინ სიოდერლინგი** და **ენდი მიურეი**. ბრიტანელმა სამი სეტი მოანდომა **ჟილ სიმონის** დამარცხებას, თუმცა ბოლო სეტში გეიმი არ დაანება ფრანგს. კიდევ ერთმა განთესილმა **იურგენ მელცერმა** კი მოულოდნელად წააგო **დანიელ ხიმენო-ტრავეროსთან**.

**P.S.** გუშინ, დელ პოტრომ ტრავმის გამო ვერ ითამაშა ნადალის წინააღმდეგ და ესპანელი უბრძოლველად გავიდა შემდეგ ეტაპზე.

**ATP**

**Mutua Madrid Open**

მადრიდი (ესპანეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 ევრო

**II წრე**

**ტომაშ ბელუჩი (ბრა)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:7(5), 6:3, 3:0 უარი; **მიკაელ ლოდრა (საფ)**-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 6:4, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 6:3, 6:4; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:4, 6:0; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:3, 6:3; **ქსავიე მალისე (ბელ)**-იენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:2, 6:2; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 13)**-მარინ ჩილიჩი (ხორ) 6:3, 6:0; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 6:1, 6:3; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ჟილ სიმონი (საფ) 6:4, 3:6, 6:0; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 7:6(13), 6:7(1), 7:6(7); **დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 8) 7:6(8), 6:3.


როჯერ ფედერერი

# რუსების სრული კრახი


მარია ისევ გაწბილებულია

მადრიდში ქალების ტურნირზე მთავარი მოვლენა რუსი ვარსკვლავების სრული კრახი გახდა.

ამ დღეს სრულდებოდა მეორე წრე და მესამე რაუნდშიც რამდენიმე შეხვედრა გაიმართა. მათ შორის ერთ-ერთი **ვერა ზვონარევასა** და **პეტრა კვიტოვას** დაპირისპირება იყო. ბოლოს მათ ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში ითამაშეს და მაშინ რუსმა შეძლო ჩეხის შეჩერება.

ავსტრალიის შემდეგ კვიტოვამ პარიზის ტურნირი მოიგო - ფინალში **კიმ კლაისტერსი** დაამარცხა, ამას მოჰყვა მცირე ჩავარდნა და ახლა, როგორც ჩანს, პეტრა ისევ ფორმაში შევიდა. მან თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა და პირველ სეტში მხოლოდ ერთი გეიმი მისცა მეტოქეს. ჩეხი მეორე სეტშიც აგრძელებდა დომინირებას და ზვონარევამ მხოლოდ ბოლოსკენ შეძლო ბრძოლა მოეხვია თავს მეტოქისთვის, ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ იქვე მეოთხედ წააგო მატჩში საკუთარი გეიმი და დამარცხდა - 1:6, 4:6. კვიტოვა შემდეგ ეტაპზე სლოვაკ **დომინიკა ციბულკოვას** ეთამაშება და გამარჯვების შემთხვევაში პირველად მოხვდება რეიტინგის პირველ ათეულში.

თავად ციბულკოვამ დღის ბოლო მატჩში **მარია შარაპოვას** მოუგო. ამ ჩოგბურთელების ბოლო მატჩი 2009 წლის როლან გაროსზე გაიმართა და მაშინ სლოვაკმა 6:0, 6:2 გაანადგურა რუსი. ამჯერად რევანში არ შედგა, თუმცა ბრძოლა იყო. პირველი პარტია ციბულკოვამ ბოლოსკენ მოიგო, მეორეში 4:0 დაწინაურდა, რის შემდეგაც ზვონარევას მსგავსად მარიამ ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ წარმატება ველარ განავრცო - 5:7, 4:6.

ამ დღეს კიდევ ორი რუსი გამოეთიშა ბრძოლას. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **დინარა საფინა** შტუტგარტის ტურნირის ტრიუმფატორ **იულია გორჯესთან** დამარცხა სამ სეტში. რუსი ისევ დაალალატა საკუთარმა მოწოდებამ - 14 ორმაგი შეცდომა დაუგროვდა. მეტოქეებმა ვერ აჩვენეს თავიანთი საუკეთესო თამაში და ჯამში 113 (!) უნებლიე შეცდომა დააგროვეს. საბოლოოდ, გერმანელმა სამ სეტში გამარჯვება შეძლო - 6:4, 4:6, 6:4.

ასევე დამარცხა **ალისა კლეიბანოვა**. მან წინა კვირას ბარსელონას ტურნირის ტრიუმფატორ **რობერტა ვინჩისთან** დათმო ძალიან იოლად მეორე წრის მატჩი. იტალიელი რუსს 72 წუთში გაუსწორდა - 6:2, 6:2. ვინჩიმ ზედიზედ მეშვიდე შეხვედრა მოიგო, რაც მისთვის სარეკორდო სერიაა კარიერაში.

**WTA**

**Mutua Madrid Open**

მადრიდი (ესპანეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 ევრო

**II წრე**

**რობერტა ვინჩი (იტა)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:2, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 6)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:1, 6:4; **იულია გორჯესი (გერ)**-დინარა საფინა (რუს) 6:4, 4:6, 6:4; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 7) 6:4, 4:6, 7:5.

**III წრე**

**პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 16)**-ვერა ზვონარევა (რუს, 2) 6:1, 6:4; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-მარია შარაპოვა (რუს, 8) 7:5, 6:4.

# კიმმა ვარჯიში დაიწყო, მაგრამ...

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **კიმ კლაისტერსმა** განაახლა კორტზე ვარჯიში. ბელგიელი ჩოგბურთელი წინა თვეში მიღებული მხარის, მაჯისა და ფეხის ტრავმას მკურნალობს. კიმის თქმით, კორტზე ტკივილი აღარ უგრძნია, მაგრამ იმაზეც მიანიშნა, რომ, შესაძლოა, მაინც მოუწიოს როლან გაროსის გამოტოვებამ, რომელიც 22 მაისს აიღებს სტარტს.

კლაისტერსმა უკვე გამოიტანა განაცხადი რომის უმაღლესი კატეგორიის ტურნირიდან, რომელიც მომავალ კვირას გაიმართება იტალიის დედაქალაქში, ხოლო საფრანგეთის ღია პირველობასთან დაკავშირებით ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. კიმი ბოლოს კორტზე მაიამის ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მეოთხედფინალში წააგო **ვიქტორია აზარენკასთან**. ამის შემდეგ კი ბიძაშვილის ქორწილში მიიღო ფეხის ტრავმა, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი როლან გაროსზე გამოსვლა.

ასევე ცნობილია, რომ რომში არ ითამაშებენ რუსი **ვერა ზვონარევა** და ამერიკელი დები - **ვენუს** და **სერენა უილიამსები**.


კიმ კლაისტერსი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**